მასწავლებელი

№1(50),2018

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ნატო ინგოროყვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
გიორგი მაჩაბელი,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ანა ჯანელიძე, ქეთო ნინიძე, მარიამ გოდუაძე, თამთა დოლიძე, ნინო ლომიძე, მაია მენაბდე, ირმა კახურაშვილი, ნინო ჭიაბრიშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ჯალიაშვილი, მაია ფირრჩხაძე, ქეთევან ოსიაშვილი, მალინა საჯაია, შორენა ტყეშელაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

WWW.TPDC.GE

კითხვის დასმა – მასწავლებლები ხშირად ვფიქრობთ ამ პროცესზე. მაშინაც, როცა სხვას ვუსვამთ კითხვას და მაშინაც, როცა ჩვენ გვისვამენ.

სადავო არ არის, რომ შეკითხვა ცოდნის ინსპირატორია, მით უფრო – მაშინ, როცა მას მსჯელობა და კრიტიკული ანალიზი მოჰყვება.

ცხადია, მასწავლებლობა ყველა კითხვაზე პასუხის ცოდნას არ მოითხოვს, თუმცა კითხვების დასმისა და კამათის სურვილის გაღვივება ჩვენს ხელშია.

ცოდვა გამხელილი ჯობია – მასწავლებლებს კითხვების დასმა უფრო გვიყვარს, და მაინც, ხშირად თავადაც გვიხდება პასუხის გაცემა უხერხულ და არასასიამოვნო შეკითხვებზე.

არადა, სკოლა იდეალური გარემოა ამ უნარის გამოსამუშავებლად – საგნის სწავლებისას თუ სკოლისგარეშე აქტივობებში მონაწილეობისას.

კითხვების დასმის გამბედაობა და კულტურა ჩვენს მოსწავლეებს სკოლიდან რომ არ მოჰყვებათ, ამ აზრს ჩემს პირველკურსელებთან ურთიერთობაც განმიმტკიცებს.

უკვე რამდენიმე წელია, სტუდენტებს მედიაწიგნიერებას ვასწავლი – მათ ყოველთვის სჭირდებათ განსაზღვრული დრო უკუკავშირისთვის, კრიტიკული კითხვების დასასმელად, ერთმანეთან თუ ლექტორ-მასწავლებლებთან პოლემიკის გასამართავად.

მიფიქრია: რა აფრთხობთ მათ? იქნებ ჩვენი საუბრის ტონი? იქნებ სკოლიდან გამოყოლილი შიში – რომ მასწავლებელს საუბარი არ უნდა გააწყვეტინო, მაშინაც კი, როცა მისი ნათქვამის არსი არ გესმის? იქნებ ჩვენი შიში, რომ კითხვაზე, რომელსაც დაგვისვამენ, პასუხს ვერ გავცემთ? „არ ვიცი“, – ამის თქმა არც სირცხვილია და არც მარცხის აღიარება. მეტიც, ეს უპასუხო კითხვებზე პასუხის ერთად პოვნის გზაა, მით უმეტეს, ზრდასრულებმა ვიცით, რომ ასეთი კითხვები თითქმის არ არსებობს.

მოსწავლეებთან კითხვა-პასუხი კომპასია სწორი გზის საპოვნელად, რათა სწავლება მათ ინტერესებს მოვარგოთ. უბრალოდ, უნდა მივცეთ კითხვების დასმის უფლება, მანამდე კი თვითონვე ვასწავლოთ, როგორ და რატომ. ეს პედაგოგიურ საქმიანობაში ძალიან წაგვადგება – ჩვენ ხომ უნდა გვაინტერესებდეს, რას სურთ მათ, რა ევალებათ და რას მოელიან ჩვენგან ან პირიქით.

ეს ურთიერთობის სწავლების ეფექტური ფორმაა, ურთიერთთანამშრომლობის საინტერესო გზა, რომელიც ძალიან გვჭირდება, თუნდაც თვითშეფასებისთვის.

რესურსი

8 ქეთო ნინიძე
საუკეთესო მიკრომეთოდები პროფესიულ განათლებაში
არსებობს უნივერსალური მიკრომეთოდები, რომლებიც სწავლის ნებისმიერი მიმართულების ნებისმიერ საფეხურზე თანაბრად ეფექტურია დამოუკიდებლადაც და როგორც განსაზღვრული მაკრომეთოდის ერთ-ერთი ფუნქციური რგოლიც.

15 მარიამ გოდუაძე
თანასწავლება
თანასწავლება გუნდური სწავლების სახეა და საგაკვეთილო პროცესში მოიაზრებს თანაბარი განათლების მქონე ორ ინდივიდს, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ განათლება ერთსა და იმავე დისციპლინაში და აწვდიდნენ ან არ აწვდიდნენ მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო ინსტრუქციებს მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯგუფებს.

20 ნინო ლომიძე
ვენის დიაგრამის პრაქტიკული გამოყენება სწავლებაში
ვენის დიაგრამა საშუალებას გვაძლევს, განვავითაროთ ტექსტის ანალიზის, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი, დავაკვირდეთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს მონაცემების დახარისხება და ორგანიზება, ორ ობიექტს შორის ურთიერთმიმართების დადგენა.

23 ნინო ჭიაბრიშვილი
სანიმუშო გაკვეთილი ეკონომიკაში
მოსწავლეებმა უნდა გაიგონ, რომ ეკონომიკური სურვილები ის სურვილებია, რომლებიც რამის ქონებას უკავშირდება; რომ ადამიანების ეკონომიკური სურვილები განუსაზღვრელია და მათ არ შეუძლიათ ჰქონდეთ ყველაფერი, რაც სურთ.

33 მაია ფირჩხაძე
მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის მართვა ისტორიის სწავლების საწყის ეტაპზე
ფსიქოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შემოქმედებით, თამაშის ელემენტებით გამდიდრებულ გაკვეთილებს, რომლებიც ზრდის მოსწავლის ინტერესს და რთულ და დაძაბულ საქმიანობას სახალისო პროცესად აქცევს.

ექსპერტი

4 ანა ჯანელიძე
სკოლამდელი განათლების კურიკულუმი: მოთხოვნები ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით
სტანდარტის მიხედვით, მნიშვნელოვანია, კურიკულუმი ეყრდნობოდეს ბალანსირებულ დღის განრიგს, რაც მოიაზრებს დღის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვან საქმიანობათა მონაცვლეობას.

პრობლემა

40 მალინა საჯაია
როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კიბერბულინგთან გამკლავებაში
კიბერბულინგი არის ბულინგის სახეობა, რომელიც ელექტრონული მოწყობილობების: ტელეფონების, პლანშეტების, კომპიუტერების – საშუალებით ხორციელდება. ის შეიძლება განხორციელდეს sms-ის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიის, ფორუმებისა და სათამაშო სისტემების საშუალებითაც კი.

43 შორენა ტყეშელაშვილი
სკოლა ძალადობის პირისპირ
ბულინგი იშვიათად აღიქმება ძალადობად. მას ხშირად მიაწერენ „ბავშვობის ასაკისთვის დამახასიათებელ ქცევებს“, რომლებიც მალე გაივლის. ეს ბულინგთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითია.

გამოცდილება

52 ირმა კახურაშვილი
სკოლა, სადაც სწავლობთ და ასწავლით
მასწავლებელი თავად ადგენს ზღვარს: რა შეიძლება, რა – არა და რა – მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში. თუმცა არსებობს პრინციპები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს.

27-30



მოსაზრება

12 მანანა ბოჭორიშვილი
მასწავლებლის პროფესიული განვითარება სკოლის განვითარებას განაპირობებს
მასწავლებლებს პროფესიული განვითარების პროცესში სრულფასოვანი მხარდაჭერა უნდა გაუწიოს სკოლის ადმინისტრაციამ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სკოლის განვითარების მიზნებს შორის მჭიდრო კავშირია – ისინი, გარკვეულწილად, განაპირობებენ ერთმანეთს.

37 მაია ჯალიაშვილი
სწავლა ცხოვრებისათვის
გადაწყვეტილებების მიღების, არჩევანის გაკეთების, საკუთარი აზრის უშიშრად, თავდაჯერებულად გამოთქმის, მერე კი თვალსაზრისთა თუ შეხედულებათა დაცვის უნარი უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ ადამიანმა საზოგადოებაში თავისი ადგილი იპოვოს, პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

55 მაია მენაბდე
ჩვენს გამოცდილ მასწავლებლებზე
ცხოვრების აზრი კვადრატულ განტოლებაზე არ დაიყვანება და არც გამრავლების ტაბულაა ყველაზე მარტივი და აუცილებელი ჭეშმარიტება.

პროფესია მასწავლებელი

47 თამთა დოლიძე
პირიქითა გაკვეთილები ანუ ერთი დღე შებრუნებულ საკლასო ოთახში
გაკვეთილებზე, რომლებზეც მასწავლებლის როლი შესუსტებულია და მისი ჩართულობა მხოლოდ მოსწავლის ინიციატივის ხელშეწყობით შემოიფარგლება, დისციპლინური პრობლემები, წესისამებრ, ნაკლებად იჩენს თავს.

განათლების ფსიქოლოგია

31 ქეთევან ოსიაშვილი
როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს შეცდომის გააზრებაში
იმისთვის, რომ შეცდომამ და მარცხმა დადებითი როლი შეასრულოს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე, ისინი უნდა აღვიქვათ როგორც კონსტრუქციული და სასარგებლო და არა როგორც დამანგრეველი და უსარგებლო.

ანა ჯანელიძე

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი: მოთხოვნები ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით

> სტანდარტის მიხედვით, მნიშვნელოვანია, კურიკულუმი ეყრდნობოდეს ბალანსირებულ დღის განრიგს, რაც მოიაზრებს დღის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვან საქმიანობათა მონაცვლეობას.

2006 წელს საქართველოში სკოლამდელი განათლების მართვა მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობად განისაზღვრა და 2016 წლამდე განათლების ამ საფეხურთან დაკავშირებით არ არსებობდა სკოლამდელი განათლების მიზნებისა და შინაარსის განმსაზღვრელი ეროვნული ხედვა. 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ ჩარჩოს ადრეული და სკოლამდელი განათლების მართვისთვის[1]. ხელმისაწვდომობისა და ხარისხის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად კანონი განსაზღვრავს სავალდებულო საგანმანათლებლო სტანდარტებსაც. კანონის შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტი შეიმუშავა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და დადგენილების სახით დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ (N488, 30/01/17). სტანდარტი სავალდებულოა ადრეული და სკოლამდელი განათლების ყველა დაწესებულებისთვის. დოკუმენტი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ჩარჩო კურიკულუმისთვის, რომელიც საბავშვო ბაღის დონეზე უნდა განხორციელდეს. სტატიაში მოკლედ მიმოხილულია კურიკულუმის არსი სკოლამდელი განათლების კონტექსტში და სტანდარტებით განსაზღვრული ის მახასიათებლები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სკოლამდელი დაწესებულების კურიკულუმი.

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი მოცულობითი დოკუმენტია (113 გვერდი), რომელიც სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ორი ნაწილი ეთმობა ბავშვის მიერ მისაღწევ სწავლისა და განვითარების შედეგებს (პირველი ნაწილი 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებს ეხება, მეორე – 5-6 წლის ბავშვებს). სტანდარტის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესისა და გარემოს ძირითად მახასიათებლებს. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტის პირველი ორი ნაწილი არსობრივად ერთსა და იმავე საკითხს ეხება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის, მათი სტრუქტურა განსხვავებულია. კერძოდ, 5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განსაზღვრული სტანდარტი განვითარების მხოლოდ მსხვილ შედეგებს გვაცნობს განვითარების 5 სფეროს მიხედვით, ხოლო 0-დან 5 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის მოცემულია სხვადასხვა შედეგის მიღწევის დეტალური მაჩვენებლები (ინდიკატორები) შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ამასთან, 5 წლამდე და 5-6 წლის ბავშვებისთვის განვითარების სფეროები განსხვავებულად არის კლასიფიცირებული. სტანდარტის დოკუმენტში არ არის განმარტებული, რატომ არის ასაკობრივი სტანდარტები განსხვავებული ფორმატით წარმოდგენილი 5 წლამდე და 5 წლის ბავშვებისთვის. სტანდარტის ეს ორი ნაწილი განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების კონკრეტულ მიზნებს ბავშვისთვის – რა მიზნების მიღწევას უნდა უწყობდეს ხელს ადრეული და სკოლამდელი განათლება. შესაბამისად, ის წარმოადგენს ძირითად ორიენტირს საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესისთვის, შინაარსისა და გარემოს შექმნისთვის. იმავდროულად, სტანდარტის მესამე

[1] კანონი გამოყოფს ორ საფეხურს და შემდეგ ტერმინებს იყენებს: „ადრეული“ – 0-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვების აღზრდა და განათლება და „სკოლამდელი“ – 2 წლიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე ბავშვების აღზრდა და განათლება.

ნაწილი – ხარისხის სტანდარტი – განსაზღვრავს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესში უნდა გავითვალისწინოთ. ამ ნაწილში მოცემული სტანდარტები წარმოადგენს იმ საკითხთა ნუსხას, რომლებსაც, თანამედროვე კვლევების მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხარისხიანი სკოლამდელი განათლებისთვის. ამრიგად, ქვეყანაში მოქმედი ახალი საგანმანათლებლო სტანდარტი, ერთი მხრივ, განსაზღვრავს მიზნებს (ბავშვის განვითარების შედეგებს), მეორე მხრივ კი ადგენს მინიმალურ სტანდარტებს ამ მიზნების მიღწევის გზებთან დაკავშირებით. ხარისხის მინიმალური სტანდარტი შესაძლებლობას გვაძლევს, გავითვალისწინოთ ბავშვის კეთილდღეობისა და განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები, ამავე დროს კი ამ ჩარჩოს ფარგლებში გვანიჭებს თავისუფლებას სკოლამდელი განათლების შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური საკითხების განსაზღვრაში – სკოლამდელი დაწესებულების დონეზე შევარჩიოთ ან შევიმუშაოთ კურიკულუმი, რომელიც ეყრდნობა სახელმწიფო სტანდარტებს და ყველაზე უკეთ ითვალისწინებს საბავშვო ბაღის, თემისა და ბავშვების ადგილობრივ საჭიროებებს.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ „სკოლამდელი განათლების კურიკულუმი“ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა შინაარსს ატარებს. ის შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ზოგადი მიზნებით ან იყოს ძალიან კონკრეტული – ყოველდღიურად გაწერილი აქტივობების დონეზე. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო დოკუმენტს, რომელიც სკოლამდელი განათლების შინაარსობრივ საკითხებს განსაზღვრავს, „კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტად“ მოიხსენიებენ, ხოლო კურიკულუმად იწოდება ის, რაც ხორციელდება საბავშვო ბაღის დონეზე. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტიც შეიძლება იყოს ზოგადი ან შედარებით კონკრეტული. მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი საგანმანათლებლო სტანდარტი შეგვიძლია სწორედ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტად მოვიაზროთ, რომლის ფარგლებიც წარმოადგენს „თავისუფალ სივრცეს“ საბავშვო ბაღში სხვადასხვა კურიკულუმის განხორციელებისთვის. მაშ, რა არის კურიკულუმი? ახალი სტანდარტების დოკუმენტი ამ ცნების შემდეგ განმარტებას გვთავაზობს:

> **კურიკულუმი – ყველა დაგეგმილი ან დაუგეგმავი გამოცდილება, საქმიანობა, რუტინა, მოვლენა და ყველა ტიპის ურთიერთობა, რომელიც ხორციელდება ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის განკუთვნილ გარემოში.**

კურიკულუმი წარმოადგენს სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების რეალობაში განხორციელების გზას, რომელიც შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და ერთმანეთისგან განსხვავებული მუნიციპალიტეტებსა თუ საბავშვო ბაღებში.

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი არ წარმოადგენს მხოლოდ დასასწავლი ცოდნისა და უნარების ერთობლიობას, როგორც ეს შესაძლოა განათლების ზედა საფეხურების შემთხვევაში იყოს. ადრეული ასაკის ბავშვებისთვის შინაარსი და მეთოდოლოგია მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და თანამიმდევრული კურიკულუმი აუცილებლად მოიცავს ორივე ასპექტს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, კურიკულუმში განსაზღვრული იყოს მიზნები და შეფასების გზები. ამრიგად, სკოლამდელი განათლების კურიკულუმი მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს:

- მიზანი (რისი მიღწევა გვსურს?);
- შინაარსი (რას ვასწავლით/ვავითარებთ?);
- მეთოდოლოგია (როგორ ვასწავლით/ვავითარებთ?);
- შეფასება (როგორ ვაფასებთ კურიკულუმის წარმატებას?).

სახელმწიფო სტანდარტები ოთხივე კომპონენტისთვის გარკვეულ ჩარჩოს გვთავაზობს, თუმცა იმისთვის, რომ სტანდარტი რეალურად დაინერგოს საბავშვო ბაღის დონეზე, მნიშვნელოვანია, აღნიშნული საკითხები უფრო კონკრეტულად განისაზღვროს კურიკულუმით. ქვემოთ მოცემული სქემა თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს, კურიკულუმის რომელი ნაწილისთვის სტანდარტის რომელი კომპონენტი აყალიბებს სავალდებულო ჩარჩოს.

> სტანდარტის მიხედვით, კურიკულუმი უნდა ითვალისწინებდეს დღის განმავლობაში განსაზღვრულ დროს ბავშვის მიერ წამოწყებული საქმიანობებისთვის. ამისთვის მეტი დრო უნდა გამოიყოს, ვიდრე უფროსების მიერ ინიცირებული აქტივობებისთვის.

კურიკულუმის ნაწილი	სტანდარტის კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის ჩარჩოს
მიზანი	სტანდარტის პირველი ორი ნაწილი – ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები 0-დან 2 წლამდე და 5 წლიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე (ე.წ. სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი) განსაზღვრავს იმ კომპეტენციებს (უნარებს, ცოდნას, დამოკიდებულებებს), რომელთა განვითარებას უნდა ემსახურებოდეს სკოლამდელი განათლება. უფრო ზოგადად კი, სტანდარტები აყალიბებს ძირითად მიზანს – ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.
შინაარსი	სტანდარტის პირველ ორ ნაწილში მოცემული კომპეტენციები განსაზღვრავს კურიკულუმის შინაარსობრივ მიმართულებებს. კერძოდ, 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში ესენია: 1. **განვითარების სფეროები:** • ფიზიკური და სენსორული განვითარება; • სოციალურ-ემოციური განვითარება; • კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება; • შემეცნებითი განვითარება; • დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება. 2. **თემატური მიმართულებები:** • ხელოვნება; • წიგნიერება; • ცხოვრების ჯანსაღი წესი და მეცნიერების ელემენტები. 5-6 წლის ბავშვებისთვის კი კომპეტენციები კლასიფიცირებულია განვითარების შემდეგი სფეროების მიხედვით: • ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება; • სწავლისადმი მიდგომა; • სოციალურ-ემოციური განვითარება; • შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა; • მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება. ამასთანავე, სტანდარტის მესამე ნაწილი („ხარისხის სტანდარტი") დამატებით აყალიბებს მოთხოვნებს კურიკულუმის შინაარსის ორგანიზებასთან დაკავშირებით.
მეთოდოლოგია	სტანდარტის მესამე ნაწილი გვთავაზობს მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ნებისმიერი კურიკულუმი.
შეფასება	სტანდარტის მესამე ნაწილში ჩამოყალიბებულია შეფასების პრინციპები, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს ნებისმიერი კურიკულუმი შეფასების პროცესში.

სტანდარტის დოკუმენტის მესამე ნაწილის ერთ-ერთი მუხლი სწორედ კურიკულუმსა და მეთოდოლოგიას ეთმობა და ამ მიმართულებით ხუთ სტანდარტს განსაზღვრავს, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს საბავშვო ბაღის ან მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული/ადაპტირებული ან შემუშავებული კურიკულუმი.

1. თამაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხია.

სტანდარტი გულისხმობს, რომ აუცილებელია, კურიკულუმის განხორციელების მთავარ „ხერხად" თამაში გამოვიყენოთ. ეს სტანდარტი ეფუძნება ადრეულ განათლებაში კვლევებით დადასტურებულ ცოდნას, რომ ადრეულ ასაკში ბავშვები სწორედ თამაშის გზით სწავლობენ და ვითარდებიან. შესაბამისად, ის ზღუდავს ისეთი დიდაქტიკური ტიპის კურიკულუმის გამოყენებას, სადაც სწავლა-სწავლების დომინანტური მეთოდია არა თამაში, არამედ პირდაპირი სწავლება ან დემონსტრირება. სტანდარტი მოიაზრებს, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა, დროის უმეტესი ნაწილი თამაშში გაატაროს. ეს არ ზღუდავს მასწავლებლის მიერ ინიცირებულ ან მართულ აქტივობებს, თუმცა მნიშვნელოვანია, ეს აქტივობებიც თამაშის ფორმით მიმდინარეობდეს. თამაშის ელემენტები უნდა გამოიყენებოდეს ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადასვლის დროს, აგრეთვე რუტინული საქმიანობების დროს, რათა

ეს დროც საინტერესო იყოს ბავშვებისთვის და სწავლისა და განვითარების პოტენციალს ქმნიდეს. მნიშვნელოვანია, კურიკულუმი იყენებდეს თამაშის მრავალფეროვან, ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამის ფორმებს და ტიპებს.

2. თამაშის დროს თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად, შემოქმედებითად გამოიყენოს ჯგუფისა და ეზოს საგანმანათლებლო რესურსები.

მრავალფეროვანი რესურსი საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. სტანდარტი მოიაზრებს, რომ საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს თითოეული ბავშვისთვის მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მრავალფეროვანი რესურსი ხელს უნდა უწყობდეს ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას. ამასთანავე, ჯგუფის რესურსი უნდა ასახავდეს საზოგადოებრივ მრავალფეროვნებას (მაგ., წიგნები განსხვავებული საჭიროებების მქონე მთავარი გმირებით, სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი მუსიკალური ინსტრუმენტები ან კოსტიუმები დრამატული თამაშისთვის და ა.შ.). ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეარჩიონ და გამოიყენონ ჯგუფში არსებული რესურსი. შესაბამისად, მიუღებელია ისეთი კურიკულუმის დანერგვა, სადაც რესურსების გამოყენება მხოლოდ ზრდასრულების ნებაზეა დამოკიდებული. აღნიშნული სტანდარტი მნიშვნელოვანია ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის - ბავშვს უჩნდება ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა, უვითარდება თავდაჯერება და დამოუკიდებლობა, შესაძლებლობა ეძლევა, უფროსების დახმარებით ისწავლოს რესურსების დამოუკიდებლად გამოყენება, მათი მოვლა და შენახვა. ამასთანავე, როდესაც რესურსი თავისუფლად ხელმისაწვდომია, ბავშვს აქვს მისი სხვადასხვანაირად გამოყენების შესაძლებლობა, რაც ავითარებს წარმოსახვასა და შემოქმედებითობას, ეს კი ნაკლებად სავარაუდოა ისეთ გარემოში, სადაც რესურსის დანიშნულებას და გამოყენების დროს უფროსები განკარგავენ.

3. დაწესებულება ხელმძღვანელობს კურიკულუმით, რომელიც ორიენტირებულია თითოეული ბავშვის მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებაზე.

აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, სკოლამდელი განათლების კურიკულუმი ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, რაც მოიაზრებს განვითარების ყველა სფეროს და შესაბამის კომპეტენციებს, რომლებიც სტანდარტის დოკუმენტის პირველ ორ ნაწილშია მოცემული. კურიკულუმი ხელს უნდა უწყობდეს თითოეული ბავშვის განვითარებას, მათი მრავალფეროვანი შესაძლებლობების რეალიზებას. სტანდარტის მიხედვით, კურიკულუმმა უნდა წაახალისოს ბავშვის ცნობისმოყვარეობა, კვლევა და აღმოჩენა, ბავშვის ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება ახალი კომპეტენციების შესაძენად, ბავშვებს შორის ცოდნისა და უნარების გაცვლა-გაზიარება.

4. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, განმავითარებელ, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს.

სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია, სკოლამდელი დაწესებულების მიერ შერჩეული ან შემუშავებული კურიკულუმი ითვალისწინებდეს მრავალფეროვან საქმიანობებს, რომლებიც შეესაბამება ბავშვების ასაკსა და განვითარებას, პასუხობს თითოეული ბავშვის საჭიროებებს, შესაძლებლობებს და ინტერესებს. საქმიანობები (თამაშები, აქტივობები, რუტინული საქმიანობები და ა.შ.) უნდა ხორციელდებოდეს მრავალფეროვან გარემოში – ბაღის შენობასა და ეზოში, აგრეთვე დაწესებულების ფარგლებს გარეთ. კურიკულუმი თითოეულ ბავშვს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, გააკეთოს არჩევანი და ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის საქმიანობაში. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ითამაშონ წყვილებად, მარტო, მცირე თუ დიდ ჯგუფებად.

5. დღის განრიგი მოქნილი, პროგნოზირებადია და მრავალფეროვანს ხდის თითოეული ბავშვის გამოცდილებას.

სტანდარტის მიხედვით, მნიშვნელოვანია, კურიკულუმი ეყრდნობოდეს ბალანსირებულ დღის განრიგს, რაც მოიაზრებს დღის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვან საქმიანობათა მონაცვლეობას, ფიზიკურად დატვირთულ და შედარებით ნაკლებად აქტიურ საქმიანობებს, მცირე და დიდ ჯგუფებში აქტივობებს. დიდ ჯგუფებში საქმიანობებს ნაკლები დრო უნდა დაეთმოს, რადგან აქტივობები მცირე ჯგუფებში მეტ შესაძლებლობას აძლევს ბავშვებს სწავლისა და განვითარებისთვის ინდივიდუალური ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. სტანდარტის მიხედვით, კურიკულუმი უნდა ითვალისწინებდეს დღის განმავლობაში განსაზღვრულ დროს ბავშვის მიერ წამოწყებული საქმიანობებისთვის. ამისთვის მეტი დრო უნდა გამოიყოს, ვიდრე უფროსების მიერ ინიცირებული აქტივობებისთვის. ამასთანავე, დღის განრიგი უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის საჭიროებებს, ინტერესებს და ტემპს. სტანდარტის მიხედვით, ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადასვლის მართვა ეფექტურად უნდა ხდებოდეს, ისე, რომ არც ერთ ბავშვს არ უწევდეს ხანგრძლივი ლოდინი.

ქეთო ნინიძე

საუკეთესო მიკრომეთოდები პროფესიულ განათლებაში

არსებობს უნივერსალური მიკრომეთოდები, რომლებიც სწავლის ნებისმიერი მიმართულების ნებისმიერ საფეხურზე თანაბრად ეფექტურია დამოუკიდებლადაც და როგორც განსაზღვრული მაკრომეთოდის ერთ-ერთი ფუნქციური რგოლიც. განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

ორმაგი კარუსელი. ეს მეთოდი, როგორც წესი, გამოიყენება სანიმუშო ტექსტის გასააზრებლად და ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ ერთმანეთისთვის ტექსტის შინაარსის გაზიარებას. ეფექტურია, უპირველეს ყოვლისა, წაკითხულის გააზრებისა და დროის ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით. ჯგუფები ეცნობიან ტექსტის არა ყოველ, არამედ ერთ განსაზღვრულ პასაჟს. დანარჩენ დროს ისინი ტექსტში მოცემული არსებითი ინფორმაციის გაცვლას უთმობენ.

მოსწავლეთა ჯგუფებს ამა თუ იმ საკითხის ან მაგალითის შესახებ პასაჟებად დაყოფილ სანიმუშო ტექსტს დავუნაწილებთ, რის შემდეგაც ისინი შეუდგებიან ჯგუფურ, ხმამაღალ კითხვასა და ტექსტის გააზრებას. მას შემდეგ, რაც თითოეული გუნდი თავის წილ ინფორმაციას გადაამუშავებს, აუდიტორიაში სკამების განლაგება იცვლება. იქმნება ორი – შიდა და გარე წრე. მოსწავლეები განაწილდებიან ამ ორ კარუსელზე იმგვარად, რომ განსაზღვრული ჯგუფების (A, B, C) წარმომადგენლები მხოლოდ შიდა წრეზე მოხვდნენ, სხვა ჯგუფებისა (D, E, F) კი – გარეთ. ამოცანა ითვალისწინებს შიდა წრეზე მსხდომთა მიერ ტექსტის შესაბამისი პასაჟის გაზიარებას გარე წრეზე მსხდომთათვის. კარუსელი შეგვიძლია ორი მიმართულებით „დავატრიალოთ“ – მონაცვლეობით, შიგნიდან გარეთ და მარჯვნიდან მარცხნივ. ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა ჯგუფის წევრების მიერ ინფორმაციის ურთიერთგაზიარებას და მის განმტკიცებას. ყოველ ჯერზე თითოეული მონაწილე საკუთარ ტექსტს განსხვავებული აქცენტით წარმოაჩენს. ეს ეხმარება მსმენელს, სხვადასხვა კუთხით შეხედოს მოვლენას და მის შესახებ საკუთარი, თვითმყოფადი შეხედულება ჩამოუყალიბდეს.

ექვსი სააზროვნო ქუდი. ინგლისელი მწერლისა და ფსიქოლოგის, შემოქმედებითი აზროვნების ანალიტიკოსის ედუარდ დე ბონოს მიერ შემუშავებული ექვსი ქუდის მეთოდი კარგი საშუალებაა სააზროვნო პროცესის სტრუქტურირება-ორგანიზებისთვის და მისი საბოლოო შედეგის მაღალი პროდუქტიულობის მისაღწევად. იგი სისხარტეს სძენს აზროვნებას, ამაღლებს შემოქმედებითობას, გვეხმარება, ჩვენი აზრთა დინება დასახული ამოცანებისა და მიზნისკენ მივმართოთ, საბოლოოდ კი მართებულ გადაწყვეტილებამდე მივყავართ. ამ მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ გვეხმარება ჩვენი მოსაზრებების ვერბალიზაციასა და ფიქსაციაში, აგრეთვე – სამი ისეთი წინააღმდეგობის დაძლევაში, როგორებიცაა ემოცია, დაბნეულობა და გაურკვევლობა.

ექვსი ქუდის მეთოდის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი გონებრივი აქტივობის დროს, საკამათო და კონფლიქტური საკითხების გადაჭრისას, ამოცანათა დაგეგმვისა და შეფასებისას და სხვ.

> ორმაგი კარუსელი, როგორც წესი, გამოიყენება სანიმუშო ტექსტის გასააზრებლად და ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ ერთმანეთისთვის ტექსტის შინაარსის გაზიარებას.

რას ნიშნავს ფერები?

თეთრი ქუდის მორგებისას მთელი მონდომებით ვუღრმავდებით ინფორმაციას – რა ვიცით საკითხის ირგვლივ და რა დამატებითი ინფორმაცია გვჭირდება მის შესახებ სრულყოფილი ცოდნის მისაღებად? აქვე განვსაზღვრავთ, რა მეთოდებით უნდა მოვიპოვოთ ინფორმაცია.

წითელი ქუდის მორგებისას გასაქანს ვაძლევთ მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ ემოციებსა და ინტუიციას. ამ დროს ყოველგვარი ანალიზის გარეშე ვიღებთ ნებისმიერ აზრს, რაც პირველად მოგვდის გონებაში და მას თანაგუნდელებს ვუზიარებთ. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზრის სიხალასე, გულწრფელობა და სპონტანურობა.

ყვითელი ქუდის მორგებისას საკითხის მხოლოდ პოზიტიურ, ძლიერ მხარეებს ვუღრმავდებით. მაშინაც კი, როცა პრობლემას ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად ვხედავთ, უნდა შევეცადოთ, აღმოვაჩინოთ და გამოვკვეთოთ მისი დადებითი ეფექტები.

შავი ქუდის მორგების შემთხვევაში კი, პირიქით, კრიტიკულად და სკეპტიკურად უნდა განვეწყოთ, გავაცნობიეროთ უკვე არსებული ან მოსალოდნელი რისკი და საფრთხე.

მწვანე ქუდი შემოქმედებითი ძიებების, სიახლეებისა და ცვლილებებისთვისაა განკუთვნილი. განიხილეთ მრავალი ალტერნატივა, გზა მიეცით სიახლეებს, მიიღეთ თუნდაც ერთი შეხედვით უცნაური იდეები. სასურველია, ამ ეტაპზე ყველა მოსწავლე ჩაერთოს და თითოეულმა მათგანმა თითო იდეით მაინც შეიტანოს წვლილი ძიების პროცესში.

მეექვსე – ლურჯი ქუდი იდეის განხორციელების პროცესის მართვასა და პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული. ამ ქუდს ორჯერ ვირგებთ – საწყის და საბოლოო ეტაპებზე. პირველ შემთხვევაში მოვხაზავთ მიზნის კონტურებს, მეთოდის გამოყენების შემდეგ კი განვიხილავთ შედეგებს მიზანთან შესაბამისობაში.

ფერების რიგითობა მკაცრად განსაზღვრული არ არის, მაგრამ ყველაზე ხშირად ამ თანმიმდევრობით გამოიყენება: თავდაპირველად ვიხურავთ თეთრ, შავ, ყვითელ ქუდებს. მას შემდეგ, რაც განვსაზღვრავთ, რა ვიცით და რისი გაგება გვინდა მოცემული საკითხის შესახებ, შევაჯამებთ მის დადებით და უარყოფით მხარეებს, შემოქმედებითობის დრო დგება, ანუ მოვირგებთ მწვანე ქუდს, ვეძებეთ ახალ მიდგომებს, შეხედულებებს. იდეების გენერირების ეტაპზე წამოჭრილი მოსაზრებების განსახილველად კვლავ ყვითელ და შავ ქუდებს ვუბრუნდებით. პერიოდულად სასურველია წითელი ქუდის მორგება და ემოციებისთვის გასაქანის მიცემა.

მეთოდის მართებულად და ეფექტურად წარმართვა მოდერატორმა უნდა უზრუნველყოს.

> არსებობს უნივერსალური მიკრომეთოდები, რომლებიც სწავლის ნებისმიერი მიმართულების ნებისმიერ საფეხურზე თანაბრად ეფექტურია დამოუკიდებლადაც და როგორც განსაზღვრული მაკრომეთოდის ერთ-ერთი ფუნქციური რგოლიც.

მას მუდმივად ცისფერი ქუდი აქვს მორგებული, ანუ ინარჩუნებს ფასილიტატორის ნეიტრალურ პოზიციას და სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე მონაწილეებს აქტივობაში ჩართვის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს. მოდერატორის ფუნქციაა აგრეთვე თამაშის წესების განმარტება, განსახილველი პრობლემის დასახელება, მის გარშემო გამოკვეთილი მოსაზრებების ჩანიშვნა და საბოლოო შეჯამება.

დროისა და რესურსების დაზოგვის მიზნით ქუდები შეიძლება გუნდურ მუშაობას დავუკავშიროთ და სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული ფერის ქუდი მოვარგოთ. თუ ქაღალდის ქუდების დამზადება ტექნიკურ სირთულეს წარმოშობს, შეიძლება მათ ნაცვლად ნებისმიერი სხვა, განსაზღვრული ფერის სიმბოლოს ან მარკირების გამოყენება – ტანსაცმელზე ფერადი ლენტების მიმაგრება, ფერადი ბარათების აღმართვა და სხვ.

გონებრივი რუკა. ექვსი ქუდის მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია მონაწილეთა მოსაზრებების ეფექტური ვიზუალიზაცია. ამისათვის ძალიან კარგი სასწავლო ინსტრუმენტია გონებრივი რუკა, რომელიც, ცხადია, უნივერსალური მეთოდია და არამხოლოდ ექვსი ქუდის მეთოდში შეგვიძლია „ჩავაშენოთ“.

ეს მეთოდი ემსახურება ნებისმიერი მოვლენისა თუ პროცესის, აზრისა თუ იდეის კომპლექსური, სისტემატიზებული ვიზუალური გრაფიკული ფორმით რეპრეზენტაციას დიდი ფორმატის ქაღალდზე ან ელექტრონულად. მასში ჩანს მოვლენათა აზრობრივი, მიზეზშედეგობრივი, ასოციაციური და სხვა სახის კავშირები. იგი უფრო მოქნილად და ეფექტურად ასახავს აზრთა დინებას, ვიდრე ჩვეულებრივი წერილობითი ნარატიული ფიქსაცია.

გონებრივი რუკის პრინციპი თვითმყოფადი საგანმანათლებლო მეთოდის სახით ჩამოაყალიბა ინგლისელმა ფსიქოლოგმა ტონი ბიუზენმა. მისი კონცეფციის თანახმად, გონებრივი რუკა ადამიანის ტვინის ანალოგიურად უნდა იყოს სტრუქტურირებული, იმავე პრინციპით, როგორითაც ჩვენი გონება მოიცავს ნეირონებსა და მათ განშტოებებს და თითოეული ელემენტი დანარჩენებთან განსაზღვრულ მიმართებას ქმნის. გონებრივი რუკის შემუშავებისას ჩვენ თითქოს მატერიალურ სახეს ვაძლევთ ჩვენს გონებაში არსებულ წესრიგს. ბიუზენის აზრით, ეს მეთოდი სააზროვნო პროცესის მართვაშიც გვეხმარება.

რუკის შექმნა მრავალ სიტუაციაშია მოხერხებული. პრინციპი – საკითხის დაშლა, ანალიზი და მის შემადგენელ ელემენტებს შორის მიმართებათა განსაზღვრა – მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო ფართო და კომპლექსური საკითხი გვაქვს გასააზრებელი. ამ შემთხვევაში მოსაზრებების ნარაციული და წერილობითი ფორმით ჩანიშვნა გაცილებით მეტ დროს წაგვართმევს, ვიდრე სქემების შედგენა, გრაფიკული სტრუქტურირება, როგორც ეს გონებრივი რუკის შემთხვევაში ხდება. მეორე მხრივ, თავად ანალიზის პროცესია მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის სხარტი ლოგიკური აზროვნების უნარს განავითარებს.

სპეციალისტები არაერთ პრაქტიკულ რჩევას გვთავაზობენ იმის თაობაზე, როგორი უნდა იყოს გონებრივი რუკის ვიზუალური მხარე. მაგალითად, მათი აზრით, გაცილებით ეფექტურია, როცა ცენტრში წარმოდგენილია ფერადი ნახატი. საზოგადოდ, გრაფიკული გამოსახულებების სიუხვე გონებრივ რუკას გაცილებით ადვილად აღსაქმელს ხდის; სასურველია გრაფემების სიდიდის, გამოსახულებათა მასშტაბისა და ხაზების სისქის ცვლა; სტრუქტურულ ელემენტებს შორის კავშირების აღსანიშნავად უნდა გამოვიყენოთ ისრები, მთავარი ისრები კი აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს ცენტრალურ ფიგურას; ყველა სიტყვა განთავსებული უნდა იყოს ჰორიზონტალურად და სხვ. ტექნიკური პარამეტრების გამართულობა უზრუნველყოფს სტრუქტურის როგორც პრობლემის ვიზუალიზაციის ეფექტურად აღქმასა და დამახსოვრებას.

ელექტრონული ხელსაწყოები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია გონებრივი რუკის შექმნა, მრავლადაა. ერთი მათგანია Mind42 https://mind42.com – ღია წყარო მარტივი ინსტრუქციული დიზაინითა და გაზიარების სხვადასხვა შესაძლებლობით.

სიცხიანი დებატები. დებატები ის სასწავლო მეთოდია, რომელიც, ალბათ, ყველაზე მეტად უწყობს ხელს ანალიზური, საკომუნიკაციო, საპრეზენტაციო უნარების ერთდროულ განვითარებას. კამათი აყალიბებს აზროვნებისა და მეტყველების კულტურას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოკამათეები იმ მოსაზრებას კი არ იცავენ,

რომელსაც რეალურად ემხრობიან, არამედ მათთვის მიუღებელ მოვლენებშიც კი ცდილობენ დადებითი მხარეების აღმოჩენას. ასე ხდება სიცილიური დებატების შემთხვევაში.

მას შემდეგ, რაც შეირჩევა დებატების თეზისი, კლასი იყოფა ორად. მოსწავლეთა ნაწილს ეძლევა დავალება, დაიცვას მოცემული მტკიცებულება და წარმოაჩინოს მისი დადებითი მხარეები, მეორეს კი – უარყოს და მისი სისუსტეები გამოკვეთოს. გუნდის წევრები აუდიტორიის წინაშე სათითაოდ გამოდიან. მონაწილე მანამდე იცავს თავის პოზიციას, ვიდრე არგუმენტები არ ამოეწურება. ამ შემთხვევაში ის დახმარებისთვის მომდევნო თანაგუნდელს მიმართავს და უწვდის ხელს ხელისგულით ზემოთ. თანაგუნდელი ართმევს მას ხელს და იბარებს ესტაფეტას, წინა გამომსვლელი კი თამაშს ეთიშება. დებატები არგუმენტების ამოწურვამდე გრძელდება.

მეტაგეგმა. დისკუსია უნივერსალური მეთოდია, რომელიც სასწავლო პროექტისა თუ გაკვეთილის ნებისმიერ საფეხურზე შედეგიანად მუშაობს. ეფექტური დისკუსიის აგებულება, რაც უნდა უჩვეულოდ და სპონტანურად განვითარდეს ის, სამ ძირითად ელემენტს უნდა ეფუძნებოდეს: პრობლემების გენერირებას, პრობლემების სტრუქტურირებას და სტრუქტურის რეპრეზენტაციას. ამ თვალსაზრისით, დისკუსიის ერთ-ერთი ძალიან საინტერესო ფორმაა მიკრომეთოდი – მეტაგეგმა.

მეტაგეგმა მიმართავს პრობლემის ვიზუალიზაციის იმავე პრინციპს, რომელსაც გონებრივი რუკა, თუმცა განსხვავდება მისგან, ერთი მხრივ, სოციალური ფორმით, მეორე მხრივ კი – დროის მენეჯმენტით. თუ გონებრივი რუკის შექმნა პლენარული დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობს, მეტაგეგმაზე უფრო ხშირად ჯგუფები ან წყვილები მუშაობენ. შესაბამისად, განსაზღვრულ დროში მისი შედეგები უფრო მკაფიო და ხელშესახებია. ნაკლებია შანსი, მცირე ჯგუფებში მნიშვნელოვანი საკითხები ყურადღების მიღმა დარჩეს და წევრების მცირე რაოდენობის გამო მათი მუშაობის შედეგიც უფრო რეპრეზენტაციული და ზედმიწევნითია.

დისკუსიის დაწყებამდე დაფაზე მაგრდება თეთრ ბარათზე დაწერილი სადისკუსიო თემის სათაური. დისკუსიის მიმდინარეობისას მონაწილეები გამოთქმულ მოსაზრებებს შესაბამისი ფერის მართკუთხა ბარათებზე ინიშნავენ და დაფაზე არეულად ამაგრებენ. ბაც მწვანეზე იწერება დადებითი არგუმენტები, ნარინჯისფერზე – უარყოფითი, ბაც ყვითელზე კი – ალტერნატიული მოსაზრებები.

იმისთვის, რომ მეტაგეგმის მეთოდი დაგვეხმაროს ნააზრევის მართებულ რეპრეზენტაციაში, სასწავლო ელემენტების ეფექტურ სტრუქტურირებაში, მათი მიზეზშედეგობრივი კავშირების გათავისებაში, აუცილებელია, აზრები ჩამოყალიბებული იყოს მკაფიოდ, ლაკონურად და მიზანმიმართულად, თითო ბარათზე წარმოდგენილი იყოს თითო საკითხი, ხელნაწერი გარკვევით იკითხებოდეს და ტექსტი არ აჭარბებდეს 7 სიტყვას.

დისკუსიის დასრულების შემდეგ მოდერატორი კლასს სათითაოდ აცნობს ბარათებს და მონაწილეებთან შეთანხმებით აჯგუფებს მათ. ერთნაირი შინაარსის ბარათები დაფაზე ერთად მაგრდება. მომდევნო ეტაპია სისტემატიზებული ბარათების თემატური დასათაურება. ბარათების თემატურ ჯგუფებს შორის ურთიერთმიმართების აღსანიშნავად ვიყენებთ დამაკავშირებელ ხაზებს. თუ რომელიმე მოსაზრებას ჰყავს ოპონენტი, შესაბამის ბარათზე მონიშნავს ელვა-ზიგზაგს და იქვე ამაგრებს თეთრ ოვალურ ბარათს თავისი კონტრარგუმენტით.

საბოლოოდ მეტაგეგმის მრავალი ბარათი საბაზისო თემატიკაზე – მხოლოდ რამდენიმე საკითხზე დაიყვანება. თუ მეთოდი პრობლემის დასაძლევი ამოცანის / ამოცანების განსაზღვრას ისახავს მიზნად, მოგვიწევს, ამ ამოცანის / ამოცანების ამორჩევა უმრავლესობას მივანდოთ. მონაწილეები არჩევანს გააკეთებენ მათთვის სასურველი ბარათების ჯგუფის გარშემო წითელი წერტილების დასმით.

შევეცადეთ, თქვენთვის ამჯერადაც ის მიკრომეთოდები წარმოგვედგინა, რომლებიც თავიანთი ფუნქციით არა სპეციფიკურ, არამედ უნივერსალურ ამოცანებს ესადაგება. თითოეული მეთოდის შედეგიანობა, ცხადია, არაერთ სპონტანურ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს გარემოებები აქტივობათა დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპზე მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსწავლეები კი არ უნდა აქციოს მეთოდის განხორციელების რესურსად, არამედ მეთოდი გამოიყენოს მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიზნების ინსტრუმენტად.

მანანა ბოჰორიშვილი

მასწავლებლის პროფესიული განვითარება სკოლის განვითარებას განაპირობებს

> ფაქტია, რომ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება არის ინდივიდუალური და გუნდური ვალდებულება განათლების სისტემის ყველა დონეზე: მასწავლებლებისთვის, სკოლებისა და სახელმწიფოსთვის.

გამოცდილი, წარმატებული პედაგოგი ცოტა ხნის წინ იხსენებდა: „ოცი წლის წინ, როდესაც უნივერსიტეტი დავამთავრე და მასწავლებლობა გადავწყვიტე, ერთდროულად ორი სკოლიდან მივიღე წინადადება. არ ვიცოდი, რა გადამეწყვიტა და რჩევა ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელს ვთხოვე. არასოდეს დამავიწყდება მისი პასუხი: თუ მეორე სკოლას აირჩევთ, საკუთარ შეცდომებზე მოგიწევთ იმის სწავლა, როგორ ასწავლოთ, ხოლო თუ მეხუთეს, ამ სკოლის ქართულის კათედრის მასწავლებლები დიდი ოსტატობით მოახერხებენ, სამ წელიწადში თქვენგან დიდებული ქართულის მასწავლებელი დადგესო. ასე დავიწყე პედაგოგიური საქმიანობა მეხუთე სკოლაში და მართლაც, იქ მუშაობის სამი წელი ჩემი პროფესიული განვითარების საუკეთესო პერიოდი იყო“.

განათლების სპეციალისტები აღიარებენ და კვლევებიც მოწმობს, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ალტერნატიული გზებიდან ყველაზე პრაქტიკული და შედეგზე ორიენტირებული სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაა. ასეთი სახის პროფესიული განვითარება, ერთი მხრივ, მეტად არის მორგებული მასწავლებლის კონკრეტულ საჭიროებებს, მეორე მხრივ კი შეესაბამება მოსწავლეთა სასწავლო მიზნებსა და ამოცანებს.

წარმატებული სკოლების კვლევის საფუძველზე ექსპერტებმა შეიმუშავეს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტიანობის პრინციპები:

1. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მასწავლებლის ყოველდღიური სამუშაო პრაქტიკის შემადგენელი ნაწილია;
2. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ფოკუსირებულია მოსწავლეთა მიღწევებზე და არა მხოლოდ მასწავლებლის საჭიროებებსა და ინტერესებზე;
3. პროფესიული განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვაში მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი;
4. პროფესიული განვითარება აღიარებს კვლევის მნიშვნელობას და მასწავლებლებს ასწავლის კვლევის შედეგების ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას;
5. პროფესიული განვითარება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომლის დროსაც ხშირად ხდება რეფლექსია და კომენტარების გაცვლა;
6. პროფესიული განვითარება ეფუძნება საქმიანობისთვის მნიშვნელოვან, სასარგებლო და კონკრეტულ მონაცემებს და არა ზოგად წარმოდგენებსა და შეხედულებებს;
7. პროფესიული განვითარება უწყვეტი, პერმანენტული პროცესია და არა ეპიზოდური, ფრაგმენტული ინიციატივები;
8. სკოლის ადმინისტრაცია აღიარებს პროფესიული განვითარების მნიშვნელობას.

ფაქტია, რომ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება არის ინდივიდუალური და გუნდური ვალდებულება განათლების სისტემის ყველა დონეზე: მასწავლებლებისთვის,

სკოლებისა და სახელმწიფოსთვის. მასწავლებლები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და ამ პროცესში მათ სრულფასოვანი მხარდაჭერა უნდა გაუწიოს სკოლის ადმინისტრაციამ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სკოლის განვითარების მიზნებს შორის მჭიდრო კავშირია - ისინი, გარკვეულწილად, განაპირობებენ ერთმანეთს.

სკოლის ბაზაზე არსებული პროფესიული განვითარების ფორმებია:

ტრენინგი – სასწავლო კურსი, რომლის მიზანიც არის მასწავლებლების ცოდნისა და უნარების განვითარება სწავლისა და სწავლების კონკრეტული მიმართულებით;

გაკვეთილზე დასწრება – სკოლის დირექტორის, საწავლო ნაწილის, კათედრის გამგის, კოლეგისა და სხვა უფლებამოსილი პირის მიერ საგაკვეთილო პრაქტიკის მონიტორინგი და განმავითარებელი კომენტარი;

მენტორობა – გამოცდილი და დამწყები მასწავლებლების რეგულარული თანამშრომლობა ამ უკანასკნელთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით;

ურთიერთდაკვირვება – მასწავლებლების მიერ სწავლების პრაქტიკის ურთიერთდაკვირვება (მაგ., კოლეგის გაკვეთილზე დასწრება გამოცდილების გაზიარების ან განმავითარებელი შეფასების მიზნით);

პრაქტიკის კვლევა – მასწავლებლების ჯგუფის მიერ სწავლისა და სწავლების შესახებ მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხის იდენტიფიცირება, საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება, მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტაცია;

სასწავლო ჯგუფები – მასწავლებლების გაერთიანება, რომლის მიზანიც არის სწავლისა და სწავლების გარკვეულ საკითხზე თვალსაზიერის გაფართოება ერთობლივი საგანმანათლებლო რესურსების შექმნით, გამოცდილების გაზიარებითა თუ ლიტერატურის გაცნობით;

სამუშაო შეხვედრები – ნებისმიერი სამუშაო შეხვედრა (კათედრის სხდომა, კათედრათაშორისი მუშაობა, ამა თუ იმ კლასის მასწავლებლების დისკუსია, კათედრის ხელმძღვანელების შეხვედრა და სხვ.), სადაც ხდება არსებული პრაქტიკის, მოსწავლეთა შედეგების, პრობლემების მოგვარების გზების განხილვა და გამოცდილების გაზიარება.

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროცესის ელემენტები

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროცესში მკვლევრები და პრაქტიკოსები სამ ურთიერთდაკავშირებულ საფეხურს მოიაზრებენ:

1. საჭიროებების კვლევა;
2. პროფესიული განვითარების კონკრეტულ ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელება;
3. მიღებული ეფექტის შეფასება.

წარმატებულ სკოლებში ეს უწყვეტი ციკლი ქმნის ხარისხის თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო მყარ საფუძველს.

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებებს განსაზღვ-



> მასწავლებლები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და ამ პროცესში მათ სრულფასოვანი მხარდაჭერა უნდა გაუწიოს სკოლის ადმინისტრაციამ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სკოლის განვითარების მიზნებს შორის მჭიდრო კავშირია – ისინი, გარკვეულწილად, განაპირობებენ ერთმანეთს.

რავს ის საჭიროებებიც, რომლებიც თითოეულ მასწავლებელს აქვს. თითოეული მასწავლებლის საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი სკოლას ინდივიდუალური საჭიროებების დადგენასა და მათზე მაქსიმალურად მორგებული პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვაში ეხმარება. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არსებითად განსაზღვრავს, რა კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მასწავლებლები არიან საჭირო დასახული მიზნების მისაღწევად, ეს კი კადრების შერჩევისა და უკვე აყვანილი თანამშრომლების პროფესიული განვითარების საფუძველია.

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დეცენტრალიზებული მოდელი საშუალებას იძლევა, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების დადგენა და ოპერატიული რეაგირება სკოლაშივე მოხდეს.

სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა პროფესიონალი მასწავლებლების გუნდია, ამიტომაც მნიშვნელოვანია, სკოლის განვითარების ჯგუფის წევრებმა ურთიერთთანამშრომლობით, მუდმივად იზრუნონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე.

სკოლებზე პასუხისმგებლობის დელეგირებისა და ავტონომიურობის ზრდის პირობებში უნდა განხორციელდეს:

- მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა და სკოლის დონეზე მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- საკუთარი პროფესიული განვითარების დაგეგმვაში, წარმართვასა და შეფასებაში მასწავლებელთა მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის ზრდა;
- სკოლებში ურთიერთთანამშრომლობის კულტურის დამკვიდრება;
- მასწავლებელთა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება ურთიერთსწავლების გზით.

სკოლაში მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა და კოლეგებთან კომუნიკაცია აამაღლებს მათ როგორც საგნობრივ, ისე მეთოდურ კომპეტენციას, რაც, თავის მხრივ, პოზიტიურად აისახება სასწავლო პროცესზე. იმ სკოლაში, სადაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მიმდინარეობს, თვალში საცემია შემდეგი პროცესები:

- მასწავლებლები აკვირდებიან ერთმანეთის საქმიანობას, „კრიტიკული მეგობრის“ პოზიციიდან განიხილავენ თითოეულის გამოცდილებას;
- დაკვირვებისა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე ადგენენ პროფესიულ საჭიროებებს;
- ერთად მუშაობენ სასწავლო პროგრამის დაგეგმვაზე, განხორციელებასა და შეფასებაზე;
- რეგულარულად იკრიბებიან სწავლების პრობლემების განსახილველად და ერთობლივად პოულობენ მათი გადაჭრის გზებს;
- უზიარებენ ერთმანეთს სხვადასხვა გზით მოპოვებულ სიახლეებს სწავლებისა და სწავლის შესახებ, საკუთარ გამოცდილებას;
- იყენებენ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ელემენტებს და უზიარებენ კვლევის შედეგებს როგორც საკუთარი, ისე სხვა სკოლების პედაგოგებს.

მარიამ გოდუაძე

თანასწავლება

თანასწავლება (co-teaching) გუნდური სწავლების სახეა და საგაკვეთილო პროცესში მოიაზრებს თანაბარი განათლების მქონე ორ ინდივიდს, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ განათლება ერთსა და იმავე დისციპლინაში და აწვდიდნენ ან არ აწვდიდნენ მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო ინსტრუქციებს მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯგუფებს. სწავლების ეს ტიპი, როგორც წესი, ხორციელდება სკოლამდელ დაწესებულებებშიც და სკოლაშიც სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. თანასწავლებისას განათლების ორი მუშაკი – ორი პედაგოგი – ერთად გეგმავს, აყალიბებს, ახორციელებს საგაკვეთილო პროცესს, მიუთითებს და აფასებს ერთი და იმავე ჯგუფის მოსწავლეებს ერთსა და იმავე სივრცეში. თანასწავლების თვალსაჩინო ნიმუშები გვხვდება თანამედროვე მსოფლიოს ინკლუზიურ საკლასო სივრცეში, სადაც **საგნის ძირითადი მასწავლებელი და სპეცმასწავლებელი ინაწილებენ პასუხისმგებლობას საკლასო დაგეგმვასა და მოსწავლეთათვის ინსტრუქციების თანაბრად მიწოდებაზე. ეს ემსახურება ინკლუზიას (ჩართულობას) და მეტი სარგებლობა მოაქვს ყველა მოსწავლისთვის.**

ამ განსაზღვრის კვალდაკვალ ბუნებრივად დაისმის კითხვა: როგორ შეიძლება, მსგავსი როლები გაინაწილონ სერტიფიცირებულმა და დამწყებმა პედაგოგებმა ან თუნდაც პრაქტიკაზე მყოფმა სტუდენტებმა? ამ კითხვის გასაღები იქ არის, სადაც პოზიტიურად გაიაზრება თანასწავლების, ე.წ. ქოუთიჩინგის, ცნება, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც **ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ორი გაწვრთნილი ინდივიდის ჩართულობა, თანამშრომლობა მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯგუფებთან ზიარ სივრცეში, საზიარო მიზნებით.** ამ შემთხვევაში აქცენტი ვერ იქნება „თანაბრად კვალიფიციურობაზე". მხოლოდ თანამშრომელმა, კეთილგანწყობილმა და სათნო მასწავლებლებმა შეიძლება ზიდონ ლიდერის ტვირთი იმ მოტივით, რომ თანასწავლებამ შესაძლოა გაზარდოს ეფექტურობა და მოგვცეს საუკეთესო შედეგი კლასში, სადაც ძირითადი მასწავლებელი და სპეცმასწავლებელი ინაწილებენ ინსტრუქტირებისა და კლასის მართვის პასუხისმგებლობას.

თანახმად ინსტრუქციული მოწყობისა, რომელსაც გულისხმობს თანასწავლების ფორმატი (co-teaching format), ორივე პედაგოგმა თანაბრად უნდა მიიღოს მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში - ისინი სრული პარტნიორები უნდა გახდნენ. ეს არ გულისხმობს ერთდროულად ანალოგიური, მსგავსი რამის კეთებას. ეს გულისხმობს, რომ თითოეული მასწავლებლის როლი მიმართული იქნება გაკვეთილის ეფექტურობისა და შედეგიანობისკენ. როდესაც ერთ-ერთი მასწავლებელი დამწყებია/სტუდენტია, სწავლობს პარტნიორი მასწავლებლისგან, რომელსაც ასევე გააზრებული აქვს, რომ დამწყები პედაგოგი გადამზადებულია და მასაც შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში რამე ღირებულის შეთავაზება. **გამოწვევაა**

> თანასწავლება გუნდური სწავლების სახეა და საგაკვეთილო პროცესში მოიაზრებს თანაბარი განათლების მქონე ორ ინდივიდს, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ განათლება ერთსა და იმავე დისციპლინაში და აწვდიდნენ ან არ აწვდიდნენ მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო ინსტრუქციებს მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯგუფებს.

თანამასწავლებელთა როლების დაბალანსება სასწავლო პროცესისა და დამწყები პედაგოგების პროფესიული მზაობის გაძლიერების მიზნით.

სხვადასხვა საგანმანათლებლო მოძრაობის შედეგად (NCLB, IDEA (2004), RTI) თანასწავლება იქცა ინკლუზიური სწავლების ერთ-ერთ სწრაფად მზარდ პრაქტიკად. მიუხედავად ამისა, სკოლებში ის ნაკლებად ხორციელდება. მეტად გავრცელებულია საკლასო ოთახები თითო მასწავლებლით, რომელიც მარტო ირგებს როლს და „საავტორო უფლებებით“ ან მძაფრი პოსესიურობის განცდით უძღვება სასწავლო პროცესს. ეს მართვის ავტორიტარული სტილია და მოსწავლეებს ხშირად აბნევს. ამის აღმოსაფხვრელად აუცილებელია, გაკვეთილებზე გამოვიყენოთ თანასწავლების მოდელები, როდესაც ორივე პედაგოგის თანაბარი მონაწილეობით ფრთხილად და ფაქიზად დაიგეგმება საგაკვეთილო პროცესები და განისაზღვრება პარტნიორი მასწავლებლების თანაბარი უფლებები და პასუხისმგებლობები მოსწავლეთა წინაშე. როდესაც მოგვმართავენ, უნდა ვიმუშაოთ დამწყებ/სტუდენტ მასწავლებელთანაც, რადგან **თანასწავლება არის მიდგომა საზიარო პროფესიული სივრცის განვითარებისა, რაც დამწყებ მასწავლებელს**



სწავლების უნარის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.

თანასწავლების უპირატესობანი:

- აუმჯობესებს ბავშვების ინსტრუქტირებას;
- ზოგავს დროს;
- ზრდის მასალის ათვისების შესაძლებლობას;
- მეტია ჩართულობა და ურთიერთმხარდაჭერა;
- ასაკით უფროს თანამასწავლებელს ხდის უფრო ენერგიულს;
- ზრდის ყურადღებას;
- ამცირებს შედარებითობით დამოკიდებულებას;
- ამაღლებს მასწავლებლების თვითშეგნებას;
- მასწავლებლები სწავლობენ, რა სტრატეგიები გამოიყენონ მითითებისას, როგორ დაგეგმონ და ჩაატარონ მაღალი დონის გაკვეთილები Strategies & tips;
- მოსწავლეები მაგალითზე სწავლობენ თანამშრომლობას;
- იზრდება მოტივაცია და პასუხისმგებლობა.

თანასწავლების წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები:

- არაერთგვაროვნება, განსხვავებულობა და დისპოზიცია, რაც ქმნის პარტნიორი მასწავლებლების განსაკუთრებულ კავშირს;
- სურვილი, გაუზიარონ ერთმანეთს და ისწავლონ ერთმანეთისგან;
- ჰარმონიული თანაარსებობა;
- შედეგზე ორიენტირებული სწავლების ფილოსოფია;
- კომუნიკაციისა და ინტერპესონალური უნარები;
- მსგავსი ენერგიის დონე და ენთუზიაზმი სწავლებისათვის;
- შესასწავლი მასალის შინაარსი (მაგალითად, თანამასწავლებელმა რომელი საგანი უკეთ იცის – ეკონომიკა თუ ისტორია?)
- პრაქტიკის ხანგრძლივობა (მაგალითად, თუ თანამასწავლებელი სტუდენტურ პრაქტიკაზეა, აქვს თუ არა საკმარისი დრო დაკვირვების/მხარდაჭერის პერიოდიდან თანასწავლების პერიოდში გადასასვლელად?);
- დრო პარტნიორული დაგეგმვისა და საგაკვეთილო რეფლექსიებისთვის;
- ადმინისტრაციული მხარდაჭერა გეგმების ერთობლივად შედგენისა და განხორციელებისთვის.

თანასწავლების მოდელები

არსებობს თანასწავლების რამდენიმე მოდელი [Friend and Cook 1996]:

- **ერთი ასწავლის, ერთი მხარდამჭერია**: ერთი თანამასწავლებელი აძლევს მითითებებს, სანამ მეორე ეხმარება ყველას, ვისაც სჭირდება დამატებითი დახმარება გაძლიერებისთვის, აგროვებს დაკვირვების მონაცემებს ან აწარმოებს საკლასო მენეჯმენტს.
- **პარალელური სწავლება**: თანამასწავლებლები ან თანამასწავლებელი და სტუდენტი მასწავლებელი გაკვეთილს ერთად გეგმავენ, მაგრამ კლასში ერთსა და იმავე დროს ერთი ინფორმაციის სხვადასხვა მხარეს წარმოაჩენენ.
- **ალტერნატიული სწავლება**: ერთი მასწავლებელი მთელ კლასზე ზრუნავს, სანამ მეორე მუშაობს მცირე ჯგუფში კლასის შიგნით ან გარეთ. ეს მცირე ჯგუფი არ არის ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში.
- **სწავლება „სადგური“**: ორივე მასწავლებელი ინაწილებს მითითებების შინაარსს და თითოეული მათგანი იღებს პასუხისმგებლობას დაგეგმვასა და სწავლებაზე. ამგვარი სწავლებისას კლასი იყოფა რამდენიმე სასწავლო ნაწილად. თანამასწავლებელი და სტუდენტი მასწავლებელი არიან ცალკეულ „სადგურებზე“, სხვა „სადგურებზე“ კი ბავშვები მუშაობენ დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით.
- **გუნდური სწავლება**: ორივე მასწავლებელი პასუხისმგებელია გაკვეთილის დაგეგმვასა და სტუდენტებისთვის მითითებების გაზიარებაზე. გაკვეთილს ხსნის ან ასწავლის ორივე მათგანი. ისინი თანაბრად ერთვებიან ახსნის პროცესში, რათა მოსწავლეები აზრის გამოთქმისა და დისკუსიისთვის წაახალისონ. ორივე პედაგოგი აქტიურადაა ჩართული გაკვეთილის დაგეგმვასა და დისციპლინის მართვაში[1].

> თანასწავლება ინკლუზიური სწავლების ერთ-ერთი სწრაფად მზარდი პრაქტიკაა. მიუხედავად ამისა, სკოლებში ის ნაკლებად ხორციელდება. მეტად გავრცელებულია საკლასო ოთახები თითო მასწავლებლით, რომელიც მარტო ირგებს როლს და „საავტორო უფლებებით“ ან მძაფრი პოსესიურობის განცდით უძღვება სასწავლო პროცესს.

[1] Co-Teaching in Inclusive Classrooms: A Metasynthesis of Qualitative Research" Exceptional Children July 2007 vol. 73 no. 4 392-416

თანასწავლების სტრატეგიები[2]

მსგავსებები:

- საკლასო ოთახში ორი ან მეტი თანამასწავლებელია;
- მათი ცოდნის დონე, მუშაობის გამოცდილება თანაბარია;
- ორივე უზრუნველყოფს საკლასო ოთახში მოსწავლეების/სტუდენტების ცოდნის დონის გათანაბრებას და თითოეული მათგანის თანაბარ მხარდაჭერას;
- ყველა მიდგომა თანაბრად სასარგებლოა გამოყენებისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით;
- მოსწავლეები/სტუდენტები ჯგუფდებიან ჰეტეროგენულად შერეული ჩვევებითა და ინტერესებით;
- პასუხისმგებლობები თანაბრად გადანაწილებულია;
- თანაბრად მოითხოვს რწმენას, კომუნიკაციას, დაგეგმვის დროს და მხარდაჭერის კოორდინირებას.

შენიშვნა: ყველა ამ ელემენტის საჭიროება იზრდება, როცა გადავდივართ მხარდამჭერიდან პარალელურ, პარალელურიდან ალტერნატიულ და ალტერნატიულიდან გუნდურ თანასწავლებაზე.

თანასწავლების განმასხვავებელი ფაქტორები

მხარდამჭერი თანასწავლება	პარალელური თანასწავლება	ალტერნატიული თანასწავლება	გუნდურად სწავლება
• ერთი თანამასწავლებელი ლიდერის როლშია, მეორე მხარდამჭერია. თუმცა ისინი ამ როლებს ერთი გაკვეთილის განმავლობაში ცვლიან.	• თანამასწავლებლები მუშაობენ მოსწავლეთა განსხვავებულ ჯგუფებთან ერთ საკლასო ოთახში. • ჯგუფები კი მრავალფეროვნების ნიშნით შეირჩევა.	• თანამასწავლებელი იზიარებს პასუხისმგებლობას მთელი კლასის ჩართულობაზე. ერთი იღებს წამყვანის როლს, მეორე აიოლებს სასწავლო გეგმაზე ხელმისაწვდომობას. • ერთი ასწავლის შინაარსს, მეორე ხსნის, პარაფრაზირებს, გადმოსცემს განსხვავებულად, ამარტივებს ან აკეთებს ჩანაწერს. • ერთი წინასწარ აძლევს სპეციფიკურ ცოდნას ან სოციალურ უნარებს და ამოწმებს, როგორ იყენებენ ამ ცოდნას/ უნარებს მოსწავლეები; მეორე ორიენტირებულია აკადემიურ ნაწილზე.	• ორივე პედაგოგს აქვს თანაბარი პასუხისმგებლობა დაგეგმვაზე, მითითებების/ ინსტრუქტირების ნაწილზე, განმავითარებელ შეფასებებსა და ქულების მინიჭებაზე. • მოითხოვს ბევრ დროს დაგეგმვისათვის, რწმენას, კომუნიკაციას და მხარდაჭერის კოორდინაციას.

[2] http://www.teachhub.com/effective-co-teaching-strategies

თანასწავლების პოტენციური პრობლემები

მხარდამჭერი თანასწავლების საფრთხეები	პარალელური თანასწავლების საფრთხეები	ალტერნატიული თანასწავლების საფრთხეები	გუნდური თანასწავლების საფრთხეები
• ვერიდოთ „ველკრო ეფექტს“ (Velcro effect), როდესაც მხარდამჭერი თანამასწავლებელი მიმართულია მხოლოდ ერთი ან რამდენიმე შერჩეული მოსწავლისკენ ან რიყავს შერჩეულ მოსწავლეებს და თანამასწავლებელს. • ვერიდოთ მხარდამჭერი თანამასწავლებლის „დისციპლინის ოფიცრად“ ქცევას, მის გამოყენებას მხოლოდ რესურსების მომამზადებლად ან ნაშრომების გამსწორებლად. გვახსოვდეს, ისიც ისეთივე ინსტრუქტორია, როგორიც ნებისმიერი სხვა პედაგოგი. • ვერიდოთ მხარდამჭერი თანამასწავლებლის (მაგ., სპეცმასწავლებლის და სხვ.) არაეფექტურ შემოწმებებს. • ვერიდოთ აღშფოთებას, თუ მხარდამჭერი თანამასწავლებლის (მაგ., სპეცპედაგოგის) უნარები არ გამოიყენება სათანადოდ ან წამყვანი თანამასწავლებელი პასუხისმგებლობის სიმძიმეს გრძნობს. • თავი არიდეთ მხარდამჭერის როლში დარჩენას, თუ დაგეგმვისთვის დრო არ გეყოთ.	• ვერიდოთ სპეციალური კლასების შექმნას. მათში ეცემა მოსწავლეთა მიღწევები ჰომოგენური დაჯგუფების გამო და იმის გამოც, რომ ბავშვებს არ აქვთ თავიანთი უნარების წარმოჩენის შესაძლებლობა (Marzano, Pickering, & Pollack, 2001, p. 84). • ვერიდოთ ხმაურის დონის ზრდას ერთ საკლასო ოთახში არაერთგვაროვანი აქტივობების დროს. • ვერიდოთ მარცხს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს თანამასწავლებლების მითითებებმა. ჩვენ თანასწავლების პროცესში მათზე დაკვირვებისთვის დრო არ გვაქვს, რადგან ვმუშაობთ ჯგუფებთან, ინდივიდებთან და ასე ვასრულებთ თანასწავლების პირობას.	• ვერიდოთ იმ მოსწავლეთა შეუფასებლად დატოვებას, რომლებსაც ეს სჭირდებათ. • ვერიდოთ ხანგრძლივ სალექციო ჩართვებს, გამეორებებს, მოსწავლეთა/სტუდენტთა ინტერაქციისთვის დროის ნაკლებობას. • ვერიდოთ ტიპურ შემთხვევებს „ექსპერტებისა“ და „ჩვეულებრივი მასწავლებლების“ როლებით. ორივე – „ექსპერტიც“ და „ჩვეულებრივი მასწავლებელიც“ – თანამასწავლებელია. • ვერიდოთ „თავისუფალ როლებს“ – ყველა თანამასწავლებელი ერთნაირად უნდა ასწავლიდეს საგაკვეთილო მასალას.	• ვერიდოთ იმ მოსწავლეთა შეუფასებლად დატოვებას, რომლებსაც ეს ძალიან სჭირდებათ. • ვერიდოთ ბევრ სალექციო ჩართვას, გამეორებას და მოსწავლეთა ინტერაქციის ნაკლებობას.

სასარგებლო რესურსები:

1. Villa, R. Thousand, J., & Nevin, A. (in process). More students, More Resources: Unleashing the Power of Students in Instruction, Advocacy, & Decision-Making. Thousand Oaks, California: Corwin Pres.
2. Nevin, A., Villa, R., & Thousand, J. (2009). A Guide to Co-Teaching with Paraeducators Practical Tips for K-12 Educators. Thousand Oaks, California: Corwin Pres. (800) 818-7243
3. Villa, R. Thousand, J., & Nevin, A. (2008). A Guide to Co-Teaching: Practical Tips for Facilitating Student Learning (2nd. Ed.). Thousand Oaks, California: Corwin Pres. (800) 818-7243
4. Villa, R. Thousand, J., & Nevin, A. (2008). Co-Teaching: A Multimedia Kit For Professional Development.? Thousand Oaks, California: Corwin Pres. (800) 818-7243
5. Villa, R., Thousand, J., & Nevin, A. (2008). Co-Teaching at a Glance. A laminated Tri-Fold Reference Guide. Port Chester, NY: National Professional Resources. (800) 453-746
6. Thousand, J., & Villa, R., & Nevin, A. (2007). ?Differentiated Instruction: A Multimedia Kit for Differentiated Instruction. California: Corwin Press (800) 818-7423
7. Villa R., & Thousand. J., (Eds). (2005). Creating an Inclusive School. ?Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development. (800) 933-2723.

ნინო ღომიძე

ვენის დიაგრამის პრაქტიკული გამოყენება სწავლებაში

> ვენის დიაგრამა საშუალებას გვაძლევს, განვავითაროთ ტექსტის ანალიზის, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი, დავაკვირდეთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს მონაცემების დახარისხება და ორგანიზება, ორ ობიექტს შორის ურთიერთმიმართების დადგენა.

ვენის დიაგრამა კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი ერთ-ერთი ეფექტური და ეფექტიანი საშუალებაა. ეს საორგანიზაციო სქემა შეგვიძლია გამოვიყენოთ მასალის ათვისების ნებისმიერ ეტაპზე (ახალი მასალის ახსნა, უკვე ნასწავლის შეჯამება, ტექსტის დამოუკიდებლად დამუშავება, საშინაო დავალების ფორმა და ა.შ.). ამჯერად ლიტერატურის გაკვეთილებზე ტერმინებისა და ცნებების შესწავლის, მათ შორის განსხვავებებისა და მსგავსებების სწავლების პროცესს შევეხებით.

აქტივობის შესახებ

ვენის დიაგრამა გამოისახება ორი ურთიერთგადამკვეთი წრეწირის სახით. წრეწირების გადაკვეთის შედეგად მიღებულ სეგმენტში იწერება ის საერთო, რაც ორ განსხვავებულ ობიექტს აქვს, მარცხნივ და მარჯვნივ კი მათი დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებები აღინუსხება. მეთოდის აღწერიდან ცხადი ხდება, რომ ვენის დიაგრამის გამოყენება შესაძლებელია ისეთი ცნებების დამუშავებისას, რომლებსაც რაღაც საერთოც აქვთ და განსხვავებულიც.

ამ გრაფიკული მაორგანიზებლის სახელწოდება მომდინარეობს ჯონ ვენის – ინგლისელი ფილოსოფოსის სახელისგან, რომელმაც დაამუშავა, აღწერა და გამოიყენა მსგავსი დიაგრამა. წიგნში „სიმბოლური ლოგიკა“ ჯონ ვენს განხილული აქვს მოვლენის, ცნების, ობიექტის სხვა, მსგავს მოვლენასთან, ცნებასა თუ ობიექტთან შედარების მეთოდი.

პრაქტიკა

ლიტერატურის გაკვეთილებზე ხშირად გვიწევს ცნებების, პერსონაჟების, სხვადასხვა ლიტერატურული მოვლენისა თუ თეორიის შედარება. ვენის დიაგრამა საშუალებას გვაძლევს, განვავითაროთ ტექსტის ანალიზის, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი, დავაკვირდეთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს მონაცემების დახარისხება და ორგანიზება, ორ ობიექტს შორის ურთიერთმიმართების დადგენა.

სანიმუშოდ განვიხილოთ ტექსტის ფუნქციური ტიპების შესწავლისას დასამუშავებელი საკითხები – **მითი და ზღაპარი**.

საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს ამ ცნებებს შორის განსხვავებები, შესაძლოა, ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული არ ჰქონდეთ. მათთვის მითი და ზღაპარი უძველესი ლიტერატურული ფორმებია, რომლებიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა უხსოვარ დროში. იმაზე დაკვირვება, რამდენად განსხვავდება მითი და ზღაპარი ერთმანეთისგან, საინტერესოცაა და შემეცნებითიც.

თავდაპირველად მოსწავლეებს ვთხოვოთ იმ ზღაპრებისა და მითების გახსენება, რომლებიც იციან, წაუკითხავთ ან შეუსწავლიათ. ამის შემდეგ ავუხსნათ მათ ვენის დიაგრამის სპეციფიკა და დავიწყოთ შესაბამისი გრაფების შევსება.

კითხვების მეშვეობით მსჯელობა წარვმართოთ ისე, რომ აშკარად გამოიკვეთოს მითებსა და ზღაპრებს შორის მსგავსებები და განსხვავებები.

სანიმუშო კითხვები:

1. ამ ორი ფორმიდან რომელი იწყება სიტყვებით „იყო და არა იყო რა“ და სრულდება სიტყვებით „ჭირი იქა, ლხინი აქა“? (ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ზღაპარს ახლავს დასაწყისისა და დასასრულის აღმნიშვნელი ე.წ. სიტყვიერი ფორმულები, რომლებიც მითში არ გვხვდება)
2. რა მოტივები, რა თემები ხვდებათ ზღაპრებში და რა – მითებში? (ზღაპრებისთვის დამახასიათებელია ჯადოსნური ელემენტები – უკვდავების წყალი, ჯადოსნური ჯოხი, უჩინმაჩინის ქუდი... მითებში კი ასახულია წარმოდგენები სამყაროს სტრუქტურის, ბუნებრივი მოვლენების, ადამიანების ბედის, სეზონური ცვლილებების შესახებ)
3. რომელში გვხვდება გმირების სახელები? (ზღაპრის გმირებს, უმეტესად, მოიხსენიებენ საზოგადო სახელებით: „ხელმწიფის შვილი“, „მზეთუნახავი“, „უმცროსი ვაჟი“, ან მეტსახელებით, რომლებშიც ხასიათის/გარეგნობის თავისებურებაა ხაზგასმული: ნაცარქექია, წითელქუდა, კოკროჭინა, მუჭანახევარა... მითების გმირებს კი საკუთარი სახელები აქვთ: ამირანი, იახსარი, კოპალა, ზევსი, პრომეთე და სხვა)
4. სად არის დაკონკრეტებული გეოგრაფიული არეალი? (მითებში, წესისამებრ, გეოგრაფიული ადგილები სახელდებულია და მკითხველსა თუ მსმენელს ზუსტი წარმოდგენა ექმნება იმის შესახებ, სად ხდება მოქმედება, ზღაპრებში კი ადგილმდებარეობა ზოგადად, დაუკონკრეტებლადაა მონიშნული: „ცხრა მთას იქით“, „შორეულ სახელმწიფოში“, „ტყის მახლობლად“ და ა.შ.)
5. მსმენელებისთვის ძველად რომელი უფრო დამაჯერებელი და სარწმუნო იყო – მითი თუ ზღაპარი? (მითსა და ზღაპარს შორის ამ კუთხით განსხვავება აშკარაა: მითები ადამიანებისთვის სამყაროს შესახებ „სარწმუნო“ ცნობებს შეიცავდა, მსმენელებს ნამდვილად სჯეროდათ იმისა, რასაც მითებით იგებდნენ. ძველი ბერძნებისთვის სეზონური ცვლილებები მარტივად „აიხსნებოდა“ იმით, რომ დედა გლოვობდა ქვესკნელში გატაცებულ ქალიშვილს. ზღაპრის მსმენელმა კი იცის, რომ ის გამოგონილ, არარეალურ, ჯადოსნურ ამბავს ისმენს. შესაბამისად, მითის ფუნქცია სამყაროს ახსნაა, ზღაპრისა კი – გართობასთან ერთად სწავლება/შემეცნება).
6. სად იმარჯვებს კეთილი და მარცხდება ბოროტი? უმეტესად რომელ მხატვრულ



ვენის დიაგრამა კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი ერთ-ერთი ეფექტური და ეფექტიანი საშუალებაა. ეს საორგანიზაციო სქემა შეგვიძლია გამოვიყენოთ მასალის ათვისების ნებისმიერ ეტაპზე.

ფორმაშია დაცული ეს კანონზომიერება? (ზღაპრებისთვის ბოროტი ძალის დამარცხება უმნიშვნელოვანესი ასპექტია. მითებში ეს კანონზომიერება არ გვხვდება. კეთილი, მამაცი გმირები იქ ხშირად იღუპებიან ან უბედურებას გადაეყრებიან ხოლმე, მარცხდებიან ან დასახულ მიზანს ვერ აღწევენ. ასეთი რამ ზღაპარში იშვიათია, რადგან ზღაპრის დანიშნულება მორალური ორიენტირების დასახვაც არის. ზღაპრის გმირებს უამრავი დაბრკოლება ხვდებათ, მაგრამ იქვე ნაჩვენებია მათი გადალახვის გზებიც. ამ მხრივ ზღაპარს სოციალური/შემეცნებითი/აღმზრდელობითი დანიშნულებაც ჰქონდა. ბედნიერი დასასრული ამ შემთხვევაში საკვანძო მოცემულობაა)

მოცემულ კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებელი ან თავად ავსებს ვენის დიაგრამის გრაფებს, ან მოსწავლეებს სთხოვს მათ რიგრიგობით შევსებას. საბოლოოდ მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროები შეივსება განმასხვავებელი ნიშან-თვისებების ჩამონათვალით, საერთო გრაფაში კი მოსწავლეებს შეუძლიათ ჩაწერონ ის საერთო, რაც მითსა და ზღაპარს შორის დაინახეს და კლასს წარუდგინონ. კარგი იქნება წყვილებად ან ჯგუფებად მუშაობაც.

მოსწავლეები ხშირად ინტერესდებიან იმით, რა განსხვავებაა დღესდღეობით ძალიან პოპულარულ ფენტეზის ჟანრსა და ფანტასტიკას შორის. ამ საკითხის დამუშავება ვენის დიაგრამის გამოყენებით თვალნათლივ წარმოაჩენს განსხვავებებს ორი სახელწოდების მქონე, შინაარსობრივად კი სრულიად განსხვავებულ ჟანრს შორის.



ჩვენ მიერ ვენის დიაგრამაზე დატანილი ცნობები ასევე საორიენტაციო ხასიათისაა. მოსწავლეებს შეუძლიათ, ფანტასტიკისა და ფენტეზის ჟანრის ტექსტების შედარების საფუძველზე თავად გამოიტანონ დასკვნა, რომ ფანტასტიკურ ტექსტებში აღწერილი არარეალური ამბები მეტად „დამაჯერებელია“, ავტორები ცდილობენ, თხრობა ლოგიკური ან ფსევდოლოგიკური, მეცნიერული ან ფსევდომეცნიერული სტილით წარმართონ, ფენტეზის ჟანრის ტექსტებში კი მოვლენების ლოგიკური ახსნა არ გვხვდება, რადგან მკითხველმა იცის, რომ ჯადოსნურ, მაგიურ, ირეალურ სამყაროში იწყებს მოგზაურობას. მიმართება დაახლოებით იგივეა, რაც ზღაპრის შემთხვევაში, როდესაც მსმენელები წინასწარ იყვნენ განწყობილნი გამოგონილი ამბების მოსასმენად. ნიშანდობლივია ისიც, რომ ფენტეზის ჟანრის ტექსტებში ხშირია ზღაპრული, მაგიური, ჯადოსნური მოტივები და ატრიბუტები. ასევე ვხვდებით ალუზიებს მითოლოგიიდან, ზღაპრებიდან. ფანტასტიკურ ტექსტებში კი ალტერნატიულ სამყაროს ვეცნობით. ავტორი ყოველთვის ცდილობს, დააჯეროს მკითხველი და უხსნის მას ფანტასტიკური დაშვების წინაპირობას (რატომ არის ისე, როგორც არის, რა მოხდა, რამ გამოიწვია ის არსებითი ცვლილებები, რომლებიც აღწერილია ტექსტში).

ვენის დიაგრამის შევსების შემდეგ, მასალის განსამტკიცებლად, სასურველია, მოსწავლეებმა შეასრულონ წერითი დავალება, სადაც ისინი განავრცობენ მიღებულ ინფორმაციას, მიმოიხილავენ მოცემულ საკითხებს, მოიყვანენ კონკრეტულ მაგალითებს.

ნინო ჭიაბრიშვილი

სანიმუშო გაკვეთილი ეკონომიკაში

2018-2019 სასწავლო წლიდან მე-3 და მე-4 კლასებში ახალი საგნის – „მე და საზოგადოების“ სწავლება იწყება. რაკი მასში ეკონომიკის საკითხებიც არის შესული, გადავწყვიტეთ, რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილი შემოგთავაზოთ, რომლებიც სინთია ლიბისა და რობერტ ლ. სტაუტის წიგნიდან „სასწავლო სტრატეგიები 3-4“[1] არის თარგმნილი და ადაპტირებული.

ჩვენი სურვილები ანიდან ჰაემდე

1. **მიზნები:**
   - მოსწავლეებმა უნდა გაიგონ, რომ ეკონომიკური სურვილები ის სურვილებია, რომლებიც რამის ქონებას უკავშირდება.
   - რომ ადამიანების ეკონომიკური სურვილები განუსაზღვრელია და მათ არ შეუძლიათ ჰქონდეთ ყველაფერი, რაც სურთ.
2. **თეორია:** ეკონომიკური სურვილები არის სურვილები, რომელთა დაკმაყოფილება შესაძლებელია საქონლით ან მომსახურებით. ისინი განუსაზღვრელია და მათი სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია.
3. **კონცეფციები:** ეკონომიკური სურვილები.
4. **მასალები:** 33 ცალი სახატავი ფურცელი, 2 ცალი შედარებით სქელი ფურცელი გარეკანისთვის, ფერადი ფანქრები, პასტელები, ფლომასტერები ან ფანქრები თითოეული მოსწავლისთვის, სტეპლერი. სახატავი ფურცლების (33 ცალი) ზედა კუთხეში დაწერეთ ანბანის თითო ასო. შედარებით სქელი ფურცელი გამოიყენეთ წიგნის გარეკანად და დააწერეთ: „ჩვენი სურვილები ანიდან ჰაემდე, შედგენილი ამა და ამ კლასის მიერ“. რამდენიმე მოსწავლეს მოახატვინეთ გარეკანი.
5. **მსვლელობა:**
   - სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ ნივთები, რომლებიც უნდათ, ჰქონდეთ დაბადების დღისათვის. მას შემდეგ, რაც თითო ნივთს დაასახელებენ, აღნიშნეთ, რომ თითოეულ მათგანს განსხვავებული ეკონომიკური სურვილები აქვს და რომ ადამიანებს ძალიან ბევრი სურვილი, მოთხოვნილება აქვთ. აუხსენით, რომ შეუძლებელია გვქონდეს ყველაფერი, რაც გვინდა.
   - უთხარით, რომ მათ უნდა გააკეთონ ანბანის დიდი წიგნი სურვილების შესახებ.
   - მიეცით თითოეულ მოსწავლეს ამ წიგნის თითო ფურცელი. თუ 33-ზე მეტი გყავთ, ამუშავეთ წყვილებად, თუ ნაკლები – მიეცით რამდენიმეს 2 ან მეტი ფურცელი.

> მოსწავლეებმა უნდა გაიგონ, რომ ეკონომიკური სურვილები ის სურვილებია, რომლებიც რამის ქონებას უკავშირდება; რომ ადამიანების ეკონომიკური სურვილები განუსაზღვრელია და მათ არ შეუძლიათ ჰქონდეთ ყველაფერი, რაც სურთ.

[1] Cynthia Lieb, Robert L. Stout, Teaching Strategies 3-4.



- სთხოვეთ, დაასახელონ ფურცელზე დაწერილი ასოები
- და სასურველი ნივთი, რომლის სახელწოდებაც მოცემულ ასოზე იწყება. დაავალეთ, დაეხმარონ სხვებს გონებრივი იერიშის გზით.





- დაავალეთ, დახატონ სასურველი საგნები, რომლებიც მოცემულ ასოზე იწყება. დაეხმარეთ, დაწერონ საკუთარი სურვილი და ერთი წინადადება ამ სურვილის შესახებ.
- დაალაგეთ ფურცლები ანბანის მიხედვით და აკინძეთ სტეპლერით.

6. **დასკვნითი ნაწილი:** შემოიკრიბეთ მოსწავლეები, რათა ერთად წაიკითხონ თავიანთივე შექმნილი წიგნი. იმსჯელეთ მათ უსაზღვრო სურვილებზე (მოთხოვნილებებზე). გაახსენეთ, რომ გვაქვს ბევრი სურვილი, მაგრამ ყველას დაკმაყოფილება არ შეგვიძლია.

7. **კავშირი სხვა საგნებთან:**

მეტყველება – თუ მოსწავლეებს აქვთ პირადი დღიური, ჩაწერონ ან ჩახატონ თავიანთი სურვილები.

ხელოვნება – სთხოვეთ, გაზეთიდან ან ჟურნალიდან ამოჭრილი სურათებით გააკეთონ სურვილების წიგნი.

მათემატიკა – სთხოვეთ, დანომრონ თავიანთი შედგენილი წიგნის ფურცლები.

ოჯახის კუთხე. ცნობის ფურცელი ოჯახისთვის: ჩვენ ვიწყებთ ეკონომიკის შესწავლას. ამ საგანს ვეცნობით ჩვენი უსაზღვრო სურვილების საშუალებით. უკვე ვისწავლეთ, რომ ჩვენი სურვილები უსაზღვროა და შეუძლებელია გვქონდეს ყველფერი, რაც გვსურს. დაუსვით თქვენს შვილს შეკითხვა ჩვენი ანბანის შესახებ და ესაუბრეთ ოჯახის წევრების სურვილებზე (მოთხოვნილებებზე).

ყველას ყველაფერი უნდა

1. **მიზნები:**
   - სურვილების (მოთხოვნილებების) განსაზღვრა;
   - რესურსების განსაზღვრა;
   - ახსნან, რატომ არის შეუძლებელი, ადამი-

ანებს ჰქონდეთ ყველაფერი, რაც სურთ.

2. **მოკლე შინაარსი:** შეზღუდულობა ძირითადი ეკონომიკური პრობლემაა. რაკი ადამიანთა სურვილები (მოთხოვნილებები) შეუზღუდავია, რესურსები კი – შეზღუდული, შეუძლებელია, ადამიანებმა მიიღონ ყველა სასურველი

საქონელი და მომსახურება. შეზღუდულობა აიძულებს ადამიანებს, გააკეთონ არჩევანი, რომელი სურვილი დაიკმაყოფილონ. ეკონომიკური სურვილები (მოთხოვნილებები) შესაძლებელია დაკმაყოფილდეს საქონლისა და მომსახურების მოხმარებით. მწარმოებლები რესურსებით აწარმოებენ იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც მომხმარებელს სურს. ეს რესურსები არის ბუნებრივი, ადამიანური ან ადამიანის ხელით შექმნილი.

3. **კონცეფციები:** შეზღუდულობა, სურვილები (მოთხოვნილებები), რესურსები, საქონელი, მომსახურება.

4. **მიმოხილვა:**
   - სურვილები არის ის ყველაფერი, რისი ქონებაც გსურს.
   - შეუძლებელია გქონდეს ყველაფერი, რაც გსურს, რადგან რესურსები შეზღუდულია.

5. **მასალები:** ძველი გაზეთები და ჟურნალები, მაკრატელი თითოეული მოსწავლისთვის, თაბახის ან უფრო დიდი ფორმატის ქაღალდი თითოეული მოსწავლისთვის, წებო.

6. **მსვლელობა:** აუხსენით, რომ თითოეულ ჩვენგანს უამრავი სურვილი (მოთხოვნილება) აქვს. ჩვენ გვინდა ნივთები საკუთრივ ჩვენთვის, ჩვენი ოჯახის წევრებისთვის, სკოლისთვის, ქალაქისთვის, ქვეყნისა და დედამიწისთვის. გვაქვს ბევრი სურვილი, რომლებიც სხვა ადამიანების სურვილების მსგავსია, მაგრამ ასევე გვაქვს განსხვავებული სურვილებიც. სურვილები უსაზღვრო, შეუზღუდავია.

ა. მიეცით მოსწავლეებს 5 წუთი მათთვის სასურველი ნივთების სიის შესადგენად. სთხოვეთ, მოიფიქრონ რაც შეიძლება მეტი განსხვავებული ნივთი.

ბ. სთხოვეთ, გაუზიარონ საკუთარი სურვილები კლასს. იმსჯელეთ იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სურვილი მხოლოდ მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება (სათამაშო, მაღალი ქულები, ტკბილეული), ზოგი კი – ადამიანთა ჯგუფისას (ოჯახური პიკნიკი, დაფა კლასისთვის).

> ეკონომიკური სურვილები არის სურვილები, რომელთა დაკმაყოფილება შესაძლებელია საქონლით ან მომსახურებით. ისინი განუსაზღვრელია და მათი სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია.

გ. მიეცით დამატებით 5 წუთი სიის შესავსებად. აუხსენით, რომ ადამიანების სურვილები და მათი დაკმაყოფილების საშუალებები ხშირად ვერ თანხვდება ერთმანეთს, რადგან სურვილი გაცილებით მეტია, დაკმაყოფილების შესაძლებლობა კი – ნაკლები.

დ. განმარტეთ რესურსები როგორც ის, რასაც იყენებენ მწარმოებლები ჩვენი სურვილების (მოთხოვნილებების) დასაკმაყოფილებლად საჭირო საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. აუხსენით, რომ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობა შეზღუდულია, ვინაიდან არ არსებობს საკმარისი რესურსი ადამიანისთვის სასურველი ყველა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. განსაზღვრეთ საქონელი როგორც ხელშესახები რამ, რაც ჩვენს სურვილებს აკმაყოფილებს და მომსახურება – როგორც სხვა ადამიანთა მოქმედება, რომლის საშუალებითაც ისინი ასევე აკმაყოფილებენ ჩვენს სურვილებს (თუ მოსწავლეებს გაუჭირდათ საქონლისა და მომსახურების განსხვავება, დაუსახელეთ რამდენიმე მაგალითი).

ე. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ რამდენიმე საქონელი და მომსახურება, რომლებიც მათ რამდენიმე მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს (მოთხოვნილება: ახალი სათამაშო; საქონელი: სათამაშო. მოთხოვნილება: მოკლე თმა; მომსახურება: თმის შეჭრა).

3. სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ძველი ჟურნალ-გაზეთები და იპოვონ იმ საქონლისა და მომსახურების ამსახველი სურათები, რომლებიც ადამიანთა სურვილებს აკმაყოფილებს. დაავალეთ, თაბახის ფურცელს ცალ-ცალკე სვეტებად დააკრან ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი საქონლისა და მომსახურების მაგალითები.

დასკვნითი ნაწილი: დაავალეთ მოსწავლეებს, იფიქრონ იმ მოთხოვნილებების შესახებ, რომლებიც მათ სასკოლო ცხოვრებას ეხება (ახალი სათამაშო მოედანი, ახალი ფანჯრები, მცირერიცხოვანი კლასები). სთხოვეთ, ახსნან, რატომ არ შეიძლება ჰქონდეთ ყველაფერი, რაც სკოლისათვის სურთ. უთხარით, რომ როცა ჩვენი მოთხოვნილებები მათ დასაკმაყოფილებლად საჭირო რესურსებს აღემატება, ჩნდება შეზღუდულობა.

მოთხოვნილებები > რესურსები = შეზღუდულობა.

საოჯახო კუთხე – მოიწვიეთ კლასში რამდენიმე მშობელი და ბებია-პაპა, რათა ისაუბრონ იმ არჩევანის შესახებ, რომელიც ბავშვობაში გააკეთეს სასურველი საქონლისა და მომსახურების მისაღებად. სთხოვეთ მოსწავლეებს, შეადარონ სამი თაობის არჩევანი – თავიანთი, მშობლებისა და ბებია-პაპისა.

შეიძლება ვისაუბროთ იმაზეც, როგორ განსხვავდება მაღაზიაში შესული მშობლისა და შვილის სურვილები. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ როცა მიიღებ იმას, რაც გსურდა, კმაყოფილებას მაინც ვერ გრძნობ.

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge



ირმა ცავეიძე

ვონეგუტის წერილი მოსწავლეებს

ამერიკელი მწერლის კურტ ვონეგუტის ამ წერილს – სკოლის მოსწავლეებისადმი დიდი გულწრფელობით მიწერილს – შემთხვევით გადავაწყდი. შემეძლო დამეწერა, დიდი ამერიკელი მწერლის-მეთქი და არც შევცდებოდი. კურტ ვონეგუტის წიგნები ქართულად თარგმნილიცაა და გამოცემულიც; იმ მკითხველებსაც ვიცნობ, მწერლის ყველა წიგნის წაკითხვა რომ გულით სურთ და გამოცემებს ერთმანეთს უცვლიან. სწორედ ერთმა ასეთმა მკითხველმა მათხოვა რუსულად თარგმნილი „სარწეველა ფისოსათვის“ საუკუნის დასაწყისში. მერე ესე ვთარგმნე ლიტერატურული ჟურნალისთვის და მწერლის სტილმა თუ მეტად თავისებურმა იუმორმა კიდევ უფრო მომხიბლა. ამ წერილის კითხვისასაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი ავტორი კურტ ვონეგუტია – კაცი, რომელსაც შეეძლო, ყველაზე მწარე სიმართლე სიცილით ეთქვა.

2006 წელს ნიუიორკელმა ინგლისურის მასწავლებელმა, ვინმე ლოკვუდმა, მოსწავლეებს სთხოვა, წერილები მიეწერათ საყვარელი მწერლისთვის და დაერწმუნებინათ ის, რომ მათ სკოლას სწვეოდა. ხუთმა მოსწავლემ სწორედ კურტ ვონეგუტს მისწერა. მართალია, მწერალმა მათი სურვილის შესრულება ვერ შეძლო, მაგრამ საპასუხო წერილი გაუგზავნა მოსწავლეებს.

„5 ნოემბერი, 2006

ძვირფასო ქსავიერის სკოლავ, მის ლოკვუდ, მისტერ პერინ, მისტერ მაკფილი, მისტერ ბეტენ, მისტერ მორერ და მისტერ კენჯიუსტა,

მადლობას გიხდით გულთბილი წერილებისთვის. კარგად გცოდნიათ, როგორ უნდა გაამხნეთ 84 წლის ბერიკაცი, რომელსაც წინ დიდი გზა აღარ უდევს. საზოგადოებაში უკვე აღარ ვჩნდები, იმიტომ რომ ახლა, არც მეტი, არც ნაკლები, იგუანას ვგავარ.

თანაც, რაც თქვენთვის მაქვს სათქმელი, ბევრ დროს არ მოითხოვს: მიჰყევით ხელოვნებას, ხელოვნების ნებისმიერ დარგს. აირჩიეთ, რაც გსურთ: მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, ხატვა, ძერწვა, მსახიობობა, ლექსების წერა, მოთხრობების წერა, ესეების წერა, რეპორტაჟების მომზადება... სულერთია, როგორ გამოგივათ – ცუდად თუ კარგად. ეს იმისთვის კი არ უნდა აკეთოთ, რომ ფული იშოვოთ ან ცნობილი გახდეთ, – მთავარია, ვიღაც სხვად იქცეთ, აღმოაჩინოთ, რაც თქვენშია დაფარული, სულიერად გაიზარდოთ.

მაშ, მიჰყევით ხელოვნებას, ხელოვნების ნებისმიერ დარგს. დიახ, სულერთია, როგორ გამოგივათ – ცუდად თუ კარგად. ეს იმისთვის კი არ უნდა აკეთოთ, რომ ფული იშოვოთ ან ცნობილი გახდეთ, არამედ იმის აღმოსაჩენად, რაც თქვენშია დაფარული.

სერიოზულად! ამწუთასვე დაიწყეთ, შეუდექით ხელოვნების გზას და ცხოვრების ბოლომდე არ გადაუხვიოთ. მთელი ცხოვრება ამ საქმეს მოახმარეთ. ადექით და მის ლოკვუდი დახატეთ, – გინდა ლამაზად, გინდა სასაცილოდ, – მერე კი ეს ნახატი მასვე გადაეცით. სკოლიდან შინ დაბრუნებულმა ცეკვა დაიწყეთ, სააბაზანოში იმღერეთ და ასე. კარტოფილის პიურესგან კაცის სახე გამოძერწეთ. გრაფიდრაკულა განასახიერეთ.

აი, დღევანდელი დავალებაც (იმედი მაქვს, მის ლოკვუდი ქულას არ დაგიწერთ, თუ ამ დავალებას არ შეასრულებთ): დაწერეთ ექვსსტრიქონიანი ლექსი – რაზეც გინდათ, იმაზე. ოღონდ აუცილებლად გარითმეთ. აბა, რა აზრი აქვს ჩოგბურთის თამაშს, თუ მაგიდაზე ბადე არ იქნება გაბმული. ეცადეთ, რაც შეიძლება კარგი ლექსი დაწეროთ. მაგრამ ამაზე სიტყვა არავისთან დაგცდეთ. არავის აჩვენოთ ეს ლექსი, არც ვინმეს წაუკითხოთ – არც შეყვარებულს, არც დედას, არც მამას, არც ვინმე სხვას, მის ლოკვუდსაც კი არა. გასაგებია?

მერე პაწაწინა ნაკუწებად დახიეთ და ერთმანეთისგან კარგა მანძილით დაშორებულ ნაგვის ურნებში ჩაყარეთ. მიხვდებით, რომ უკვე მიგიღიათ დიდებული ჯილდო სწორედ ამ ლექსისათვის: ვიღაც სხვად ქცეულხართ, ბევრი რამ შეგიტყვიათ იმის შესახებ, რაც თქვენშია დაფარული, სულიერად გაზრდილხართ.

ღმერთმა დაგლოცოთ ყველა!

კურტ ვონეგუტი“

მის ლოკვუდის ადგილას, ქულას მართლაც არ დავუწერდი მოსწავლეს, რომელიც არ დამხატავდა და ექვსსტრიქონიან ლექსს არ დაწერდა, უფრო სწორად, ამ ლექსის დაწერისა და ნაკუწებად ქცევის ამბავს წვრილად არ მოგიყვებოდა. ჩემი მხრივ, ვეტყოდი, ეს რობერტ ფროსტმა შეადარა ურითმო ლექსების წერა ბადის გარეშე ჩოგბურთის თამაშს-მეთქი და ამ დიდი პოეტის ლექსების კითხვასაც მოვყვებოდი.

დავბრუნდეთ ნიუ-იორკიდან.

კარტოფილის პიურესგან კაცის სახის გამოძერწვასა და სააბაზანოში ამღერებას ჩვენს ქვეყანაშიც არაფერი უდგას წინ. ფული, დიდება – გარჯად არ ღირს. დავუჯეროთ ვონეგუტს: ყველაზე მნიშვნელოვანი ის აღმოჩენებია, რომლებამდეც საკუთარ თავზე დაკვირვებას მივყავართ, ყველაზე დიდი ჯილდო კი – ის, რომელსაც მაშინ ვიღებთ, როცა მასზე წამითაც კი არ ვფიქრობთ.

ДАВИТ ГОРГОДИЗАДЕ

უბანი და აჩრდილები

პირველ სექტემბერს შავი შარვალ-კოსტიუმითა და ბაფთით მოვიდა. ეს გარდასახვა უჩვეულო იყო მისთვის. იქამდე მხოლოდ ეზოსთვის განკუთვნილი საგარეო ტანსაცმლითა და ხელში ხის ხმლით მყავდა ნანახი. შორიდან ვიცნობდი. მე-14 კორპუსის, ჩვენსაზე გაცილებით ძლიერი დაჯგუფების წევრი იყო. წევრი კი არა, ბელადის მარჯვენა ხელიც ეთქმოდა. ჩვენზე მეტი იყვნენ, უკეთესი შეიარაღება ჰქონდათ და ჭიაკოკონასთვის ჩვენზე გაცილებით მეტ საბურავს აგროვებდნენ. მათი გვშურდა. გვშურდა არა საბურავების რაოდენობის ან ხის ხმლების გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი ჩვენზე უშიშრები ჩანდნენ – შეეძლოთ, ხევის ბოლომდე ჩასულიყვნენ და იქიდან შტაბის ასაშენებლად საჭირო ხარახურა ამოეზიდათ. შეეძლოთ უბნის იმ უხილავი საზღვრების გადაკვეთა, რომლებსაც მშობლები გვიწესებდნენ ხოლმე.

გაკვეთილზე ჩუმად იჯდა. ეტყობოდა, რომ სხვაგან დაფრინავდა, სხვა თავგადასავლებში იყო. ვინ იცის, იქნებ ხის ცხენს დააჭენებდა ხევის ფერდობზე ან იმაზე ფიქრობდა, რა ფორმა მიეცა ძველი აკუმულატორიდან ამოღებული განძისთვის, კალას რომ ვეძახდით. ენერგიას, რომელსაც მისი ორგანიზმი ათვინიერებდა, ვერაფერს უხერხებდნენ მისი თვალები, რომლებშიც რაღაც ამოუხსნელი ეშმაკობა სქრინსეივერივით ბრუნავდა ხოლმე. გაკვეთილის მოუმზადებლობის დროს, როდესაც ჩვენ შიშისგან ვძრწოდით, მას თამამად შეეძლო მასწავლებლისთვის ეთქვა, რომ გაკვეთილი არ იცოდა. არა, ამას არ აკეთებდა სიამაყით – ამაში ვერავითარ თრობას ვერ ხედავდა. უბრალოდ, არ ეშინოდა. ფიზკულტურის გაკვეთილიც კი – ურჩი მოსწავლეების სამოთხე – არავითარ ვნებას არ აღუძრავდა. სკოლა მისთვის ერთგვარი სავალდებულო სამხედრო სამსახური იყო, რომელსაც პატიოსნად იხდიდა – არ აცდენდა, არ აგვიანებდა, გაკვეთილებიდან არ იპარებოდა. სამაგიეროდ, როცა დღის ბოლო ზარი დარეკებოდა, ის ხდებოდა ყველაზე თავისუფალი ადამიანი თავისუფალ ადამიანებს შორის. თუმცა უყაირათოდ დახარჯულ თავისუფლებას შურისძიება შეუძლია.

სკოლის ცხოვრებიდან მილიონი ეპიზოდი მახსოვს, მაგრამ რომ მთხოვონ, სამი საყვარელი მომენტი გამოარჩიეო, ერთი აუცილებლად ის იქნება, ქართულში ოთხიანი რომ მიიღო. ლამაზი გაზაფხული იდგა. ბალახისა და ნუშის სურნელი საკლასო ოთახშიც კი შემოდიოდა, რომ არაფერი ვთქვა მუშმულას ხის სიმწვანეზე, რომელიც თითქოს სახეში გვეფეთებოდა ბოლო გაკვეთილის დროს, ხელ-ფეხზე გვეხვეოდა და გარეთ გვექაჩებოდა. მაშინ, როცა ამ მომენტით ვტკბებოდით, ზოგი მერხზე ხატავდა რაღაცას, ზოგი კი მეგობრობის დღიურს ავსებდა, მასწავლებელმა დაფასთან გაიძახა. ამ ფაქტისთვის ყურადღება არავის მიგვიქცევია. ჟანრის კანონიდან გამომდინარე, გვეგონა, ეპიზოდი სტანდარტულად დამთავრდებოდა, მაგრამ ცოტა ხანში მასწავლებლის ხმა გაისმა და ეს ხმა, როგორც მიშა ქვლივიძის ლექსშია, გასროლას ჰგავდა: „დაჯექი, ოთხიანი“. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, დრო გაჩერდაო, იფიქრებდი.

იმ დღეს არმენ ავაქიანი ყველაზე ბოლოს გამოვიდა კლასიდან. მე თვალი არ მომიშორებია მისთვის, სანამ სახლებისკენ მიმავალი გზები არ გაიყო. ის მოდიოდა გამარჯვებით გაბრუებული. არ ვიცი, რა ხდებოდა მაშინ მის გონებაში, მაგრამ ასეთი სევდიანი არმენა სხვა დროს არ მინახავს. მაშინაც კი, როცა წლების შემდეგ, ვაზისუბნური გარჩევის დროს, გამშველებლის პოზიციაში მყოფმა, ტყვიის ანასხლეტისგან თვალი დაკარგა.

არმენამ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა და ადრე გავიდა სკოლიდან. ჩვენ, როგორც იტყვიან, საკონტაქტოზე გავაგრძელეთ. ის უბნის ულრანებში შევიდა. უბნის გზები ბევრად უფრო გრძელი, ჩიხური და უსწორმასწოროა, ვიდრე მაშინ მეგონა. იქაურმა ჭაობებმა ჩათრევა იცის და რაგინდ ნელა იმოძრაო, რა მსხვილი ბაწარიც უნდა ჩამოგიგდონ, ძნელად თუ ამოხვალ. ეს დიდი სამყაროა პატარა უბნის შიგნით, სადაც მოხვედრა იოლია, თავის დაღწევა კი ძალიან ძნელი – ნელა-ნელა ეს სამყარო ორგანიზმში გეზრდება და მისი ნაწილი ხდები, უფრო სწორად, მისი აჩრდილი. უბნის აჩრდილები კი თან ყველგან არიან და თან არსად. მაღაზიასთანაც ხედავ, აფთიაქთანაც, ბირჟაზეც, სკოლასთანაც, მაგრამ ვერასოდეს მალავენ იმ მარტოსულობის განცდას, რომელიც ალესილი ხანჯალივით ადევთ კისერზე.

არმენას ხელზე რამდენიმე სვირინგი ჰქონდა, მაგრამ ორ მათგანზე განსაკუთრებული მოწიწებით ლაპარაკობდა ხოლმე. ერთი ძმის სახელი იყო – გოგა, მეორე – მამის, გაგო. არმენას ნაადრევად მოუწია მათი იმქვეყნად გაცილება. ის კიდევ უფრო გულჩათხრობილი და მარტოსული გახდა, მაგრამ ამ ტკივილმა საკუთარ თავში აპოვნინა ძალა, რომლის დახმარებითაც უბნის კეთილ აჩრდილად იქცა და, როგორც უბნის კეთილ არსებებს სჩვევიათ, ასწრებდა, ერთდროულად ყველას დახმარებოდა: მოხუცებს – მაღაზიიდან მძიმე ტვირთის წაღებაში, ზრდასრულებს – ხელსაქმეში. ახალგაზრდებს კი დილაადრიან ისეთ გულიან სალამს ეტყოდა, შეუძლებელია, ის დღე ცუდი ყოფილიყო. შუშის თვალი, ლურჯად რომ მოუჩანდა, შავგვრემან, გამხდარ, ტანმორჩილ ბიჭს უცხო იერს სძენდა და ისეთს გაჩვენებდა, როგორიც შინაგანად იყო – უშიშარს, გამბედავსა და გულკეთილს. მის უანგარო დახმარებას ხშირად იხსენებდა ბებიაჩემი, რომელიც ყოველ საღამოს მიყვებოდა, რაში დაეხმარა არმენა. თუმცა თავად არმენას არც ერთი ამ ფაქტის შესახებ კრინტი არ დაუძრავს.

ერთი წლის წინ, სკოლის დამთავრების მეათე წლისთავზე, აივანზე ვიდექით და ვეწეოდით. სიჩუმე იყო. ორივენი მთვრალები ვიყავით. უცებ არმენამ სიტყვა დაძრა:

– გორგილჯან, გახსოვს, ოთხიანი რო მივიღე?

– მახსოვს, არმენ, როგორ არ მახსოვს, მაგარი იყო.

– იცი, როგორ იყო? ვცადე, თუ გამომივიდოდა და გამოვიდა, რა.

– გამოგივიდა და კიდევ გამოგივა. კიდევ სცადე, რა, – ვთხოვე.

არმენას პასუხი არ გაუცია. მხოლოდ ცალ თვალში აუთამაშდა მიძინებული სქრინსეივერი.

– მოყევი, რას აპირებ, რა გეგმები გაქვს?

– წასვლა მინდა. ჩემები წავლენ და მალე მეც ჩავალ.

უბნის აჩრდილები, როგორც წესი, ვერსადაც ვერ მიდიან. ვერც არმენა წავიდა. გუშინ ის საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს – უბნის ულრანებმა კიდევ ერთი სიცოცხლე შეიწოვა და ღრმად ამოისუნთქა.

იმ დღეს, როცა არმენამ ოთხიანი მიიღო, გაზაფხული იდგა. ეზოდან ბავშვების ყიჟინა და ფიზკულტურის მასწავლებლის სასტვენის ხმა ისმოდა, ფანჯრიდან კი მუშმულას ფოთლების ხასხასა სიმწვანე იღვრებოდა. ხვალ არმენას დაკრძალვაა. იმედია, არ მოთოვს. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს.



დიანა ანფიმიადი

აუტიზმი და დამოუკიდებლობა კლასში

სულ ახლახან, 35 წლის ასაკში, მივხვდი, რომ ბევრი რამ, რისი გაკეთებაც არ ვიცი ან არ შემიძლია, იმის ბრალია, რომ არასდროს დამიყენებია საკუთარი თავი გამოწვევების წინაშე. ამიტომ არ ვიცი ცურვა, სუსტი ვარ სპორტის ყველა სახეობაში და, საზოგადოდ, ყველაფერი რომ ჩამოვთვალო, რისი გაკეთებაც არ შემიძლია, ძალიან შორს წავალ.

როდესაც აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე შვილი ან მოსწავლე გყავს, ძნელია, გაუძლო ცდუნებასა და სურვილს, ყველაფერი მის ნაცვლად აკეთო. საერთოდ, მგონია, რომ ეს ტიპური განვითარების ბავშვების ქართველი მშობლების სენიცაა. ძნელია შეგუება, რომ ბავშვი გაიზარდა, ისეთი დოზით უკვე აღარ სჭირდები, როგორითაც ადრე.

ჰოდა, მეც აქ ვარ, ჯგუფურ ფსიქოლოგიურ სეანსზე რომ სხედან ხოლმე და ბოლოს და ბოლოს აღიარებენ, ისე გიმხელთ:

– გამარჯობა, მე დიანა ანფიმიადი ვარ და მე ხშირად მიჭმევია ჩემი შვილისთვის ხელით, ხშირად ჩამიცმევია ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მის ნაცვლად ჩამომიღია სათამაშო შედარებით მაღალი თაროდან, რომელთანაც მშვენივრად შეიძლება სკამის მიდგმა, მის ნაცვლად ამილაგებია მისი მიყრილ-მოყრილი სათამაშოები, მის ნაცვლად ჩამილაგებია მისი სასკოლო ჩანთა და, მოკლედ, ბევრ რამეს ვაკეთებ მის ნაცვლად.

ამასწინათ, ერთ-ერთი კვლევისას, ბავშვთა ფსიქოლოგმა მკითხა, შეუძლია თუ არა ჩემს შვიდი წლის შვილს მაღაზიაში დამოუკიდებლად შესვლა, დაბარებული პროდუქტის ყიდვა და გამყიდველისთვის ხურდის გამორთმევა. გავოცდი, არასდროს მიფიქრია, რომ შვიდი წლის ბავშვი საერთოდ შეიძლებოდა ასეთი გამოწვევის წინაშე დამეყენებინა. ჰოდა, მივხვდი, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი შვილები, ტიპური თუ არატიპური განვითარებით, გაცილებით გვიან იზრდებიან, ცხოვრებისეულ სირთულეებს უფრო რთულად უმკლავდებიან და დიდი ხნის განმავლობაში უფრთხიან დამოუკიდებლობას.

გადმოვიტანოთ ეს სიტუაცია კლასში.

მე მასწავლებელი ვარ და კლასში მყავს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლე.

როგორ ვიქცევი? ვცდილობ, გამოწვევების წინაშე დავაყენო, ოღონდ ისე, რომ კლასში მისი ავტორიტეტი არ დავამცირო თუ, პირიქით, მინდა, ნაკლები პრობლემა ჰქონდეს და მის ნაცვლად ხშირად მე ვმოქმედებ?

როგორ გავხადოთ აუტიზმის მქონე მოსწავლე უფრო დამოუკიდებელი? მოდი, ერთად ჩამოვთვალოთ ის დეტალები, რომლებიც დაგვეხმარება:

1. მივაჩვიოთ თავის მოვლას. რასაკვირველია, ეს ერთ დღეში არ მოხდება, მით უმეტეს, თუ საქმე პირველკლასელს ეხება. ერთხელ ან ორჯერ შეიძლება გავყვეთ საპირფარეშოში და ხელების დაბანაშიც მივეხმაროთ, მაგრამ მერე თანდათან მივაჩვიოთ, რომ მარტო წავიდეს. თავდაპირველად ტუალეტის კაბინის გარეთ ველოდებით და ვახსენებთ, რომ ხელები უნდა დაიბანოს. მეორე ჯერზე ტუალეტის გარეთ, დერეფანში ველოდებით და ვეკითხებით, ხომ ნამდვილად დაიბანა ხელები და მოიწესრიგა თავი. მესამედ უკვე საკლასო ოთახთან ველოდებით, ბოლოს კი მარტო ვუშვებთ საპირფარეშოში. გააკონტროლეთ, რომ ტუალეტის კარის ჩაკეტვა და გაღება ისწავლოს, ასევე, აუტიზმის მქონე პატარებს ხშირად უჭირთ ღილის ან ელვა-შესაკრავის შეკვრა და გახსნა, ამიტომ მშობელს სთხოვეთ, პირველ ხანებში ისეთი სამოსი ჩააცვას, რომელსაც ღილის და ელვა-შესაკრავის გახსნა–შეკვრა არ სჭირდება.

მიაჩვიეთ ხელის აწევას და რვეულში დავალების ჩაწერას, თუნდაც ეს მთლად იდეალურად ვერ მოახერხოს.

2. მიაჩვიეთ და მოსთხოვეთ, გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოაწესრიგოს თავისი წიგნები, ნივთები და სასკოლო ჩანთა.

3. ეცადეთ, საკლასო სამუშაოს დროს დამოუკიდებლად იმუშაოს, ნაწილობრივ მაინც.

4. ეზოში გასვლისას თავად მოძებნოს საკუთარი ქურთუკი თუ ქუდი. თავიდან გაუჭირდება, მაგრამ ბოლოს მიეჩვევა.

5. ჯგუფური აქტივობის დროს მასაც აუცილებლად გაუნაწილეთ მოვალეობა და უთხარით, რომ ის პასუხისმგებელია დავალების შესრულებაზე.

6. თუ წიგნში სასურველ ტექსტს ვერ პოულობს, არ მოძებნოთ მის ნაცვლად, სხვაგვარად მიანიშნეთ.

7. თუ დავალების შესრულება უჭირს, მის ნაცვლად ნუ გააკეთებთ – გაუმარტივეთ და რამდენჯერმე გაუმეორეთ ინსტრუქცია. თუ ვერბალური ინსტრუქციის გაგება გაუჭირდა, ეცადეთ, ვიზუალურად აჩვენოთ დავალების არსი.

8. ეცადეთ, თვითონაც იყოს მასწავლებლის ან სხვა მოსწავლის დამხმარე, მისი ძლიერი მხარეების გამოყენებით შექმენით ისეთი სიტუაცია, სადაც ის მასწავლებელს ან თანაკლასელს დაეხმარება. ეს მას კლასში ავტორიტეტს აუმაღლებს და საკუთარი თავის რწმენას განუმტკიცებს, ეს კი დამოუკიდებლობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი და საჭირო ნაბიჯია.

ნასტასია არაბული

როგორ სწავლობს ბავშვი მეგობრობას

წლების წინ ხელში ჩამივარდა **ერთი ქალის დაწერილი წიგნი გოგონებზე** (http://bit.ly /2DH ToyN), სადაც ბევრ სხვა საინტერესო ამბავთან ერთად ეწერა მისი, როგორც დედის გამოცდილება: როგორ გადააგორა თავისი შვილების გარდატეხის წლები მშვიდად და უპრობლემოდ მხოლოდ იმიტომ, რომ თადარიგი წინასწარ დაიჭირა და როცა მისმა შვილებმა მეგობრები გაიჩინეს, თავისი სახლი შესთავაზა თავშეყრისა და გართობის ადგილად. მერე წლების განმავლობაში აკვირდებოდა მათ ურთიერთობებს, განვითარებას, სევდასა და სიხარულს, მუდმივად პულსზე ედო ხელი. გემრიელ საჭმელებს უმზადებდა, მათ გართობაში დიდად არ ერეოდა და ბავშვებს უსაფრთხო, კომფორტულ გარემოს სთავაზობდა სხვა საეჭვო ადგილების სანაცვლოდ, სადაც შეიძლება აღმოჩნდნენ სკოლის შემდეგ მოზარდები.

ამ წიგნის კითხვისას ვფიქრობდი, რა მშვენიერი რამ მოუფიქრებია ამ ქალს. მეც ეგრე მოვიქცევი, ჩვენს სახლს და დროს შვილებს და მათ მეგობრებს დაუნანებლად მოვახმარ, ადამიანებზე დაკვირვება მაინც მიყვარს, ხელის გაწვდენის მანძილზე მეყოლებიან ჩემი შვილები და მათი მეგობრები და მშვენიერი იქნება ეს ყველაფერი-მეთქი.

მე დიდად კომუნიკაბელური ბავშვი არასოდეს ვყოფილვარ. სხვებთან ურთიერთობაში ძალისხმევის დახარჯვას ჩემთვის ყოფნა მერჩივნა და ბევრი წელი დამჭირდა იმისთვის, რომ საკუთარი ნაჭუჭიდან გამოსვლა მეიძულებინა ჩემი თავისთვის. ჩემი შვილები რომ გაჩნდნენ, ბევრ სხვა რამესთან ერთად, იმაზეც დავიწყე ფიქრი, როგორ ყოფილიყვნენ უფრო ღია და გახსნილები და მეტი მეგობარი ჰყოლოდათ. თან იმ მიზეზებზე ვფიქრობდი, რაც მე ან სხვა ჩემნაირ ბავშვებს გვიშლიდა ხელს ადამიანებთან ურთიერთობაში.

ჩვენ გვქონდა ცოტა უსაფრთხო სივრცე, სადაც ბავშვების თავშეყრა შესაძლებელი იქნებოდა, ცოტა გასართობი ან საგანმანათლებლო ადგილი და ჩვენი ტრაექტორია ძირითადად სკოლა-სახლით შემოიფარგლებოდა. ჩვენ გარშემო ბევრი სტერეოტიპი არსებობდა ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების ან არანორმატიული ქცევის მქონე ადამიანების მიმართ. ცოტა იყო ემპათია განსხვავებული საჭიროების მქონე ხალხის მიმართაც და ეს განწყობები ჩვენდა უნებურად ახდენდა გავლენას ჩვენს ქცევაზე.

მაშინ მოსწავლე, რომელიც კარგად სწავლობდა და მოწესრიგებული იყო, მოსაწყენ ადამიანად ითვლებოდა. ის კი, ვისაც კარგად სწავლა არ გამოსდიოდა, „ოროსნის" სტატუსის ქვეშ ცხოვრობდა და საერთოდ, ყველას რაღაც სტატუსი ჰქონდა და დადებით კონოტაციას თითქმის არც ერთი არ ატარებდა. ოჯახიდან, საზოგადოებიდან, გარემოდან გამომდინარე ბევრ კედელს ვეჯახებოდით და არც არის გასაკვირი ჩვენი ქცევა, ვინც მარტო ყოფნას ვირჩევდით.

ჩემს შვილებს კომუნიკაციის კარგი უნარები აქვთ: ადვილად უმეგობრდებიან ბავშვებს, უყვართ, როცა სტუმრად დადიან ან ჩვენთან მოდიან მათი და ჩვენი მეგობრები, საჯარო სივრცეებში ადვილად ახერხებენ უცხო ბავშვებთან საერთო ენის გამონახვას, დაძაბულ სიტუაციებში ერთმანეთს იცავენ, ერთმანეთზე ზრუნავენ, ცდილობენ საკუთარ თავსაც და სხვებსაც სამართლიანად ქცევა მოსთხოვონ და ისე გამოვიდა, რომ, წესით, მშვიდად უნდა ვიყო. თუ არ დავიზარებ მათი მეგობრების გამასპინძლებას, წვეულებებზე წაყვანას, გასეირნებასა და სხვადასხვა აქტივობაში ჩაბმას, ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ ყველაფერი ასე მარტივადაც არ არის. არა იმიტომ, რომ რასაც ვფიქრობდი, ის არ გამომივიდა – არა. მივხვდი, რომ ურბანულ გარემოში მცხოვრები თანამედროვე ბავშვების ცხოვრება თავისთავად უკვე მკაცრად დადგენილ ჩარჩოებსა და წესებს გულისხმობს, რომლებიც ბავშვების შესაძლებლობებს ძალიან ზღუდავს და მათ სურვილებს კონკრეტულ ფორმებში სვამს, რომელსაც ბავშვებიც და უფროსებიც იძულებული ვართ დავემორჩილოთ. ეს შეზღუდული გარემოებები და შესაძლებლობები კი მათ განვითარებაზე, კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებაზე, დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალიზმზე არცთუ ისე კარგ გავლენას ახდენს და რაც არ უნდა მოინდომო შენ, ერთმა მშობელმა ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლა, მისია შეუსრულებელი ჩანს.

დიდად არც ის პრობლემები მოგვარებულა, რაც ჩვენ გვიშლიდა ხელს – ვყოფილიყავით ლაღი და გახსნილი. საჯარო სივრცე შესაძლოა დღეს უფრო უსაფრთხოა, მაგრამ ისევ ცოტაა და ეს განწყობებიც არსად წასულა. ახლა უბრალოდ ვიცით, რა დავარქვათ ეთნიკური, რელიგიური ან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლების მიუღებლობას ან სკოლაში „ოროსნის" ძახილს, მაგრამ ამ ვნებებისგან მაინც ვერ ვართ თავისუფალი და შიში იმისა, რომ ბავშვი მეგობრების არჩევისას გარემო ფაქტორების ან სტეროტიპების გავლენით იმოქმედებს, სამწუხაროდ, დღესაც არ არის უსაფუძვლო. საკუთარი თავის, ადამიანების და გარე სამყაროს მიმართ ნდობა ისევ გვიჭირს. ნდობის გარეშე კი როგორ ისწავლის ბავშვი მეგობრობას?

ქეთევან ოსიაშვილი

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს შეცდომის გააზრებაში

ვფიქრობ, ვერ ვიპოვით ადამიანს, რომელსაც არასოდეს მოსვლია შეცდომა. მართალია, შეცდომასა და მარცხზე ყველა სხვადასხვანაირად რეაგირებს, მაგრამ თითქმის ყველასთვის ისინი იმედგაცრუებას, უარყოფით განცდებს უკავშირდება. თავისთავად, არც შეცდომა, არც მარცხი ტრაგედია არ არის, მაგრამ ერთმაც და მეორემაც შეიძლება ბევრი უარყოფითი შედეგი მოიტანოს, თუ მათ მიმართ დამოკიდებულებას არ შევიცვლით და ვერ ვმართავთ ჩვენს ქცევასა თუ ემოციებს აღნიშნულ სიტუაციებში.

მარცხის შიში ადამიანის პოტენციური შესაძლებლობების შემზღუდავი, განვითარებისა და თვითრეალიზაციის შემაფერხებელი ყველაზე გავრცელებული ფაქტორია. რატომ გვეშინია ასე წარუმატებლობის? ალბათ იმიტომ, რომ თავად სიტყვები „წარუმატებლობა“, „მარცხი“ რაღაც უარყოფითთან, მძიმე სულიერ განცდებთან, ტკივილთან ასოცირდება. ეს ყველაფერი ბავშვობიდან მოდის. ბავშვობიდან გვეშინია შეცდომის გარშემო მყოფთა, უპირველესად კი მშობლებისა და პედაგოგების დამოკიდებულების გამო. „შეცდომას ვუშვებ, ე.ი. გაკვეთილი კარგად არ ვიცი და დაბალ შეფასებას მივიღებ, დაბალი შეფასება კი მშობლების უკმაყოფილებას გამოიწვევს“. როდესაც ბავშვის ცნობიერებაში შეცდომა და მარცხი ასეთ უარყოფით განცდებს უკავშირდება, შეუძლებელია, მომავალში მათდამი შიში არ ჩამოუყალიბდეს და წარუმატებლობაში რაიმე დადებითის დანახვა შეძლოს. არადა, მარცხი მართლაც შეიძლება სარგებლობის მომტანი აღმოჩნდეს.

- შეცდომა ხშირად საუკეთესო მასწავლებელია. ის უფრო მეტს გვასწავლის, ვიდრე წარმატება. ეს უკანასკნელი გვათრობს, გვაბრუებს, აძინებს შემოქმედებით უნარს. მარცხზე პასუხისმგებლობა კი საფუძველს უყრის შემოქმედებას.
- შეცდომების გარეშე კაცობრიობა განვითარებას ვერ შეძლებდა. ყველას რომ შეშინებოდა შეცდომების და არ ემოქმედა, არავითარი ცვლილება არ მოხდებოდა. ყველაფერი ისევე დარჩებოდა, როგორც კაცობრიობის არსებობის პირველ საფეხურზე იყო.
- მართალია, შეცდომა და მარცხი გულს გვტკენს, მაგრამ ამ დროს უკეთესად შევიცნობთ საკუთარ თავს.
- წარმატებული ადამიანი სირთულეებს, შეცდომებს და მარცხს წარმატებისკენ მიმავალი გზის აუცილებელ ნაწილად აღიქვამს. შეცდომებში ის ხედავს გამოცდილებას, რომელსაც ერთადერთი სწორი გზისკენ მიჰყავს.
- თითოეული შეცდომა შეიცავს წინსვლაში დასახმარებლად საჭირო პოტენციალს, მაგრამ ამ პოტენციალის გამოყენებას მხოლოდ ის მოახერხებს, ვინც საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას თავისივე შეცდომის გამო და შეეცდება გაერკვიოს, რატომ აღმოჩნდა გადაწყვეტილება მცდარი. იმ ადამიანს კი, ვინც თავის წარუმატებლობაში გარშემო

> ვეცადოთ, თითოეულ მარცხში დავინახოთ დადებითი მხარე. ეს წარუმატებლობის შიშს დაგვაძლევინებს და თავდაჯერებას შეგვმატებს. გავითვალისწინოთ, რომ თითოეული შეცდომა ჩვენი დამხმარეა საბოლოო მიზნისკენ მიმავალ გზაზე.

მყოფებს და ვითარებას ადანაშაულებს, არ შეუძლია დაინახოს სარგებლობა, რომელიც განცდილ მარცხს მოაქვს. აქვე უნდა ითქვას, რომ პასუხისმგებლობის აღება და თავის დადანაშაულება ერთი და იგივე არ არის. დანაშაულის გრძნობა ადამიანზე უკიდურესად ნეგატიურად, გამანადგურებლადაც კი მოქმედებს, ამიტომ ვერიდოთ დაშვებულ შეცდომებში როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის დადანაშაულებას.

- ვმართოთ ჩვენი შეცდომები და არ მივცეთ პრობლემებს ჩვენი მართვის უფლება. თითოეული პრობლემა გზავნილია, რომელიც გვამცნობს, რომ შეგვიძლია, სიტუაცია უკეთესობისკენ შევცვალოთ.
- ყოველგვარი წარმატება შეცდომებსა და სირთულეების გადალახვაზეა აგებული.
- თუ გვსურს, წარმატებას მივაღწიოთ, სირთულეების გამოცდილებად გარდაქმნა უნდა შეგვეძლოს.

> იმისთვის, რომ შეცდომამ და მარცხმა დადებითი როლი შეასრულოს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე, ისინი უნდა აღვიქვათ როგორც კონსტრუქციული და სასარგებლო და არა როგორც დამანგრეველი და უსარგებლო.

რეკომენდაციები მარცხისა და შეცდომის მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად

- იმისთვის, რომ შეცდომამ და მარცხმა დადებითი როლი შეასრულოს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე, ისინი უნდა აღვიქვათ როგორც კონსტრუქციული და სასარგებლო და არა როგორც დამანგრეველი და უსარგებლო.
- ვეცადოთ, თითოეულ მარცხში დავინახოთ დადებითი მხარე. ეს წარუმატებლობის შიშს დაგვაძლევინებს და თავდაჯერებას შეგვმატებს. გავითვალისწინოთ, რომ თითოეული შეცდომა ჩვენი დამხმარეა საბოლოო მიზნისკენ მიმავალ გზაზე.
- ვეცადოთ, გავაანალიზოთ შეცდომა და ვერიდოთ მის გამეორებას.
- ჯობს, ვიმოქმედოთ და დავმარცხდეთ, ვიდრე შეცდომის შიშის გამო უმოქმედოდ ვიყოთ.
- მარცხის განუცდელად წარმატება არ მოდის. ყოველი წარუმატებელი ნაბიჯი წარმატებასთან გვაახლოებს. შეცდომების დაშვება გაცილებით უკეთესია, ვიდრე ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის შანსის ხელიდან გაშვება.
- განვიხილოთ მარცხი არა დაცემად, არამედ ნახტომად.
- ნუ მოვახდენთ კონცენტრირებას უარყოფითზე. ვეცადოთ, დავინახოთ ის პოზიტიური გამოცდილება, რომელიც მორიგ პრობლემასთან შეჯახებამ მოგვცა. გვახსოვდეს, რომ წარმატება და მარცხი ურთიერთგამომრიცხავი ცნებები არ არის.
- თუ დასახული მიზნისკენ სვლა გადავწყვიტეთ, ნუ დავივიწყებთ, რომ ყველაზე დიდი შეცდომა შეცდომის დაშვების შიშია.
- გავითვალისწინოთ, რომ შეცდომები ვერ დაგვეხმარება, თუ მათში სხვებს დავადანაშაულებთ.
- შეცდომა შესაძლებლობას გვაძლევს, დავიწყოთ ყველაფერი თავიდან, ოღონდ უფრო გონივრულად.

ასე რომ, დავაფასოთ ჩვენი შეცდომები, რადგან ისინი გვეხმარება, გავხდეთ უკეთესები, უფრო ძლიერები, უფრო ჭკვიანები და წარმატებულები. ნუ დავივიწყებთ, რომ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს.

მაია ფირჩხაძე

მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის მართვა ისტორიის სწავლების საწყის ეტაპზე

სწავლა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რაც კარგად ჩანს მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ შეფასებებში, რომლებსაც საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. მოსწავლეთა უმეტესობა სასწავლო მასალისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს სიტყვებით: „საინტერესოა“ ან „მოსაწყენია, უინტერესოა“, – და არა „ადვილია“ ან „ძნელია“. ამ დროს „საინტერესო“ „ადვილის“ სინონიმია, ხოლო „მოსაწყენია, უინტერესოა“ – „ძნელის“. ასეა ისტორიის გაკვეთილების შემთხვევაშიც. აღნიშნულ დამოკიდებულებას ერთმნიშვნელოვანი ახსნა არ აქვს, ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ისტორიის – ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საგნის – შესწავლის პროცესი უნდა იყოს საინტერესო, მრავალფეროვანი მიდგომებით გაჯერებული და მაღალ სააზროვნო ოპერაციებზე გათვლილი, განსაკუთრებით – სწავლის საწყის ეტაპზე, როდესაც ყალიბდება მოსწავლის საგნობრივი უნარ-ჩვევები და საბაზისო ცნებები. პედაგოგიკის ფსიქოლოგები ამ ეტაპზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შემოქმედებით, თამაშის ელემენტებით გამდიდრებულ გაკვეთილებს, რომლებიც ზრდის მოსწავლის ინტერესს და რთულ და დაძაბულ საქმიანობას სახალისო პროცესად აქცევს.

მოსწავლეთა მოტივაციისა და ინტერესების მართვის კუთხით გამორჩეულად შედეგიანია ინტერაქციული გაკვეთილები, რადგან ამ დროს მოსწავლეთა ჩართულობა მაქსიმალურად მაღალია.

საგანმანთლებლო პროცესში არსებითად სამი ტიპის აქტიურობას გამოყოფენ:

- **აზროვნებას,**
- **ქმედებას**
- **და მეტყველებას.**

ინტერაქციულ გაკვეთილზე ყველა ტიპი თანაბრად გამოიყენება, თუმცა შესაძლებელია, კარგი გაკვეთილი რომელიმე ერთზე დაყრდნობითაც შედგეს. სპეციალისტთა მითითებით, ძალზე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ტიპის გამოყოფა – **ინფორმაციის პიროვნულ და ემოციურ აღქმაზე ორიენტირებული აქტივობებისა.**

საზოგადოდ, გაკვეთილზე მოსწავლეთა აქტიურობის ხარისხი ფასდება იმის მიხედვით, აქტიურობის რომელი ტიპი რამდენჯერ გამოიყენა მოსწავლემ. მაგალითად, ლექციური ჩანართის დროს ძირითადად გამოიყენება აზროვნება (უპირველეს ყოვლისა – მახსოვრობა), პრაქტიკულ მეცადინეობაზე – აზროვნება და ქმედება, დისკუსიის დროს – აზროვნება, მეტყველება და ზოგჯერ საკითხის ემოციური და პიროვნული აღქმაც. საქმიანი თამაშის დროს აქტიურობის ყველა სახის გამოვლენაა საჭირო, ექსკურსიაზე გამოვლინდება უმთავრესად ემოციური და პიროვნული აღქმა.

ფსიქოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შემოქმედებით, თამაშის ელემენტებით გამდიდრებულ გაკვეთილებს, რომლებიც ზრდის მოსწავლის ინტერესს და რთულ და დაძაბულ საქმიანობას სახალისო პროცესად აქცევს.

აქტივობის ტიპებთან ერთად გამოყოფენ აქტიური სწავლებისთვის დამახასიათებელ რამდენიმე ნიშანსაც. ესენია:

- აზროვნების იძულებითი გააქტიურება (როდესაც მოსწავლე იძულებულია, თავისი სურვილის მიუხედავად, იყოს აქტიური);
- მოსწავლეთა ხანგრძლივი დროით ჩართვა სასწავლო პროცესში – ამ შემთხვევაში მათი გააქტიურება ხანმოკლე და ეპიზოდურ ჩართულობაზე კი არ არის გათვლილი, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, გამორჩეულია ხანგრძლივობითა და მდგრადობით (ანუ მოსწავლეებს მთელი გაკვეთილის განმავლობაში მოუწევთ აქტიურობა);
- პრობლემის დამოუკიდებლად და შემოქმედებითად გადაწყვეტა;
- მოსწავლეთა მოტივაციისა და ემოციურობის ხარისხის ამაღლება.

აღნიშნული მიზნების მიღწევის მრავალი ხერხი არსებობს. მათ შორის სიმარტივითა და მოწავლეთა განსაკუთრებული ინტერესის აღძვრის უნარით გამოირჩევა რამდენიმე:

I – თემის ფორმულირება, ანუ გაკვეთილისთვის სათაურის შერჩევა (განსაკუთრებით – გაკვეთილის საწყის ეტაპზე). თუ ისტორიის სახელმძღვანელოებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სათაურები მოიცავს ერთგვარ „მზა“ შეფასებებსა და დახასიათებებს, მაგალითად, ისეთებს, როგორებიცაა „გაერთიანება“, „განვითარება“, „დაცემა“, „აღორძინება“. ასეთი სათაურები მანამდე იუწყება ისტორიული მოვლენების შედეგებს, სანამ მოსწავლე მათ შეისწავლიდეს.

მოსწავლეთა ინტერესის გასაღვივებლად უმჯობესია, შესასწავლი თემა ჩამოვაყალიბოთ შეკითხვის ფორმით. მაგალითად: „როგორ შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრება XII-XIII საუკუნეებში?“, „რას მიიჩნევენ ინგლისელები თავიანთი თავისუფლების დასაწყისად?“, „გარდაუვალი იყო თუ არა საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად?“ შეიძლება ალტერნატიული, პრობლემური კითხვების დასმაც, რომლებიც მოტივაციასა და ინტერესს გაუღვიძებს

მოსწავლეს და აიძულებს, გულისყურით ადევნოს თვალი განვითარებულ მოვლენებს. მაგალითად: „გერმანელები თუ ჰუნები?“ („დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის“ ნაცვლად), „საბერძნეთი თუ მაკედონია?“ („ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის“ ნაცვლად), „ქუთაისი თუ თბილისი?“ („საქართველოს გაერთიანების“ ნაცვლად) და სხვ.

ამავე დროს, გაკვეთილის სათაური შეიძლება შეიცავდეს შესასწავლი მასალის მოკლე გეგმასაც. სათაურის გაანალიზებისას მასწავლებლის დახმარებით (მერე კი დამოუკიდებლადაც) მოსწავლეები გამოყოფენ ძირითად სიტყვას (ცნებას, „გასაღებს“) და განსაზღვრავენ შემეცნებითი საქმიანობის თანამიმდევრობასაც. მაგალითად, სათაურია „საქართველოს გაერთიანება“. თემის განხილვისას მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ აუცილებელია, პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. რა არის „გაერთიანება?“
2. რას ნიშნავს „ტერიტორიული მთლიანობა?“
3. რა განაპირობებს აღნიშნული მიზეზების წარმოშობას?
4. რა იწვევს გაერთიანების მოთხოვნილებას?
5. როდის ჩნდება გაერთიანების აუცილებლობა?
6. სად ჩაისახა გაერთიანების იდეა? რომელი ტერიტორიები გაერთიანდა პირველად?
7. რით დასრულდა გაერთიანებისთვის ბრძოლა? – და ა.შ.

მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეები მუშაობას გააგრძელებენ ანალოგიური ფორმით – მასწავლებელი დაასახელებს სათაურს:

- „რა შეიცვალა ადამიანების ცხოვრებაში გაერთიანების შემდეგ?“

ხოლო მოსწავლეები შეადგენენ შესასწავლი გაკვეთილის თემებს უკვე ნაცნობი ალგორითმის მიხედვით.

II - მოსწავლეთა ჩართულობის ასამაღლებლად და ისტორიის გაკვეთილზე გაღრმავებული მუშაობისთვის გამოიყენება **შემეცნებითი და განმავითარებელი შეკითხვებიც**. პრაქტიკა გვიჩვენებს: როდესაც ჩვეულებრივი, „საშუალო“ მოსწავლე შეამჩნევს, რომ მასწავლებელი მისთვის კითხვის დასმას აპირებს, სულ ცოტა, შეშფოთდება მაინც, არასწორი პასუხის შემთხვევაში კი, მასწავლებლის თბილი დამოკიდებულების მიუხედავად, შესაძლოა ჩაიკეტოს და აღარც კი დაინტერესდეს გაკვეთილით. შედეგად მივიღებთ იმას, რომ, აკადემიურად სწორად დასმული კითხვების მიუხედავად, მოსწავლის ჩართულობა დაქვეითდება და მოსწავლე-მასწავლებელს შორის უკუკავშირი გაწყდება. ამიტომ შემეცნებითი და განმავითარებელი კითხვები ისე უნდა დაისვას, რომ მოსწავლეებს არ ჰქონდეთ შფოთვის, დაძაბულობის განცდა/მოლოდინი და ხალისითა და ინტერესით ელოდნენ კითხვებს. ასეთ დროს მოსწავლეთა ინტერაქცია არასწორი პასუხის შემთხვევაშიც კი შენარჩუნდება და გაკვეთილი საინტერესოდ წარიმართება.

შემეცნებითი და განმავითარებელი საქმიანობისას გამოიყოფა შეკითხვების რამდენიმე კატეგორია:

ა. **ეტიმოლოგიური შეკითხვა** (რომლის დროსაც ისტორიული კონტექსტი ან თავად შეკითხვა შეიცავს ეტიმოლოგიურ მინიშნებას სწორ პასუხზე). მაგალითად, „ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა სხვადასხვა ფულის ერთეული. ივარაუდეთ, რა უწოდეს იმ ახალ ვერცხლის ფულს, რომელიც მონღოლთა ასწლოვანი ბატონობისგან გათავისუფლებისა და ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოჭრა გიორგი V-მ“ (პასუხი - გიორგაული თეთრი, მეფის სახელისა და მონეტის ფერის მიხედვით).

ბ. **დამატებითი კონკრეტიზაცია**. ამ დროს მასწავლებელი, ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მინიშნებით, მოსწავლეთა აზროვნებასა და ინტერესს საჭირო მიმართულებას აძლევს. მაგალითად, „დაასახელეთ აღორძინების ეპოქის უმნიშვნელოვანესი გამოგონება, რომელიც 1446 წლამდე არ არსებობდა, გამოგონების შემდეგ კი მისი ყურადღების მიღმა არც ერთი მნიშვნელოვანი გამოგონება არ დარჩენილა“ (პასუხი – წიგნის ბეჭდვა).

> მოსწავლეთა მოტივაციისა და ინტერესების მართვის კუთხით გამორჩეულად შედეგიანია ინტერაქციული გაკვეთილები, რადგან ამ დროს მოსწავლეთა ჩართულობა მაქსიმალურად მაღალია.

გ. ლოგიკური ჯაჭვი. ამ შემთხვევაში სწორ პასუხს წარმოადგენს ორი ან მეტი მტკიცებულება, რომლებსაც შეიცავს თავად შეკითხვა. მაგალითად, „შუა საუკუნეების ილუსტრაციებსა და მინიატურებზე მიღებული იყო ცალკეული ნიშან-სიმბოლოების გამოსახვა, რომლებიც განსაზღვრულ ცნებებს, მნიშვნელობებს შეიცავდა. ერთი კოშკის გამოსახულება მიანიშნებდა მთელ ქალაქზე, ერთი რაინდის გამოსახულება – მთელ ჯარზე და ა.შ. ივარაუდეთ, შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი რა სიმბოლოთი შეიძლება გამოესახათ ცნება „სახელმწიფო“ (პასუხი – მეფის, დიდებულის, წარჩინებულის გამოსახულება აღნიშნავდა მთელ სახელმწიფოს).

დ. როცა ცნობიდია მიუთითება. ამ კატეგორიის შეკითხვა თავის თავში მოიცავს ვარაუდს, ფაქტის დადასტურებას, სახელს, თარიღს და ა.შ. ასეთი შეკითხვები განსაკუთრებით ეფექტურია ინტეგრირებული სწავლების დროს. მაგალითად, „როდესაც ერთ მოციქულს რომაელების მიერ ჯვარცმული იესო ქრისტეს სასწაულებრივი აღდგომის შესახებ უამბეს, მან განაცხადა, სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ მის ჭრილობებს და ხელს არ შევყოფ მის ნალურსმევში, არ დავიჯერებო. იმ დღის შემდეგ ის მიიჩნევა ისეთი ადამიანის სიმბოლოდ, რომელსაც ძნელად დააჯერებ რამეს, სანამ თავისი თვალით არ ნახავს“ (პასუხი – ურწმუნო თომა).

ამ ტიპის დავალებები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც წერილობით – ინდივიდუალური ფორმით, ისე ზეპირადაც. მთავარია, რომ კითხვების განხილვის დროს მოსწავლეებს უვითარდებათ ფიქრის, შედარების, არგუმენტირების, საკუთარი მოსაზრებების დაცვის, შეცდომების აღმოჩენისა და დასკვნების გამოტანის უნარები. ეს უმთავრესად იმიტომ ხდება, რომ მათ არასწორი პასუხისა არ ეშინიათ და მასწავლებლისგან მხოლოდ მხარდაჭერასა და წახალისებას გრძნობენ.

ინტერესი, საზოგადოდ, სწავლის ძირითადი კატეგორიაა და სასწავლო პროცესში მასზე ყურადღების გამახვილება მაღალ შედეგებს უზრუნველყოფს, თუმცა შეკითხვების ტიპები და მოსწავლეთა ინტერაქციის ხასიათი მიუთითებს, რომ ინტერესის გამოწვევა უკავშირდება თამაშის ელემენტებსაც, რომლებიც გამოიკვეთება როგორც მოტივაციის გაღვიძების უნივერსალური საშუალება. მასწავლებელი სწავლის არც ერთ საფეხურზე არ უნდა მოერიდოს თამაშის ელემენტების გამოყენებას. მთავარია, ასაკისა და საფეხურის მოთხოვნილებების მიხედვით შეარჩიოს თამაშის ფორმა და ისე შეძლოს ინტერესისა და მოტივაციის გამოწვევა, შესაბამისად, მაღალი აკადემიური შედეგების მიღებაც (ამ მხრივ გამოირჩევა ისეთი თამაშები, როგორიცაა „ქრონოლოგიური ლოტო“ – ერთ ბარათზე ჩამოწერილია თარიღები, მეორეზე – მათი მნიშვნელობები და მოსწავლემ ისინი ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს). მთავარია, თამაში ისე იყოს გათვლილი, რომ მასში მთელი კლასი ჩაერთოს. არც საშინაო დავალება უნდა დარჩეს თამაშის ელემენტების გარეშე: მოსწავლეებს შეიძლება დავავალოთ კროსვორდების, ამოცანების, თავსატეხების შედგენა, მოთხრობების დაწერა, რომლებშიც მცდარ ფაქტებს გადმოსცემენ, თანაკლასელებმა კი ისინი უნდა აღმოაჩინონ და ა.შ. დროთა განმავლობაში თამაშიგაკვეთილები მოსწავლეთა ყურადღებისა და ვერბალური თუ არავერბალური აზროვნების განვითარებასაც შეუწყობს ხელს და სწავლის პროცესი კიდევ უფრო წარმატებული გახდება, საბოლოოდ კი მივიღებთ მოსწავლეს, რომელსაც აინტერესებს და გააზრებული აქვს ისტორია და წარმატებით ახერხებს წარსულთან დიალოგს.

ისტორიის სწავლების საწყის ეტაპზე მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის მართვა, ინტერესზე, მოტივაციასა და თამაშის ელემენტებზე გათვლილი დავალებების გამოყენება და, საზოგადოდ, მრავალფეროვანი ინტერაქციული გაკვეთილები პედაგოგიური ამოცანების გადაჭრის რეალური საშუალებაა, ამიტომ სასწავლო პროცესში მათი გამოყენება მისასალმებელია.

მაია ჯაღიაშვილი

სწავლა ცხოვრებისათვის

სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესი თავის კვალს აჩნევს ჩვენს ყოველდღიურობას და აქტიურად იჭრება ცხოვრებაში იმ თვალსაზრისითაც, რომ ბევრ საქმეში ანაცვლებს ადამიანს და დასაქმების ბაზარსაც უფრო მეტად ამცირებს. სკოლამაც უნდა გაითვალისწინოს ეს, რათა შეცვალოს ცხოვრებისთვის მოსწავლეთა მომზადების ფორმები, კარგად გააზრებული და პერსპექტივაზე გათვლილი სტრატეგიებით დაგეგმოს სასწავლო პროცესები, თანამედროვეობის შესატყვისი ცვლილებები შეიტანოს სწავლების მეთოდოლოგიებში. მხოლოდ ამგვარად გახდება შესაძლებელი, სკოლადამთავრებულები მზად იყვნენ გამოწვევებისთვის, თავიანთი უნარებისა და მიმდინარე მოვლენების შესაბამისად ირჩევდნენ პროფესიებს და კონკურენტუნარიანები ხდებოდნენ.

თანამედროვე მსოფლიოს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ტექნოლოგიები უკვე განდევნის ზოგიერთ პროფესიას, მაგალითად, მალე შეგვხვდება მაღაზიები გამყიდველებისა და მოლარეების გარეშე, უპილოტო ტრანსპორტი, რესტორანი ოფიციანტების გარეშე. მანქანები შემოქმედებით ფუნქციებსაც უფრო მეტად დახვეწენ, დახატავენ, დაწერენ ლექსებს და მუსიკას. ზოგიერთმა კომპანიამ უკვე დააანონსა, რომ მალე გამოუშვებენ რობოტებს, რომლებიც იმუშავებენ სასტუმროებში, აეროპორტებსა თუ სუპერმარკეტებში. მაგალითად, იაპონიაში, ტოკიოში, ზოგიერთ საბავშვო ბაღში უკვე გამოჩნდნენ დაუღალავი მრავალფუნქციური ძიძა-რობოტები. ამიტომ სკოლამ ისე უნდა განავითაროს მოზარდები, რომ მათ ჩამოუყალიბდეთ რეალურ ვითარებასთან ადაპტაციის უნარი, შეეძლოთ დამოუკიდებელი აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღება, არჩევანის გაკეთება, დაგეგმილი ამოცანების შეცვლა და მოდიფიცირება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ჰქონდეთ მრავალმხრივი და მოქნილი ინტელექტი.

რაც უნდა განვითარდეს ტექნოლოგია, მანქანა, საბოლოო ჯამში, მაინც ვერ აჯობებს ადამიანის გონებას შემოქმედებითი უნარით, ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია, რომლის განვითარებაზეც სკოლიდანვე უნდა დაიწყოს ზრუნვა.

მეცნიერულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ადამიანური გონება უნიკალური ფენომენია, რომელსაც განვითარებისა და დახვეწის განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს. სკოლის მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ, რათა მოსწავლეებს შეძლებისდაგვარად თანაბრად განუვითარდეთ ტვინის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ნახევარსფეროები, რომლებსაც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ფუნქციები აქვთ. ყოველი მასწავლებელი პროფესიონალი უნდა იყოს თავის საგანში, მუდმივად ზრუნავდეს ახალი ჩვევების შეძენაზე, ძველის მოდიფიკაციასა და განვითარებაზე, მაგრამ ამავე დროს ფლობდეს ზოგად ინფორმაციას ფსიქოლოგიისა თუ სოციოლოგიურ მეცნიერებათა შესახებ, რათა

> ყოველი მასწავლებელი პროფესიონალი უნდა იყოს თავის საგანში, მუდმივად ზრუნავდეს ახალი ჩვევების შეძენაზე, ძველის მოდიფიკაციასა და განვითარებაზე, მაგრამ ამავე დროს ფლობდეს ზოგად ინფორმაციას ფსიქოლოგიისა თუ სოციოლოგიურ მეცნიერებათა შესახებ, რათა კომპლექსური იყოს მისი დამოკიდებულება სწავლების პროცესის მიმართ.

> გადაწყვეტილებების მიღების, არჩევანის გაკეთების, საკუთარი აზრის უშიშრად, თავდაჯერებულად გამოთქმის, მერე კი თვალსაზრისთა თუ შეხედულებათა დაცვის უნარი უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ ადამიანმა საზოგადოებაში თავისი ადგილი იპოვოს, პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

კომპლექსური იყოს მისი დამოკიდებულება სწავლების პროცესის მიმართ. მან უნდა იცოდეს, მაგალითად, რომ ადამიანის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო პასუხისმგებელია ლოგიკურ-ანალიტიკურ აზროვნებასა და მეტყველებაზე, ხოლო შემოქმედებით უნარებს მარჯვენა განაგებს. ის არის პასუხისმგებელი წარმოსახვის მრავალფეროვნებასა და სიძლიერეზე – უნარზე, იმგვარი რამ წარმოიდგინოს ადამიანმა, რაც რაციონალური წესებითა თუ კანონებით არ აიხსნება.

როგორ უნდა შეეწყოს ხელი ან ერთის, ან მეორის განვითარებას?

უპირველესად, რა თქმა უნდა, თვითონ მასწავლებელი უნდა იყოს შემოქმედებითად და ლოგიკურად მოაზროვნე. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახერხებს ის, მოსწავლემ მექანიკურად და გაუაზრებლად კი არ დააგროვოს მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, არამედ გაარკვიოს, გააცნობიეროს ის ტექნიკა, რომელიც მას ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვების, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების ჩვევებს შესძენს. მასწავლებელმა შეიძლება კარგად გამოიყენოს ბეჭდური თუ ელექტრონული

რესურსები საკლასო სამუშაოებისა თუ საშინაო დავალებებისთვის. ლოგიკური ამოცანებისა თუ თავსატეხების მოფიქრება თვითონ მასწავლებელსა თუ მოსწავლეებსაც შეუძლიათ.

ცნობილია, რომ ლოგიკურ-ანალიტიკურ უნარებს კარგად ავითარებს ისეთი ამოცანები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს ანალიზისა და სინთეზის ოპერაციების ჩატარებას. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს როგორც დედუქციური, ასევე ინდუქციური აზროვნების უნარი. ართურ კონან დოილის შექმნილი ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟი უამრავ ჩახლართულ საქმეს იძიებდა საოცარი ალღოსა და მიხვედრილობის წყალობით, თუმცა ეს ინტუიციური წვდომა თუ საიდუმლოს ამოცნობის უნარი წვრილმანებისთვის ყურადღების მიქცევას, დეტალების ჯერ ცალ–ცალკე, მერე კი ერთიანობაში, სიღრმისეულად გაჩხრეკა-გაანალიზებას ითვალისწინებდა.

ართურ კონან დოილის მეტაფორული წარმოდგენით, გონება ჰგავდა ცარიელ სხვენს, რომელშიც ადამიანს ყოველგვარი ხარახურა კი არ უნდა შეეტანა უსისტემოდ და დაუხარისხებლად, არამედ ჭკვიანურად, საგანგებოდ უნდა გამოერჩია სასარგებლო და მნიშვნელოვანი და მწყობრად დაელაგებინა. ქაოსი და უწესრიგობა „ტვინის სხვენში“, მისი თვალთახედვით, აზროვნების დაბნეულობასა და ყურადღების გაფანტულობას, მეხსიერების გაღარიბებასა და მნიშვნელოვან მოვლენათა იოლად დავიწყებას იწვევდა.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს ფიქრი, რომელიც „კაცობის გვირგვინია“, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა. შეეძლოს როგორც კონკრეტულ მონაცემთა განზოგადება და დასკვნების გამოტანა, ასევე ზოგადი დებულების კერძო შემთხვევასთან დაკავშირებაც. ეს მხოლოდ საგანთა შესწავლას კი არ უწყობს ხელს, არამედ ცხოვრებისთვის მომზადებასაც. ამერიკელმა ფსიქოლოგმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა დანიელ კანემანმა გამოსცა წიგნი მრავლისმეტყველი სათაურით: „იფიქრე ნელა... გადაწყვიტე სწრაფად“. ამგვარი უნარი, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი სწავლის, ვარჯიშის შედეგად გამომუშავდება და აუცილებელია სხვადასხვა სასწავლო თუ ცხოვრებისეული პრობლემის მოსაგვარებლად.

გადაწყვეტილებების მიღების, არჩევანის გაკეთების, საკუთარი აზრის უშიშრად, თავდაჯერებულად გამოთქმის, მერე კი თვალსაზრისთა თუ შეხედულებათა დაცვის უნარი უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ ადამიანმა საზოგადოებაში თავისი ადგილი იპოვოს, პიროვნებად ჩამოყალიბდეს. როგორც

ცნობილია, ამერიკელმა ფსიქოლოგმა ადამიანურ მოთხოვნილებათა იერარქიაში ყველაზე მნიშვნელოვნად თვითრეალიზაციის მოთხოვნილება მიიჩნია, რომლის მოტივაციასაც აჩენს ადამიანის სწრაფვა სულიერი ზრდისა და სრულყოფისაკენ.

სკოლაში სწავლა ცხოვრებისთვის მომზადებადაც რომ იქცეს, ამისთვის ადამიანის არა მხოლოდ განათლებულ, არამედ მორალურ-ზნეობრივ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვაც არის საჭირო. დღესაც აქტუალურია ილიას ის სიტყვები, რომლებიც მან წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოთქვა და სხვა დროსაც არაერთხელ შეახსენა მკითხველსა თუ მსმენელს: „ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია. ღონიერი და ჭირთა-მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავის თავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს“.

ცხოვრებისთვის მოსამზადებლად კი საჭიროა, მასწავლებელმა მოსწავლეს ხელი შეუწყოს, დაეხმაროს უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, რათა მას შეეძლოს:

1. კრიტიკული აზროვნება და კითხვების თამამად დასმა. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დეტალებისთვის ყურადღების მიქცევას ისწავლიან, უნდა მოახერხონ მათ შორის დანახული კავშირების თეორიული გადააზრება, იდეების გამოკვეთა, ზოგადი კანონზომიერებების დადგენა, გარკვევა იმ წესკანონებისა, რომლებიც ცალკეული დეტალების გათვალისწინებით ერთიანობას ქმნის.

მოსწავლე უნდა მიეჩვიოს, რომ არ არსებობს გაყინული, სტატიკური და სამუდამო მოცემულობა. ყველაფერს, რაც მისი აზროვნების არეში მოხვდება, მან კრიტიკულად უნდა შეხედოს. მას კი არ უნდა დაეკარგოს, არამედ უფრო მეტად გაუღვივდეს ბავშვური ცნობისმოყვარეობა - დასვას შეუზღუდავი რაოდენობის კითხვა, მათ შორის – ასეთიც:

- რითია ესა თუ ის ინფორმაცია მნიშვნელოვანი?
- რაში მჭირდება ამის დამახსოვრება?
- რა კავშირშია ახალი ინფორმაცია იმასთან, რაც უკვე ვიცი?

ასეთი კითხვები ტვინს ავარჯიშებს და ცოდნის არსებულ ქსელში ახალ მასალასაც ორგანიზებულად მოათავსებს.

2. თავისუფლება მისცეს წარმოსახვას, რომელიც სხვადასხვა მოვლენას, საგანსა თუ ფაქტს ერთმანეთთან ორიგინალურად დააკავშირებს. ეს მეტაფორული აზროვნებაა, რომლის განვითარებასაც ხელს უწყობს, საზოგადოდ, ხელოვნება, მუსიკა იქნება ეს, ფერწერა, მხატვრული ლიტერატურა თუ სხვა. მაგალითად, რეალური, ისტორიული პირი – გენიოსი აინშტაინი თუ გამოგონილი პერსონაჟი – შერლოკ ჰოლმსი ვიოლინოზე დაკვრით განიტვირთებოდნენ, თან ახალი ენერგიით ივსებოდნენ და ერთი შეხედვით დაუკავშირებელ მოვლენებს შორის მნიშვნელოვან მიმართებებს აღმოაჩენდნენ.

3. მნიშვნელოვანია მოსწავლის თვალთახედვის გაფართოება, ხელოვნების, მეცნიერებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა, თუნდაც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სფეროებით დაინტერესება. პედაგოგმა მოსწავლე დასაბუთებულად, მაგალითების მოყვანით უნდა დააჯეროს, რომ არ ღირს შემოზღუდვა და ვიწრო სპეციალიზაციაში ჩაკეტვა. ყოველგვარი ჩარჩო ადამიანს განვითარების პერსპექტივას უსპობს. როგორც ილია ამბობდა, „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა“.

ასეთი გახსნილი ადამიანი, შეიარაღებული ცხოვრებისეული გამოცდილებითა თუ წიგნიერი ცოდნით, არ შეუდრკება იმ ხიფათებს, რომლებიც აუცილებლად შეხვდება. მისთვის ისინი იქნება არა დამაბრკოლებელი, არამედ ხელშემწყობი იმისა, რომ სიცოცხლე საინტერესო თავგადასავლებით სავსე მოგზაურობად აქციოს.

მაღინა საჯაია

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კიბერბულინგთან გამკლავებაში

> კიბერბულინგი არის ბულინგის სახეობა, რომელიც ელექტრონული მოწყობილობების: ტელეფონების, პლანშეტების, კომპიუტერების – საშუალებით ხორციელდება. ის შეიძლება განხორციელდეს SMS-ის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიის, ფორუმებისა და სათამაშო სისტემების საშუალებითაც კი.

15 წლის გოგონას სთხოვენ, სოციალურ ქსელში წელს ზევით შიშველი ფოტო გააზიაროს. ინსტინქტი მას კარნახობს, რომ ასე არ უნდა მოიქცეს, ორი ახლო მეგობარიც ურჩევს, უარი თქვას, მაგრამ თხოვნა მეორდება, გოგონას კი მოსწონს ბიჭი, რომელიც ამას სთავაზობს. ამასთან ერთად, გოგონების სხვა ჯგუფი ფოტოს გასაზიარებლად ახალისებს. ისინი უხსნიან, რომ თანამედროვე ურთიერთობებში ეს მიღებულია. გოგონას რამდენიმე ღამე არ სძინავს და ისე ხშირად საუბრობს ამაზე მეგობრებთან, რომ ისინი მასთან შეხვედრას და საუბარს გაურბიან.

ბოლოს გოგონა უარს ამბობს სურათის გაგზავნაზე. სამაგიეროდ, ბიჭს უგზავნის მგრძნობიარე შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ ის ძალიან მოსწონს, მაგრამ ასეთი სურათის გაგზავნა არ სურს. ბიჭი ფოტოს უღებს (ასკრინშოტებს) ამ შეტყობინებას და სოციალურ ქსელებში გოგონას საწვალებლად იყენებს. ამაში ერთვებიან გოგონებიც, რომლებიც მას სურათის გაგზავნას ურჩევდნენ. ყოველივე ამით გამოწვეული სტრესის შემდეგ გოგონას ეწყება თავისა და მუცლის ტკივილი, აცდენს სკოლას და უარს ამბობს ხალხთან ურთიერთობაზე.

ბავშვების მიერ ტექნოლოგიების თითქმის მუდმივი გამოყენების გამო ბევრი მშობელი უფრთხის კიბერბულინგს. მასთან დაკავშირებული ჰედლაინების სიმრავლე მშობლებს უმწეოდ აგრძნობინებს თავს. შესაძლებელია კი ამ ონლაინსამყაროში კიბერბულინგის თავიდან აცილება?

StopBullying.gov-ის მიერ წარმოებული სტატისტიკის თანახმად, კიბერბულინგი გამოუცდია მეექვსე–მეთორმეტე კლასების მოსწავლეთა 9%-ს, high school-ის მოსწავლეთა 15%-ს და LGBTQ მოსწავლეთა 55.2%-ს.

რა არის კიბერბულინგი

კიბერბულინგი არის ბულინგის სახეობა, რომელიც ელექტრონული მოწყობილობების: ტელეფონების, პლანშეტების, კომპიუტერების – საშუალებით ხორციელდება. ის შეიძლება განხორციელდეს sms-ის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიის, ფორუმებისა და სათამაშო სისტემების საშუალებითაც კი. კიბერბულინგად მიიჩნევა:

- ვინმეს შესახებ საზიანო, უარყოფითი ან ცრუ ინფორმაციის ან კონტენტის გაგზავნა, გაზიარება ან გამოქვეყნება;
- ისეთი ფოტოებისა და სკრინშოტების გაზიარება, რომლებიც შესაძლოა საზიანო, შეურაცხმყოფელი ან სამარცხვინო იყოს ვინმესთვის;
- პერსონალური ინფორმაციის გაზიარება ვინმეს შეურაცხყოფის ან რეპუტაციის შელახვის მიზნით.

სოციალური მედიის საჯარო ბუნებისა და მრავალი არხით ციფრული ინფორმაციის სწრაფი გაზიარების შესაძლებ-

ლობის გამო, კიბერბულინგის გავრცელების არეალი უსაზღვროა. ვიდრე ბავშვი დახმარებას ეძებს, დამაზიანებელი ფოტოები და კონტენტი შეიძლება იოლად გაზიარდეს სკოლებს შორის და უფრო ფართოდაც. კიბერბულინგთან გამკლავება ძნელია, რადგან ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის დიდი ნაწილი მუდმივია ან ძნელად წასაშლელი. ამასთან, მასწავლებლები და მშობლები კიბერბულინგს ისე ადვილად ვერ ამჩნევენ, როგორც ბულინგის სხვა ფორმებს.

კიბერბულინგის საზღვრები

კიბერბულინგი ნებისმიერ დროს შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ ბავშვსა და მოზარდზე, რომლებიც კომუნიკაციისთვის ციფრულ მოწყობილობებს იყენებენ. ყველა, ვინც კომუნიკაციისთვის, კონტენტის გასაზიარებლად ან ვინმესთან დასაკავშირებლად იყენებს ციფრულ მოწყობილობებს, შეიძლება გახდეს კიბერბულინგის მსხვერპლი. საუკეთესო რამ, რისი გაკეთებაც მშობლებს შეუძლიათ ციფრულ სამყაროში ჩართული მოზარდებისთვის, არის ხშირი და გულწრფელი საუბარი კიბერბულინგის შესაძლებლობაზე და იმაზე, როგორ მოიქცნენ ამ შემთხვევაში.

როგორ გავუმკლავდეთ კიბერბულინგს?

კვლევები გვიჩვენებს, რომ კიბერბულინგი მოზარდების დეპრესიის მიზეზია. მშობლებმა კავშირი უნდა შეინარჩუნონ შვილებთან და ეძებონ დახმარების გზები.

ნუ განსჯით. მოზარდებს სჭირდებათ, მშობლებმა განსჯის გარეშე მოუსმინონ მათ. არც ის სურთ, მათ მშობლებმა მაშინვე დაიწყონ სხვა მშობლებთან რეკვა. საუკეთესო დასაწყისია მოსმენა და შესაბამისი კითხვების დასმა კიბერბულინგის მასშტაბის დასადგენად. მთავარია უპირობო მხარდაჭერა. თუ უსმენთ, გულისხმიერებას იჩენთ და ერთად მუშაობთ, თქვენს შვილს დახმარების თხოვნა არ მოერიდება.

აღნუსხეთ ყველაფერი: გადაუღეთ ფოტო (სკრინშოტი) ყველაფერს, რასაც მოწყობილობებზე კიბერბულინგთან და-

კიბერბულინგი ნებისმიერ დროს შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ ბავშვსა და მოზარდზე, რომლებიც კომუნიკაციისთვის ციფრულ მოწყობილობებს იყენებენ. ყველა, ვინც კომუნიკაციისთვის, კონტენტის გასაზიარებლად ან ვინმესთან დასაკავშირებლად იყენებს ციფრულ მოწყობილობებს, შეიძლება გახდეს კიბერბულინგის მსხვერპლი.



კავშირებით იპოვით და გადაგზავნეთ თქვენს ტელეფონზე. აღნუსხეთ თქვენი საუბრებიც. სკოლის პერსონალისა და სხვა შესაბამისი პირებისთვის კიბერბულინგის შესახებ მოყოლამ შესაძლოა შფოთვა გამოიწვიოს. ნაამბობს შესაძლოა დეტალები აკლდეს ან განსხვავებული ჩანდეს, როდესაც მოზარდები ზეწოლის ქვეშ არიან. თქვენი საუბრების ჩაწერა დაეხმარება თქვენს შვილს მომხდარის შესახებ საუბარში. გამოავლინეთ უსაფრთხო ადამიანი სკოლაში: მოზარდს სჭირდება ვინმე, ვისთანაც მივა კიბერბულინგის შედეგად გამოწვეული პრობლემების გასაზიარებლად ან მყისიერი დახმარების მისაღებად.

უპასუხეთ გააზრებულად: თავი შეიკავეთ საკუთარი სოციალური მედიაკავშირების გამოყენებისგან. ეს ვერ დაეხმარება თქვენს შვილს და შესაძლოა, მდგომარეობა გააუარესოს კიდეც. ერთად შეიმუშავეთ გეგმა: თქვენს შვილს დახმარება სჭირდება, მაგრამ სჭირდება ავტონომიაც პრობლემის გადაჭრის ქმედითი უნარების გამოყენებისას. გონებრივი იერიშის მეშვეობით ეძებეთ მოგვარების შესაძლო გზები, იპოვეთ შესაბამისი პიროვნება სკოლაში (მრჩეველი, ადმინისტრაციის წევრი ან სხვა) და იმუშავეთ მასთან ერთად.

გამოიყენეთ აპლიკაციებში არსებული ხელსაწყოები: შესაძლოა, თქვენმა შვილმა იცოდეს მომხმარებლების დაბლოკვის ან პაროლის დაცვის გზები, მაგრამ არაფერი დაშავდება უსაფრთხოების პარამეტრების გადახედვით, მეგობრების სიის შემოწმებითა და პოტენციურად ყალბი მომხმარებლის ანგარიშების გამოვლენით, მათი შეურაცხმყოფელი კომენტარების ან შეუსაბამო ფოტოების გასაჩივრებით.

ისაუბრეთ საკუთარი სიმართლის დამცველებზე; ხაზი გაუსვით ბულინგის ან შეუსაბამო კონტენტის გასაჩივრების აუცილებლობას, თუნდაც ის უშუალოდ თქვენს შვილს არ ეხებოდეს; ურჩიეთ, დატოვოს პოზიტიური გამოხმაურებები მაშინ, როცა სხვები ნეგატიურს ტოვებენ. როცა ბავშვები ეხმარებიან სხვებს, ისინი იძენენ ძალას, ებრძოლონ ონლაინნეგატივს სიკეთისა და მხარდაჭერის გამოხატვით.

კიბერბულინგმა შესაძლოა ხანგრძლივი წუარყოფითი ეფექტი გამოიწვიოს, მათ შორის – დეპრესია და შფოთვა. თუ ეჭვობთ, რომ თქვენი შვილი კიბერბულინგის მსხვერპლია, გაესაუბრეთ მას და დასახეთ დახმარების გზა.

წყარო: www.psychologytoday.com/blog/worry-free-kids/201711/how-help-teens-cope-cyberbullying

შორენა ცყეშელაშვილი

სკოლა ძალადობის პირისპირ

UEESCO-ს მონაცემებით, ყოველწლიურად 246 მილიონი ბავშვი სასკოლო ძალადობისა და ბულინგის მსხვერპლია. როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ამ პრობლემის დასაძლევად და რას უნდა აკეთებდეს სკოლა ძალადობის ფაქტების შესამცირებლად – ამ და სხვა საკითხების თაობაზე **ანა ქათამაძეს**, პროფესიით იურისტსა და სპეციალური განათლების სპეციალისტს, რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

ბულინგის მრავალი ფორმა არსებობს. რომელია სასკოლო ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა?

საქართველოში ბულინგის პრობლემა კონკრეტული კვლევის ფარგლებში, სამწუხაროდ, არ შესწავლილა. ეს თანაბრად ეხება ბულინგის ყველაზე გავრცელებულ ფორმებსა და შედეგებს ბულინგის პროცესში მონაწილე ყველა ბავშვის მიმართ, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მუშაობის დაგეგმვას და ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლას უფრო ფრაგმენტულ ხასიათს სძენს. არსებობს კვლევები, რომლებიც ბულინგის საკითხს ბავშვთა უფლებებისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ჭრილში განიხილავს, მაგრამ არ იძლევა საქართველოში ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმების საკითხის სიღრმისეული შესწავლის საშუალებას. მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ 2007-2008 წლებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა 47.1% სკოლაში ფიზიკურ ძალადობას განიცდიდა, 47.5% – ფსიქოლოგიურს, ხოლო 7.3% – სექსობრივს. [i] ბულინგის პრობლემის აქტუალურობაზე საუბრობს თავის ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველიც. ამ ანგარიშის თანახმად, სკოლაში ხშირია მოსწავლის დამცირება, მეტსახელის შერქმევა, დაცინვა, ჭორების გავრცელება, გარიყვა, ფიზიკური შეურაცხყოფა, პირადი ნივთების გადამალვა და კიბერბულინგი. [ii]

რა გავლენას ახდენს ეს ყველაფერი საგანმანათლებლო პროცესზე?

ძალადობისგან თავისუფალ გარემოში სწავლა ყველა ბავშვის უფლებაა. როდესაც სასწავლო გარემო მათთვის უსაფრთხო აღარ არის, სასკოლო ცხოვრების მიმართ ინტერესი იკლებს. ბავშვები, რომლებიც ბულინგს განიცდიან, ხშირად თავს არიდებენ სკოლას და სასკოლო ღონისძიებებს, ეძებენ სკოლაში წაუსვლელობის მიზეზებს, უარესდება მათი აკადემიური მოსწრება და სხვა, აწუხებთ შფოთვა, შიში, მარტოსულობის განცდა, დეპრესია, სუიციდური აზრები. ბავშვებს, რომლე-

> ბულინგი იშვიათად ალიქმება ძალადობად. მას ხშირად მიაწერენ „ბავშვობის ასაკისთვის დამახასიათებელ ქცევებს“, რომლებიც მაღე გაივლის. ეს ბულინგთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითია.

ბიც ბულინგს ეწევიან, ემუქრებათ სკოლის მიღმა დარჩენის, ანტისოციალურ ან დანაშაულებრივ ქმედებებში ჩაბმის მაღალი რისკი. ბულინგი უარყოფითად მოქმედებს ბულინგის მოწმე ბავშვებზეც – დანაშაულის განცდა უმოქმედობის გამო, ბრაზი, შიში, რომ მომდევნო თავად იქნებიან და სხვა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს უარყოფითად აისახება საგანმანათლებლო პროცესზეც.

რა უნდა გააკეთოს სკოლამ, რა პრევენციული გზების გამონახვაა საჭირო ძალადობრივი ფაქტების თავიდან ასაცილებლად?

უპირველეს ყოვლისა, ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ბულინგი როგორც სოციალური მოვლენა ყველა სკოლაში არსებობს. მიდგომა „ჩვენს სკოლაში ბულინგი არ არის“ ყველაზე მეტად უშლის ხელს პრობლემის მოგვარებას.



აუცილებელია, სკოლებში ბულინგის დაძლევა განათლების პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად განისაზღვროს, შემუშავდეს სასწავლო გეგმებში ინტეგრირებული ბულინგის პრევენციისა და რეაგირების სპეციალური პროგრამები, შეიქმნას ბულინგის შესახებ მიმართვიანობისა და ბულინგის ფაქტების გამოძიების ეფექტური სისტემა, ჩატარდეს ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კამპანიები და ამ პროცესში თანაბრად იყვნენ ჩართულნი როგორც სკოლის ადმინისტრაცია და პერსონალი, ისე მშობლები და თავად მოსწავლეებიც. უნდა ვიმუშაოთ იმ ბავშვებთან, რომლებიც ავლენენ ბულინგის სუბიექტის ან ობიექტის ქცევას. უნდა დაინერგოს ადრეული ინტერვენციის პროგრამები ბავშვების უფრო ფართო ჯგუფებისთვის. რაც მთავარია, ბულინგის არც ერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ დახმარება ბულინგის არა მხოლოდ მსხვერპლს, არამედ ინიციატორსაც სჭირდება. სკოლამ უნდა იზრუნოს უსაფრთხო და ტოლერანტული სასწავლო გარემოს შექმნაზე. მაშინაც კი, როდესაც სკოლაში არ მოქმედებს ბულინგის საწინააღმდეგო პროგრამა, პოზიტიური და მხარდამჭერი საკლასო გარემო ხელს უწყობს სკოლაში ბულინგის შემცირებას.

რამდენად სერიოზულად აღიქვამს მოსწავლეთა შორის ძალადობას ადმინისტრაცია და ხდება თუ არა ასეთი ფაქტების იდენტიფიცირება ძალადობასთან?

ბულინგი იშვიათად აღიქმება ძალადობად. მას ხშირად მიაწერენ „ბავშვობის ასაკისთვის დამახასიათებელ ქცევებს“, რომლებიც მალე გაივლის. ეს ბულინგთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითია. საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ [iii] ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებას აკისრებს ვალდებულებას, მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს. ბულინგიც ძალადობის ფორმაა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად ის საერთოდ არ აღიქმება

ძალადობად. შესაბამისად, სკოლების მიერ დადგენილებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის გააზრება კითხვებს ბადებს. სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლის პერსონალი ბულინგის შემთხვევებს ძირითადად ბავშვურ ხუმრობად და ერთჯერად შელაპარაკებად აღიქვამს [iv]

აქცევს თუ არა სახელმწიფო ყურადღებას ბულინგის პრობლემას? არსებობს თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ამ პრობლემის დაძლევისკენ არის მიმართული?

ბულინგის დაძლევისკენ მიმართული პოლიტიკა სახელმწიფოს არ გააჩნია. ეს პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, მტკიცებულებებზე დაყრდნობით განსაზღვრულ მიმართულებებს უნდა ეფუძნებოდეს. საქართველოში კი ჯერ არც ერთი კვლევა არ ჩატარებულა, რომელიც სიღრმისეულად შეისწავლიდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ბულინგის პრობლემის აქტუალობას. შესაბამისად, დღესდღეობით არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ამ საკითხზე არგუმენტირებული მსჯელობის საშუალებას მოგვცემდა. არ არსებობს ინფორმაცია სკოლებში ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმებისა და მისი შედეგების შესახებ, სკოლებისთვის შემუშავებული არ არის სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც სკოლის პერსონალს ბულინგის შემთხვევების იდენტიფიცირებასა და ბულინგის პრევენცია-ინტერვენციის მექანიზმების დანერგვაში დაეხმარებოდა. მართალია, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი [v] პირდაპირ კრძალავს სკოლებში ძალადობას, მაგრამ ეს რეგულაცია უფრო ზოგად ხასიათს ატარებს. ბულინგი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად საერთოდ არ განიხილება ძალადობად და, შესაბამისად, არც ამ მუხლში მოიაზრება. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ბულინგის როგორც ძალადობის სპეციფიკური ფორმის რეგულირება და დაიწყოს მისი დაძლევისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავება. ეს პოლიტიკა, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს ერთიან სისტემურ ხედვას - განსაზღვრული უნდა იყოს არა მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, არამედ სხვა, მომიჯნავე უწყებების, მაგალითად, სოციალური მომსახურების სააგენტოს პასუხისმგებლობაც.

როგორია ამ მხრივ საზოგადოების ცნობიერების დონე? რა უნდა გაკეთდეს მისი ინფორმირებისთვის?

ძალიან დაბალი, თუმცა ეს მხოლოდ ბულინგის პრობლემას არ უკავშირდება. ქართული საზოგადოება არათუ ეგუება ბავშვების მხრივ აგრესიისა და ძალადობის გამოვლენას, ზოგჯერ ახალისებს კიდეც მას. ჩვენი საზოგადოება ძალადობის ერთგვარ ლეგიტიმაციას ახდენს აღზრდის იმ მეთოდებით, რომლებსაც მშობლები იყენებენ. მაგალითად, ხშირად ძალადობა კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ გზად მიიჩნევა. ჩვენ არ ვუსმენთ ბავშვებს, ჩვენს თანასწორებად არ აღვიქვამთ ამ „პატარა ადამიანებს“ და გვგონია, არც მათ ესმით ჩვენი, ვამბობთ, რომ ჩვენ უკეთ ვიცით, მათთვის რა ჯობია და ა.შ. სინამდვილეში ბავშვებს ყველაფერი ესმით და ყველაფერს სწორედ ისე ხედავენ, როგორც არის, მათთვის ნაცნობი „დიდი ადამიანების“ ქცევის მოდელი კი მარტივად გადააქვთ რეალურ ცხოვრებაში.

როგორია ბულინგის ძირითადი ფორმები, როგორ უნდა ამოიცნოს ის მშობელმა, მასწავლებელმა?

ბულინგის ხუთი ძირითადი ფორმა არსებობს:

- ფიზიკური ბულინგი, რაც გულისხმობს ფიზიკურ თავდასხმასა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს;
- ვერბალური ბულინგი, რომელიც მოიცავს სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას, დამამცირებელი კომენტარების გაკეთებას, მეტსახელების შერქმევას, დაცინვას და ა. შ.;
- სოციალური ბულინგი, რაც გულისხმობს ადამიანის სოციალური ურთიერთობებისთვის ან რეპუტაციისთვის ზიანის მიყენებას;
- სექსუალური ბულინგი, როდესაც ადგილი აქვს სექსუალური ხასიათის კომენტარებს, არასასურველ შეხებას, შეურაცხმყოფელი სახელების დაძახებას;

- კიბერბულინგი. გავრცელებული მითია, რომ ვინაიდან კიბერბულინგის შემთხვევაში ფიზიკური კონტაქტი არ ხდება, ის ნაკლებად საზიანოა. კიბერბულინგის ისეთი ფორმები, როგორიცაა ვირტუალური ადევნება, დამამცირებელი მესიჯების გაგზავნა ან კომენტარების დატოვება, კონფიდენციალური მიმოწერის გასაჯაროება და ა.შ., ისეთივე უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ცხოვრებაზე, როგორსაც ბულინგის სხვა ფორმები.

ბულინგის იდენტიფიცირება ნამდვილად არ არის ადვილი. ბულინგის ნიშნები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესაძლოა არც კი იძლეოდეს მისი იდენტიფიცირების საშუალებას, თუმცა რამდენიმე ნიშნის არსებობისას სათანადო ზომების მიღება აუცილებელია. მაგალითად, ბულინგის მსხვერპლი ბავშვები ხშირად თავს არიდებენ სკოლას და სასკოლო ღონისძიებებს, სოციალურ ურთიერთობებს, ეცვლებათ კვებისა და ძილის ჩვევები და რეჟიმი, ახასიათებთ თვითდესტრუქციული ქცევა (სახლიდან გაქცევა, თვითდაზიანება, სუიციდზე საუბარი). ბულინგის ინიციატორი ბავშვები კი ხშირად გამოხატავენ დადებით დამოკიდებულებას ძალადობის მიმართ, გადაჭარბებულად ზრუნავენ საკუთარ რეპუტაციაზე, ახასიათებთ აგრესიულობა თანატოლებისა და უფროსების მიმართ, ნაკლებად გამოხატავენ თანაგრძნობას... შესაძლოა, ასეთი ბავშვი ადანაშაულებდეს მსხვერპლს ან ამბობდეს, რომ მან ეს დაიმსახურა და ა.შ. უნდა ითქვას ისიც, რომ ბულინგის ინიციატორი ხშირად თავად არის ბულინგის მსხვერპლი, მაგრამ რაკი მოკლებულია წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას, თავად ახორციელებს ბულინგს მასზე უმცროსი ან „სუსტი“ ბავშვების მიმართ. ნებისმიერ შემთხვევაში, თავი უნდა ვარიდოთ მისთვის მოძალადის იარლიყის მიკერებას და გავაცნობიეროთ, რომ დახმარება მასაც სჭირდება.

როგორ უნდა დაეხმაროს სკოლა ორივე მხარეს პრობლემის მოგვარებაში?

როგორც აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პრობლემის აღიარება, მერე კი სკოლის დონეზე ბულინგის პრევენციის პროგრამებისა და ინტერვენციის ეფექტური მექანიზმის დანერგვა. გარდა ამისა, თითოეულ სკოლას უნდა ჰყავდეს შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალი, რომელიც იმუშავებს ბულინგის პროცესში ჩართულ ბავშვებთან და კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის დახმარებას გაუწევს. თუმცა ამ საკითხზე სამუშაოდ მხოლოდ სკოლის ბაზაზე რაიმე მექანიზმის და თუნდაც რამდენიმე სპეციალისტის ჩართვა არ იქნება საკმარისი. უნდა გაიმართოს სპეციალური რეფერირების მექანიზმი და დაინერგოს სერვისები, სადაც სკოლის პერსონალს ბავშვის გადამისამართება შეეძლება.

შენიშვნები:

[I] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://goo.gl/XdWchO
[II] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://goo.gl/VBuFa7
[III] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478
[IV] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://goo.gl/VBuFa7
[V] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248

თამთა ჯოღიძე

პირიქითა გაკვეთილები ანუ ერთი დღე შებრუნებულ საკლასო ოთახში

მინდა, ამ წერილში ვისაუბრო სწავლების ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდის შესახებ, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია, სკოლებში, კოლეჯებსა თუ უნივერსიტეტებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხარისხის ნიშანს წარმოადგენს.

ჯერ გადავხედოთ „შებრუნებული საკლასო ოთახის" მეთოდის განმარტებას. სწავლა-სწავლებისადმი ზემოაღნიშნული მიდგომა გულისხმობს მასწავლებლისა და მოსწავლის როლების შეცვლას, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეზე ორიენტირების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. შეგახსენებთ, რომ ინტერაქციული სწავლება გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში ახალი სტრატეგიების, მიდგომებისა და შეფასების ხერხების დანერგვას. აქედან გამომდინარე, იცვლება სწავლების მიზანიც. უხეშად რომ ვთქვა, გაკვეთილის ახსნა-დასწავლა-ჩაბარების ჯაჭვს ენაცვლება ახალი მასალის დამოუკიდებლად გააზრება და კლასში საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით განმტკიცება.

ტრადიციულ გაკვეთილზე მოსწავლეს უმეტესად ენიჭება პასიური მსმენელის როლი. ახსნილი მასალის გაგების ხარისხი საშინაო დავალების შემოწმების ან გამოკითხვის დროს იზომება. თუ მოსწავლის მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, შესაძლოა, მან დაბალი შეფასება დაიმსახუროს და თან უყურადღებობისთვისაც უსაყვედურონ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსწავლეთა სიმრავლის გამო მასწავლებელს ინდივიდუალური მიდგომების განსახორციელებლად დრო არასოდეს რჩება. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ შებრუნებული საკლასო ოთახის ფორმატი, სადაც პედაგოგი თითოეულ მოსწავლესთან უშუალო კონტაქტს შეძლებს. რაც მთავარია, შებრუნებული გაკვეთილის მთავარ მიზანს ცოდნის მიღებასთან ერთად მრავალმხრივი უნარების გამომუშავებაც წარმოადგენს.

ინტერაქციული სწავლების მომხრენი მიიჩნევენ, რომ გაკვეთილი მოსწავლისთვის სიახლის გაცნობით უნდა იწყებოდეს, რადგან თუ ის გაკვეთილის დასაწყისშივე გაერკვია მისთვის უცნობ საკითხებში, ფაქტებსა თუ მონაცემებში, მისი მოტივაცია სიღრმისეული სწავლის თვალსაზრისით აუცილებლად გაიზრდება. ასე რომ, აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგნისადმი შემეცნებითი ინტერესისა და მოტივაციის გასაღვივებლად.

სასურველია, მოსწავლე მარტო არ დარჩეს უცნობ მასალასთან მუშაობის დროს. ამიტომაც ჯგუფური აქტივობები

ინტერაქციული გაკვეთილის განუყოფელი ნაწილია. გარდა ამისა, თანამშრომლობითი სწავლის უნარების განვითარების უკეთეს მიზეზს ვერც წარმოიდგენთ.

აღნიშნული მეთოდით გაკვეთილის დაგეგმვა შესაძლოა ხშირად ვერ მოვახერხოთ, მაგრამ მისი ძირითადი ხედვა - მივცეთ მოსწავლეს ახალი მასალის ინდივიდუალურად გაცნობისა და საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბების საშუალება - ჩემი აზრით, ყველა ახალი საკითხის გავლისას უნდა გავითვალისწინოთ. რაც უნდა რთულად ასათვისებელი იყოს მასალა, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, მოსწავლეს მზა პასუხის გაცემის ნაცვლად მისკენ მიმავალი გზა დაანახოს.

შებრუნებული გაკვეთილის შედეგიანობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად არიან მომზადებული მოსწავლეები მსგავსი გამოწვევისთვის. სანამ მათ გაკვეთილის მართვის საფეხურებს გადავცემდეთ, საჭირო უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, მაგალითად: გავაცნოთ კლასს ახალ მასალაზე მუშაობის სხვადასხვა ხერხი, განვიხილოთ და ერთობლივად შევასრულოთ ამა თუ იმ ტიპის დავალება და სხვ.

კარგი იქნება, თუ გაკვეთილს ტექნიკური მიმართულებითაც გავამდიდრებთ. დავალების შესრულებისას შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალფეროვანი ინსტრუმენტები: თემატური ვიდეოგაკვეთილები (უკვე არსებული ან, საუკეთესო შემთხვევაში, ჩვენ მიერ შექმნილი), საგანმანათლებლო საიტები (buki.ge; kargiskola.ge; ka.khanacademy.org, britishcouncil.ge/english/online და სხვ.), მინიტესტების ელექტრონული ვერსია, რომელთან წვდომა მოსწავლეებს თავიანთი სმარტფონებითაც შეეძლებათ; ხმის მიცემის მობილური აპლიკაციები, რომლებიც საგაკვეთილო თემისა თუ ფორმატის არჩევაში დაეხმარებათ. მოსამზადებელ პერიოდში მოსწავლეებს, სავარაუდოდ, დასჭირდებათ: საძიებო სისტემა (google); საოფისე პროგრამები: Word, PowerPoint; ელექტრონული ლექსიკონი (ena.ge) თემატური ვიდეომასალებისთვის – youtube.com და სხვ.

სასურველია, შევძლოთ ახალი ინფორმაციის მოსწავლის პირად გამოცდილებასთან (სასკოლო, ცხოვრებისეული) დაკავშირება. შეგვიძლია, მოსწავლეებთან ერთად დავგეგმოთ ცალკეული აქტივობები: გამოჭკითხეთ, რომელი კონკრეტული უნარის (მაგ., პრეზენტაციის აწყობა) განვითარება სურთ ან რა ტიპის ჯგუფური თუ ინდივიდუალური სამუშაო იქნება მათთვის საინტერესო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეგიძლიათ შეადგინოთ მინიკითხვარი სასურველი საგაკვეთილო თემის არჩევის მიზნით ან თავად შესთავაზოთ აუდიტორიას სადისკუსიო თემები და საკვლევი საკითხის განხილვის ფორმატი. ახალი პრობლემების ერთობლივად გადაჭრა, პროექტებით/ექსპერიმენტებით სწავლა და სხვა მსგავსი დინამიკური სასწავლო

პროცესები ერთმნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და არსებულ სოციუმში თვითდამკვიდრებას.

ინტერაქციული გაკვეთილის დამაგვირგვინებელ აქტივობას წარმოადგენს შეცდომებისა და წარმატების ჯგუფური (ზეპირი) და ინდივიდუალური (თვითშეფასების ბარათები) ანალიზი. შეფასების დროს სჯობს, მასწავლებელმა აქცენტი დასვას მოსწავლეთა წარმატებაზე, რადგან აღნიშნული გაკვეთილები საგნით დაინტერესებაზე, თანამშრომლობასა და ჩართულობაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე მასალის ათვისების ხარისხის განმსაზღვრელი შეფასებით გაზომვაზე.

რაც შეეხება წესებს, რომლებიც გაკვეთილის მსვლელობის რეგულირებისთვის გვჭირდება, მათი დაცვა ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს და ისინი მოსწავლეებთან ერთად უნდა შემუშავდეს. თუ საგაკვეთილო პროცესის თითოეულ წევრს კარგად ექნება გააზრებული აქტივობების წარმატებით წარმართვისთვის საჭირო ქცევის წესების დაცვის მნიშვნელობა, მაშინ არც სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარება მოგვიწევს. თუ მაინც იჩინა თავი პროცესის დამაბრკოლებელმა მოვლენებმა, შეგვიძლია, „მეამბოხეს“ მაყურებლის როლი შევთავაზოთ, ანუ საინტერესო აქტივობებს ჩამოვაშოროთ.

მოსწავლეს თავიდანვე კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ ის თავად არის გაკვეთილის თანაავტორი – სასურველი მიმართულებით წარმართავს პროცესს, მის ხელშია ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების ბერკეტები, რაც გამბედაობასა და მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღების უნარს მოითხოვს. გაკვეთილებზე, რომლებზეც მასწავლებლის როლი შესუსტებულია და მისი ჩართულობა მხოლოდ მოსწავლის ინიციატივის ხელშეწყობით შემოიფარგლება, დისციპლინური პრობლემები, წესისამებრ, ნაკლებად იჩენს თავს.

მოსწავლეებს სასწავლო მასალა დისტანციურად მიეწოდებათ. ისინი მოიძიებენ/კითხულობენ დამხმარე მასალას, უყურებენ მითითებულ ვიდეოებს, ხვდებიან ერთმანეთს სკოლაში/სკოლის გარეთ ან მართავენ ონლაინდისკუსიას და ჯგუფურად ამუშავებენ საგაკვეთილო რესურსს საშინაო დავალების ფორმატში. საკლასო შეხვედრები კი მრავალფეროვან ჯგუფურ აქტივობებსა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს ეთმობა. გაკვეთილზე მასწავლებელს გაცილებით მეტი დრო რჩება, რათა დაეხმაროს და დააკვირდეს მოსწავლეებს, დროულად გამოავლინოს ახალ მასალასთან დაკავშირებული სირთულეები და განმარტოს გაუგებარი საკითხები.

ახალ ფორმატზე გადასვლა საკმაოდ რთული პროცესია როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვისაც. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჯობს, დროულად მიაწოდოთ მათ ინფორმაცია თქვენ მიერ დანერგილი სიახლის შესახებ. წერილში ასევე განიხილეთ ზემოაღნიშნული საგაკვეთილო ფორმატის უპირატესობა სტანდარტულ სწავლა-სწავლებასთან შედარების გზით.

შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელს უმეტესად უნივერსიტეტებში იყენებენ, თუმცა აღნიშნული მიმართულების გამარტივება და სასკოლო სივრცეში დანერგვა დიდ სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს. სასწავლო საფეხურიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შებრუნებული გაკვეთილისთვის მოსამზადებლად უმეტესად ტექსტურ მასალას ვაწვდი. დავალების შინაარსი შედგება მკაფიო ინსტრუქციებისგან, ახალი მასალის გააზრების ხარისხს კი საგნის ფორმატის შესაბამისი მრავალფეროვანი აქტივობებით ვამოწმებ.

მინდა, გაგიზიაროთ ზემოაღნიშნული მიდგომების გათვალისწინებით ჩემ მიერ დაგეგმილი ერთ-ერთი გაკვეთილი:

ქართული ენა და ლიტერატურა
გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის თემა	ბუნება და ადამიანი
სასწავლო საფეხური	დაწყებითი საფეხური, V კლასი
მასწავლებელი	თ. დოლიძე
მოსწავლეთა რაოდენობა	16 (კლასში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე)
გაკვეთილის მიზანი	ახალი სასწავლო მასალის სიღრმისეულად გააზრება-განმტკიცება, ორიენტირებული კითხვისა და წერითი აზროვნების უნარების დახვეწაზე, მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარებაზე, სიმბოლოებით აზროვნების, მოვლენებზე დაკვირვებისა და სათანადო დასკვნების გამოტანის, ურთიერთთანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობაზე.
სავარაუდო შედეგი	მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ბუნების (მცენარის) მნიშვნელობის გააზრება, ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაზე საუბარი, ადამიანის გულგრილობის მაგალითებისა და ამით გამოწვეული სავალალო შედეგების გახსენება-დასახელება; დამოუკიდებლად უნდა მოახერხონ სასწავლო მასალების დამუშავება და მიღებული ცოდნის/გამოცდილების ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ აქტივობებში გამოყენება.
კავშირი სხვა საგნებთან	ბუნებისმეტყველება. თემა: მცენარეები სამოქალაქო განათლება. თემა: მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა

> გაკვეთილებზე, რომლებზეც მასწავლებლის როლი შესუსტებულია და მისი ჩართულობა მხოლოდ მოსწავლის ინიციატივის ხელშეწყობით შემოიფარგლება, დისციპლინური პრობლემები, წესისამებრ, ნაკლებად იჩენს თავს.

წინასწარი ცოდნა	მოსწავლეებმა IV კლასში იმუშავეს ქართული ენისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლების მიერ ორგანიზებულ ინტეგრირებულ პროექტზე „პატარა ხევის დიდი პრობლემა“ (თემა – „ჩვენი ხევი“; კონტექსტი – თბილისის 2015 წლის წყალდიდობა (საზოგადოებრივი დაუდევრობა და ბუნებრივი კატაკლიზმები: წყალდიდობა, წყლის დაბინძურება და სხვ.))
გაკვეთილისთვის მზადება	მოსწავლეებს სკოლის ელექტრონული ჟურნალის დახმარებით მიეწოდებათ დასამუშავებელი მასალები (ტექსტური და ვიდეო). მათ ასევე უნდა გადახედონ თემატურ სიახლეებსაც, მაგალითად, მოიძიონ (ან მივაწოდოთ) ტელერეპორტაჟები საქართველოს ტყის მასივში 2017 წლის ზაფხულში გაჩაღებული ხანძრების შესახებ (ვიდეომიმოხილვა), პორტუგალიაში ხანძრისგან წარმოქმნილი ცეცხლოვანი ტორნადოების ამსახველი კადრები და სხვ. გარდა ამისა, სასურველია, მოიძიონ ზოგადი ინფორმაცია „პარტიზანული მებაღეობისა“ და თბილისში ახალგაზრდა ხეების უკანონო ჭრის შესახებ. რადგან დასამუშავებელი მასალა საკმაოდ დიდია, რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფის შექმნა დაგვჭირდება. მოსწავლეებს ეძლევათ გარკვეული დრო (მაგ., ერთ კვირა) მასალებზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად სამუშაოდ. ერთი გუნდი დაამუშავებს მხატვრულ ტექსტებს, მეორე – ანიმაციურ, მესამე – საინფორმაციო ვიდეომასალებს ნახავს და მათში წარმოდგენილ შესასწავლ თემასთან დაკავშირებულ პრობლემებს გააანალიზებს. მეოთხე ჯგუფი კი თემატურ სიახლეებს შეისწავლის.
რესურსი	მიზნობრივი ტექსტები: სასწავლო მასალა – „მუხა“ (რევაზ ინანიშვილი); პარალელების გავლებისთვის დამატებითი საკითხავი: „ვაშლის ხე და ბიჭი“ (შელ სილვერსტაინი), „შურიანი კაცის ამბავი“ (ერლომ ახვლედიანი); ვიდეომასალა: „ვაშლის ხე“, „მწვანე ტოტი“, „Сказка старого дуба“ და მოსწავლეთა მიერ მოძიებული ტელერეპორტაჟები; საკანცელარიო მასალა: ფურცელი (ფლიპჩარტი), წებოვანი ქაღალდი, კალამი, მარკერი; ტექნიკური მხარდაჭერა: ნოუთბუქი, პროექტორი, პრინტერი, ინტერნეტი, USB ფლეშ მეხსიერება.

აქტივობა N1 (20 წთ.)	**პრეზენტაცია (ჯგუფური)** – ჯგუფების მიერ მასალების დამუშავების ფაზაში მომზადებული მინიპრეზენტაციების წარმოდგენა. შენიშვნა: პრეზენტაციას რიგრიგობით წარმოადგენს ჯგუფის ყველა წევრი. აღნიშნული აქტივობის მსვლელობისას შეფასდება ინფორმაციის ფლობა, გუნდურობა და დროის ლიმიტის დაცვა (თითოეულ გუნდს ეთმობა 5 წუთი). გუნდების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მთავარ ნიუანსებს მასწავლებელი აფიქსირებს დაფაზე/ფლიპჩარტზე.
აქტივობა N2 (10 წთ.)	**დისკუსია (საკლასო)** – მოსწავლეები აჯამებენ პრეზენტაციების მოსმენის შედეგად მიღებულ საერთო სურათს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და გამოაქვთ დასკვნა.
აქტივობა N3 (10-15 წთ.)	**პერსონაჟზე დაკვირვება (ჯგუფური)** – აღნიშნული აქტივობის შესრულების დროს სასურველია, გამოვიყენოთ კოგნიტიური რუკა, მაგალითად:  აღნიშნული აქტივობის შესასრულებლად ჯგუფები მუშაობენ სხვადასხვა პერსონაჟის დახასიათებაზე, მაგალითად, პირველი ჯგუფი წარმოადგენს მონადირეს ან მუხას („მუხა“), მეორე – ბიჭს („ვაშლის ხე და ბიჭი“), მესამე – ვაშლის ხეს („ვაშლის ხე და ბიჭი“), მეოთხე – „შურიან კაცს“. ბოლოს აუდიტორიას თავიანთ ნამუშევრებს გააცნობენ. ზემოაღნიშნული აქტივობა შეგვიძლია ჩავანაცვლოთ **მინიპროექტით**, რომელსაც იგივე მიზანი აქვს და რომელიც ასევე ჯგუფებში მუშაობას მოითხოვს. გუნდებს ვურიგებთ ფურცლებს, რომლებზეც სხვადასხვა ჯიშის ხის (მუხა, ვაშლის ხე, ზეთისხილის ხე) კონტურია გამოსახული. მოსწავლეებმა ფოთლის ფორმის წებოვან ფურცლებზე ამ ხეებისთვის დამახასიათებელი თვისებები უნდა ჩამოწერონ და მცენარეთა ტოტები შეავსონ.

> ტრადიციულ გაკვეთილზე მოსწავლეს უმეტესად ენიჭება პასიური მსმენელის როლი. ახსნილი მასალის გაგების ხარისხი საშინაო დავალების შემოწმების ან გამოკითხვის დროს იზომება. თუ მოსწავლის მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, შესაძლოა, მან დაბალი შეფასება დაიმსახუროს და თან უყურადღებობისთვისაც უსაყვედურონ.

საშინაო დავალება	მოსწავლეები წერენ არგუმენტირებულ ესეს თემაზე – „ადამიანად რომ არ დავბადებულიყავი“. შენიშვნა: ესეში მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი არჩევანი (ადამიანად რომ არ დაბადებულიყვნენ, რომელ მცენარედ ყოფნას აირჩევდნენ და რატომ?). თუ სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, შეგვიძლია, მოსწავლეებს ზემოაღნიშნული დავალების დეტალური ინსტრუქცია წერილობითაც მივაწოდოთ.
შეფასება	მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ კომენტარებს (შეგვიძლია გამოვიყენოთ გაკვეთილის შეფასების/თვითშეფასების კითხვარებიც) პრეზენტაციის, დისკუსიისა თუ ჯგუფური მუშაობის დროს, იგი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს, აფასებს მის ინდივიდუალურ წვლილს და ჩართულობის ხარისხს. მოსწავლეებს ასევე მოეთხოვებათ დროის ლიმიტის დაცვა.

დაბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვიდეოგაკვეთილები/პრეზენტაციები და დამხმარე ტექსტური თუ აუდიოვიდეომასალა მხოლოდ რესურსია. მიუხედავად იმისა, რომ მასზე მუშაობა საკმაოდ ბევრ დროსა და ენერგიას წაგვართმევს, ყურადღება უმთავრესად მაინც საკლასო ოთახში განსახორციელებელი აქტივობებისკენ უნდა მივმართოთ, რადგან ინტერაქციული სწავლა-სწავლების მთავარ მიზანს სწორედ მოსწავლესთან პირისპირ შეხვედრისთვის გამოყოფილი დროის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება წარმოადგენს.

ირმა კახურაშვილი

სკოლა, სადაც სწავლობთ და ასწავლით

ახალგაზრდა პედაგოგის სამსახურში აყვანა იდეალური გადაწყვეტილებაა მრავალი სასკოლო პრობლემის მოსაგვარებლად, მაგალითად, სკოლის ადმინისტრაციამ მას შესაძლოა საგანგებოდ გადააბაროს სუსტი ან მეამბოხე კლასი, რათა შემდგომ განტევების ვაცად აქციოს. სამწუხაროდ, ასეც ხდება ხოლმე. ამიტომ ახალგაზრდა მასწავლებელმა, ვიდრე ალღოს აუღებდეს პროფესიული პრობლემების გადაწყვეტას, უნდა იცოდეს, რომ:

1. შესაძლოა, სუსტი კლასი მოგებაბარონ

ახალგაზრდა მასწავლებელს ხშირად პრობლემურ კლასს აბარებენ. ასეთ კლასში ხშირია თვითშეფასებისა და დისციპლინის პრობლემები. ახალბედას უჭირს მუშაობა, მაგრამ ასეთ სტრესულ გარემოში ის ფასდაუდებელ გამოცდილებას იძენს და მომავალში უკვე ნაკლებად აშინებს სირთულეები.

როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში: აგრძნობინეთ მოსწავლეებს, რომ ისინი სხვებზე უარესები არ არიან. ეცადეთ, გაუქროთ მსხვერპლის ფსიქოლოგია. არავითარ შემთხვევაში არ დაუწეროთ ძალიან დაბალი ქულები, არ მისცეთ აუარებელი საშინაო დავალება, მკაცრი შენიშვნები. არ დაისვათ ტიპური ბოროტი მასწავლებლის დაღი. ხშირად შესთავაზეთ მოსწავლეებს ერთად მუშაობა. დაუახლოვდით, ემეგობრეთ, რათა საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცოთ. სუსტი კლასი, ჩვეულებრივ, მეგობრულია და ჯგუფურ სამუშაოს შესანიშნავად ასრულებს.

2. მოსწავლეები ჯიჯღანს გამოგცდიან

ბავშვები მოზრდილებზე მგრძნობიარენი არიან. თქვენ მიერ ნასროლი ნებისმიერი გაუგებარი ფრაზა შესაძლოა გაკვეთილის ჩაშლის საბაბად იქცეს. ყურადღება მიაქციეთ ჩაცმულობას, რომ დაცინვის ობიექტი არ გახდეთ. არ იცრუოთ - ამას ბავშვები არ პატიობენ. უცოდინრობა კი თქვენს ავტორიტეტს ძალიან დააზარალებს, ამიტომ მოემზადეთ გაკვეთილისთვის.

როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში: შინიდან გამოსვლამდე და თითოეული გაკვეთილის წინ აუცილებლად გადაამოწმეთ თავი სარკეში. არსებობს უამრავი რეალური ისტორია იმის შესახებ, რომ მასწავლებელი გაკვეთილზე უკაბოდ მივიდა და ეს გვიან შეამჩნია.

ჩაიცვით ფაქიზად, ელეგანტურად, მოხერხებულად. ბავშვები ყველა წვრილმანს ამჩნევენ. სამოსზე შემთხვევით მიკრულმა ძაფის ნაგლეჯმა შესაძლოა მთელ კლასს გაუფანტოს ყურადღება და გაკვეთილი ჩაშალოს. თუ SOS სიტუაციაში აღმოჩნდით, ეცადეთ, მდგომარეობა იუმორით გამოასწოროთ, მაგრამ ხუმრობასაც ნუ ჩაუღრმავდებით – მალევე გადადით საქმეზე, თორემ თქვენი ტრაგედია კომედიად იქცევა.

გულმოდგინედ მოემზადეთ გაკვეთილისთვის – არ იფიქროთ, რომ ბავშვები თქვენს მოუმზადებლობას ვერ შეამჩნევენ. თუ კითხვაზე პასუხი არ გაქვთ, გულახდილად აღიარეთ. მოსწავ-

ლეები უცოდინარობას ადვილად პატიობენ, მაგრამ ტყუილი კარგა ხანს ახსოვთ. მატყუარა მასწავლებელს ისინი პატივს არ სცემენ. თუმცა, საზოგადოდ, მკაცრი და ჭკვიანი პედაგოგი უფრო მოსწონთ, ვიდრე ის, ვინც ყოველ ჯერზე მაგიდის ქვეშ გუგლით ეძებს პასუხებს.

3. სტრესზე გამოცდა

რამდენს უძლებს თქვენი ნერვები? თქვენ ეს იცით და ალბათ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ბავშვები გაცილებით ამტანები არიან, ვიდრე წარმოგვიდგენია. მათ უნდა აჩვენოთ, ვინ ხართ, რომ გამოგიცნონ; დაინახონ, როგორი ხასიათი გაქვთ, რაზე ბრაზობთ, რა გახარებთ. მათთვის მოსაწყენია ერთფეროვანი მასწავლებლის საათობით მოსმენა და ყურება. მათ უნდათ, უნიღბოდ დაგინახონ, მიიღონ თქვენგან ნამდვილი ემოციები.

> მასწავლებელი თავად აღგენს ზღვარს: რა შეიძლება, რა – არა და რა – მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში. თუმცა არსებობს პრინციპები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს.

როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში: ყოველთვის ის იყავით, ვინც სინამდვილეში ხართ. თუ იმ დღეს უსიამოვნება შეგემთხვათ და გუნება გაგიფუჭდათ, უთხარით ეს მოსწავლეებს, ოღონდ არც კარგი განწყობის გაზიარება დაგავიწყდეთ. ბავშვებს შეუძლიათ და უყვართ კიდეც განცდების გაზიარება, ნიღბიან ადამიანებს კი არ სწყალობენ.

4. მოსწავლეები არ ასრულებენ საშინაო დავალებას

საოცარია, არა? თქვენ მათთვის რაღაცის გაკეთებას ცდილობთ, ისინი კი ამას არ აფასებენ. აღიარებენ, რომ საუკეთესო მასწავლებელი ხართ, მაგრამ თქვენი საგანი არ აინტერესებთ. თქვენ მათთვის არაჩვეულებრივ გაკვეთილს გეგმავთ, ისინი კი საშინაო დავალებას არ ასრულებენ ან მოუმზადებლები მოდიან და რაღაცებს იმიზეზებენ.

როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში: არ იწუწუნოთ; არ თქვათ, რომ თქვენი მოლოდინი არ გამართლდა ან ამდენი ენერგია დაახარჯეთ, მათ კი დაგაღალატეს. თუ რამე არ გამოგივიდათ, პრობლემის მოგვარების სხვა გზები ეძიეთ.

არ დაივიწყოთ, რომ პედაგოგი ხართ და არა ბოსი. ბავშვებს არ აქვთ თქვენი ვალი. ისინი საკუთარი თავისთვის სწავლობენ და არა იმისთვის, რომ გასიამოვნონ. შესაძლოა, პირადად თქვენ ძალიან მოსწონდეთ, მაგრამ არ უყვარდეთ თქვენი საგანი. რა იცით, იქნებ მომავალი ქიმიკოსები არიან და არა ლიტერატორები ან პირიქით.

ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა იმიტომაც ვერ მოემზადნენ, რომ გუშინ ექსკურსია ან რეპეტიცია ჰქონდათ ან გეოგრაფიაში რთული საკონტროლოსთვის ემზადებოდნენ, რომლის მასწავლებელიც, თქვენგან განსხვავებით, არაფერს აპატიებს.



> თქვენ ფეხბურთის მწვრთნელივით უნდა იყოთ – გქონდეთ სათადარიგო სკამი, რამდენიმე ვარიანტი და ხედვა იმისა, როგორ მოიგოთ ან ფრედ მაინც დაამთავროთ თამაში, რომელშიც თქვენი გუნდი მონაწილეობს.

შეცვალეთ სწავლების სტრატეგია. თქვენ ფეხბურთის მწვრთნელივით უნდა იყოთ – გქონდეთ სათადარიგო სკამი, რამდენიმე ვარიანტი და ხედვა იმისა, როგორ მოიგოთ ან ფრედ მაინც დაამთავროთ თამაში, რომელშიც თქვენი გუნდი მონაწილეობს.

5. აუცილებელია დისტანცია

„რა მაგარია ახალგაზრდა მასწავლებელი! მოდი, დავუმეგობრდები!“ – რომელიღაც მოსწავლე აუცილებლად გაიფიქრებს ამას ან ხმამაღლა იტყვის. რომელიღაც მოსწავლე სკოლის დერეფანში მისალმების დროს, ზრდასრულივით, თქვენთვის ხელის ჩამორთმევას მოინდომებს; რომელიღაც სიყვარულით მოგეხვევათ; რომელიღაც გასეირნებას შემოგთავაზებთ...

მოსწავლეები ხშირად უტოლებენ თავს ახალგაზრდა მასწავლებლებს, მათთან უფრო თავისუფლად იქცევიან და ზღვარის შეგრძნებას კარგავენ. შესაძლოა მასწავლებელს, თავადაც ესიმპათიურებოდეს ვინმე და ახლობლურ დამოკიდებულებაზე უარის თქმა უჭირდეს, რადგან ახალგაზრდებთან მეგობრობა ყოველთვის საინტერესოა, ყოველთვის გავსებს ახალი ენერგიითა და ხალისით.

მაგრამ ეს სკოლაა. თქვენ მასწავლებელი ხართ, რიგითი პედაგოგი, რომელმაც დისტანციის შეგრძნება არ უნდა დაკარგოს.

როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ შემთხვევაში: ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. მასწავლებელი თავად ადგენს ზღვარს: რა შეიძლება, რა – არა და რა – მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში. თუმცა არსებობს პრინციპები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს. მაგალითად, ნუ გადახვალთ მოსწავლეებთან შენობით ურთიერთობაზე, ნუ დარჩებით მოსწავლესთან მარტო კაბინეტში, ნუ ისეირნებთ მასთან ერთად კლასის დამრიგებლის ან მშობლების გაუფრთხილებლად, მინიმუმამდე დაიყვანეთ მასთან ფიზიკური კონტაქტი, მკაცრად აკონტროლეთ თქვენი ლექსიკა – არ გამოიყენოთ უხამსი, უცენზურო სიტყვები და არც მას დართოთ გამოყენების ნება და სხვ.

რა თქმა უნდა, ჩამონათვალი ამით არ ამოიწურება, მაგრამ ეს მთავარი პრინციპებია.

საზოგადოდ, ეთიკა სკოლის განათლების სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემაა. სექსიზმი, შოვინიზმი, ნარკოტიკები, სექსი, პოლიტიკა – ეს ყველაფერი სასაუბროდ ძალიან მნიშვნელოვანიც არის და საფრთხილოც. ბავშვმა ყველაფერი უნდა იცოდეს, მაგრამ რა, როგორ და როდის უთხრათ – თქვენი პასუხისმგებლობაა.

ყველა დეტალის გათვალისწინება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. თითოეულ მასწავლებელს საკუთარი გამოცდილება აქვს. მთავარია, გვახსოვდეს, რომ ყველაზე უკეთ მაინც გულწრფელობა, ცოდნა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ჭრის.

მაია მენაბდე

ჩვენს გამოცდილ მასწავლებლებზე

> ცხოვრების აზრი კვადრატულ განტოლებაზე არ დაიყვანება და არც გამრავლების ტაბულაა ყველაზე მარტივი და აუცილებელი ჭეშმარიტება.

მაშინ თედორე მასწავლებელი 80 წლის იყო, მე – მაქსიმუმ 12-ის. სულ რაღაც ორი წელი მასწავლიდა.

მაღალი იყო, ხმელი და სიბერისაგან წელში ოდნავ მოხრილი. ალბათ, ახალგაზრდობაში სხარტი კაცი იქნებოდა, ახლა სიბერეს შეენელებინა მისი ნაბიჯი. პატარა ულვაშს ატარებდა და, რა თქმა უნდა, ყოველთვის პიჯაკი ეცვა.

ახირებული ხასიათი ჰქონდა: ვერ იტანდა ქუდს საკლასო ოთახში – მაშინვე ჩამოგართმევდა და დიდი ხნით ჩაკეტავდა კარადაში, შუბლთან შეკრეჭილ თმას, ე.წ. „ჩოლკას“ – თქვენს სახეს ვერ ვხედავო, და ეჭვით უცქერდა ჯინსისქურთუკიან ბავშვებს – მაშინ იშვიათობა იყო სოფელში და თედორეს ფუფუნების და, შესაბამისად, გაზულუქების ერთგვარ ნიშნად მიაჩნდა.

დამახასიათებელი მეტყველების მანერა ჰქონდა, ზოგიერთ თანხმოვანს ყლაპავდა ხოლმე, რაც მის ენაკვიმატობას კიდევ უფრო სასაცილოს ხდიდა. თედორე მასწავლებლის მოსწრებულ ნათქვამებზე ლეგენდები დადიოდა სოფელში. ერთხელ მოსწავლე მიუყვანიათ მისთვის სახლში, აბიტურიენტი. შეუმოწმებია თედორეს მისი ცოდნა და ჩაუქნევია უიმედოდ ხელი – არ გამოვა არაფერიო. შეხვეწნია მშობელი, ბატონო თედორე, ნუ გაგვიშვებთ ასე, გზაზე მაინც დაგვაყენეთო. წამით დაფიქრდა თურმე თედორე, მერე წამოდგა, ამათაც ანიშნა, ადექითო. წავიდა ჭიშკრისკენ, მოით აგერო. ესენი დაბნეულები მივიდნენ, ვერ ხვდებოდნენ, რა ჩაიფიქრა. თედორემ ჭიშკრის ზემოდან გახედა გზას და მერე ამათ გამოხედა: ა, აგერაა გზაი და გაგიყვანთ ჯვარამდეო (ჩვენი სოფლის ცენტრს ჯვარს ეძახიან).

სწავლების მეთოდიც და ახსნის მანერაც თავისებური ჰქონდა. დავალებებს ყოველდღე არ ამოწმებდა, მაგრამ არავინ ვიცოდით, როდის შეამოწმებდა. ყველა დავალება ახსოვდა ზეპირად. ხსნიდა მთელი სულითა და სხეულით. ზუსტად მახსოვს, როგორ ნათდებოდა თავში ყველაფერი თედორეს ახსნისას. ამ დროს არაფერი არ უნდა ჩაგეწერა – მხოლოდ უნდა გესმინა. რომ დაამთავრებდა, მერე გვაძლევდა დროს ჩაწერისთვის. დაფასთან ძირითადად თვითონ იდგა ხოლმე, ჩვენ იშვიათად გამოვყავდით, მაგრამ როცა გამოვდიოდით, მაშინვე ხვდებოდა, ვინ რა ვიცოდით, სად გვიჭირდა და რაში გვჭირდებოდა დახმარება. გიუდებოდა მშობლების დაბარებაზე! ერთადერთხელ ჩემი მოსწავლეობის ისტორიაში ჩემი მშობელიც დაიბარა, გაკვეთილზე ხითხითის გამო – მენაბდის ქალო, შენცო?!

თავიდან არ მენდო და „4-ს“ მიწერდა „ხუთოსანას“ (დღემდე ვერ გამირკვევია, მართლა ხუთოსანი ვიყავი თუ ინერციით) და მამშვიდებდა: ჩემი 3-იანი 4-იანია უმაღლესში, 4-იანი – 5-იანიო. წლის ბოლოს კაპიტულაცია გამოაცხადა და „5“ დამიწერა. თურმე მიდიოდა კიდეც სკოლიდან. თედორეს წასვლით დამთავრდა ჩემი და მათემატიკის ურთიერთობა. გამოსაშვები კლასის გამოცდაზე, უკვე იეროგლიფებად რომ აღვიქვამდი დაფაზე მათემატიკურ ფორმულებს და ძლივს ვცოდვილობდი, რაღაც სასწაულით თედორე შემოვიდა

დარბაზში (იმ წელს მასწავლებელთა პირველი გამოცდები იყო და თედორეს გამოზრდილ მათემატიკოსებს ისევ 80-ს გადაცილებული მასწავლებელი მოეწვიათ კონსულტაციისთვის). წიგნებში რომაა, ზუსტად ისე ვინატრე, მიწა გამსკდარიყო და თან ჩავეტანე, ოღონდ თედორეს არ დავენახე და ვეცნე. ვერ დამინახა.

ბოლოს რომ ვნახე, – ვნახე კი არა, დავინახე, – თავის ჭიშკარში შედიოდა. დიდი გოდორი ჰქონდა მოკიდებული. ერთიორად მოხრილი მეჩვენა. ზუსტად ისეთი გულმოდგინება ეწერა სახეზე, როგორიც გაკვეთილის ახსნისას. რაღაც ჩამწყდა გულში.

ბატონი ელგუჯა ჩემი მასწავლებელი არ გახლავთ, კოლეგაა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ისტორია მეორდება. ისიც მათემატიკოსია და იმ იშვიათთაგანი, ვისთვისაც ცხოვრების აზრი კვადრატულ განტოლებაზე არ დაიყვანება და არც გამრავლების ტაბულაა ყველაზე მარტივი და აუცილებელი ჭეშმარიტება. სოციალურ თუ ყოფით პრობლემებზე, პოლიტიკასა თუ ლიტერატურაზე ერთნაირად საინტერესოდ ლაპარაკობს. ყოველთვის აქვს გადანახული მოსათხრობად რომელიმე გულღია და სახალისო ამბავი და მე ძალიან მიყვარს მისი ამბების მოსმენა.

დიდია და თეთრთმიანი, ძალიან დინჯი, ლეჩხუმელი კაცი. ნაბიჯები და მეტყველება ერთნაირად აუჩქარებელი აქვს (დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდობაშიც ასეთი იქნებოდა). ერთი უფროსკლასელი ამბობდა, ზარი რომ დაირეკება, სამასწავლებლოდან გამოდის და კართან ელოდება, როდის მინელდება პირველ-მეორე-მესამეკლასელების უთავბოლო რიალი, რომ ნაბიჯი გადადგას, თითქოს გოლიათია და ეშინია, ჭიანჭველებს ფეხი არ დაადგასო.

მეორე იხსენებს, ძალიან პროგრესულად მოაზროვნე ტიპიაო. საელჩოს დამზადებული პოსტერი მივუკარი დაფაზე – გენდერულ ბალანსზე; სხვებმა თუ ლექციები და შეგონებები მოაყოლეს, ელგუჯა შემოვიდა და მაშინვე შენიშნა – მართალიაო, ქალები ჩვენს კულტურაში დაიჩაგრნენ, მაგრამ წამდაუწუმ ამაზე ლაპარაკი ცოტა მეხამუშებაო.

მესამემ – სულ ბრძნულ რამეებს გვეუბნებაო.



ორი წლის წინ ჯანმრთელობამ შეაწუხა და სკოლიდან წასვლას აპირებდა. მეთორმეტეკლასელთა უმეტესობა მათემატიკას აბარებდა მისაღებ გამოცდაზე და ძალიან უხაროდა იმ კლასში შესვლა. მადლობის ტაშით, ყელში გაჩრილი ბურთებით გაიცილეს ელგუჯა მასწავლებელი და კარგად ჩააბარეს გამოცდა. ბატონი ელგუჯა გამოკეთდა და სექტემბერში ისევ დაბრუნდა. აღმოჩნდა, რომ სულ ორ ბავშვს უნდოდა იმ წელს მათემატიკის ჩაბარება. გულდაწყვეტილმა, ღიმილით შემომჩივლა: ეჰ, შევცდი, ტრიუმფით უნდა წავსულიყავიო. გამეცინა.

წელს ისე დაემთხვა, მე რომ მივდივარ სკოლაში, ის გაკვეთილებს ამთავრებს და სახლში მიდის. ან ეზოში ვხვდებით ერთმანეთს, ან კიბეზე, ან კართან. წელს გადასარევი ურთიერთობა გვაქვს მე და შენო, ამასწინათ მითხრა ღიმილით. გამეღიმა და თავი დავუკანტურე. არ მითქვამს, რომ ეს „ურთიერთობაც“ კი მიხარია. მიყვარს, როცა ეზოში შემოვალ და შორიდანვე დავინახავ, როგორ მოაბიჯებს ნელი, გამოზომილი ნაბიჯით ჯიბეებში ხელებჩაწყობილი (სხვათა შორის, სულ ჯინსის შარვალი აცვია) და ძალიან მიყვარს, რომ ბავშვებს უყვართ, ესმით, უსმენენ და მათაც უნათდებათ თავები, როცა ბატონი ელგუჯა მათემატიკურ თუ ცხოვრებისეულ თეორიებს უხსნის.

ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენო – ეს ანდაზაც მიყვარს.